# არსენალი

№23 (144). 11-24 ნოემბერი, 2011 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.

1425
2011



## რა კანონს არღვევს თავდაცვის სამინისტრო...

## პოლკოვნიკ ლებედს 9 აპრილის მიტინგი არ დაურბევია

## ქუთაისთან და ლაგოდეხთან ჩამოვარდნილი მსოფლიოში უდიდესი შვეულმფრენები

## ოკუპაცია „ბურატინოებით"

## რაკეტული აფერა სომხურად

ეროვნული ბიბლიოთეკა



კამიკაძე — „ღვთაებრივი ქარი“ 44



პირველი ქართული საბრძოლო კატარღები 39



დაჯავშნული მუხლუხა საბრძოლო მანქანები 30

კავკასიური უპილოტოები 35





ანტი-ტერორისტული მისია ავღანეთში... ქართულად 11

პისტოლეტებად გადაკეთებული „დაკოდილი“ ავტომატები 54



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**

4 სამხედრო სიახლეები

**ჭორ-მართალი**

7 ოკუპაცია „ბურატინოებით"

**საფრთხე**

9 პოლკოვნიკ ლებედს 9 აპრილის მიტინგი არ დაურბევია

**სამშვიდობო მისია**

11 ანტიტერორისტული მისია ავღანეთში... ქართულად

**მოსაზრება**

14 რა კანონს არღვევს თავდაცვის სამინისტრო...

**ბლეფი**

15 რაკეტული აფერა სომხურად

**საიდუმლო ფრონტი**

17 რუსეთის საგარეო დაზვერვა: მარცხი მარცხს მოსდევს

**რეგიონი**

20 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...

**სპეცსამსახურების არქივებიდან**

22 სტალინ-ბერიას აგენტურა ქართულ ემიგრაციაში

**ტერორისტული ორგანიზაციები**

25 „ანსარ ალ-ისლამი" — სადამ ჰუსეინის იდეების ერთგული ქურთი ვაჰაბიტები

**ტანკმშენებელი ქვეყნები**

30 დაჯავშნული მუხლუხა საბრძოლო მანქანები

**ავიაცია**

35 უპილოტოები ამიერკავკასიის ქვეყნებში

**ქართული ფლოტი**

39 პირველი ქართული საბრძოლო კატარღები

**100 დიდი მხედართმთავარი**

42 ფლავიუს აეციუსი

**მეორე მსოფლიო ომი**

44 კამიკაძე — „ღვთაებრივი ქარი"

**მკითხველის გვერდი**

48 ქუთაისთან და ლაგოდეხთან ჩამოვარდნილი მსოფლიოში უდიდესი შვეულმფრენები

**„არსენალის" იარაღის მაღაზია**

53 პისტოლეტებად გადაკეთებული „დაკოდილი" ავტომატები

გარეკანზე: — ნაღმსატყორცნიდან 60 მმ-იანი ნაღმის გასროლის მომენტი ავღანეთში


პალიტრა მედია

## რედაქციისგან

თავდაცვის სამინისტრომ შეიარაღებული ძალებიდან ოფიცრების მორიგი პარტია დაითხოვა. ამჯერად სამსახური დაკარგა იმ 120-მდე ოფიცერმა, რომელთა უმეტესობას რუსულ სამხედრო აკადემიებში აქვს გავლილი მოკლე კურსი. რით არის ეს გამოწვეული, „რუსული ჯაშუშომანიით" თუ იმით, რომ 1994-98 წწ-ებში საქართველოს მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა ნადიბაიძემ აფხაზეთის ომგამოვლილი ქართველი ოფიცრებს რუსეთის სამხედრო სასწავლებლებში გაგზავნა თეორიული ცოდნის მისაღებად. ამ ოფიცრების ბრალი არ არის, რომ რუსეთში სამხედრო ცოდნა მიიღეს, მით უმეტეს, რომ მათმა დიდმა ნაწილმა შემდგომ სამხედრო განათლება აშშ-ში, გერმანიასა თუ საფრანგეთში აიმაღლა. თუკი თავდაცვის სამინისტროს დღევანდელ ხელმძღვანელობაში თვლიან, რომ რუსეთში სწავლამიღებული ქართველი ოფიცრების ნდობა არ შეიძლება და მათ ამიტომ ატოვებინებენ საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებს, ეს უდიდესი შეცდომაა.


მთავარი რედაქტორი
ირაკლი ალადაშვილი
რედაქტორი
თემურ ჩაჩანიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა
დათო მოსიაშვილი



ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი"
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 238-26-74; 238-26-73



რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია



გადაცემულია დასაბეჭდად
7.11.2011

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 238-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 237-78-07; 238-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თაღლითებმა პენტაგონს 1,1 ტრილიონი დასცინცლეს



„აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ ბოლო ათ წელიწადში 1,1 ტრილიონი დოლარი იმ კომპანიებს გადაურიცხა, რომლებიც თაღლითობაში ამხილეს“, — ნათქვამია სენატორ ბერნი ზანდერსის დაკვეთით ჩატარებული გამოძიების დასკვნაში.

აღნიშნული სახსრები ამერიკის 37-მა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსმა მიიღო. მათ შორისაა Boeing-ი, Lockheed Martin-ი და Northrop Grumman-ი.

გაირკვა, რომ დაახლოებით 431 მლრდ დოლარი თავდაცვის სფეროში დაკავებულ კომპანიებს მაშინ გადაურიცხეს, როცა მათ საქმე თაღლითობის მუხლით სასამართლოში ჰქონდათ ან ამის გამო უკვე დაჯარიმებული იყვნენ.

მოხსენებაში ყველაზე დიდ „თაღლითად“ კონცერნი „ბოინგია“ მოხსენიებული, რომელმაც სასამართლო გარჩევებს მარტო 2000 წელს 54 მლნ დოლარი მოახმარა. კომპანიისადმი წაყენებულ ბრალდებებს შორისაა აშშ-ის არმიის სატრანსპორტო შვეულმფრენ CH-47D Chinook-ზე წუნიანი ტრანსმისიის განზრახ დაყენება. ბოლო ათი წლის განმავლობაში კონცერნმა სხვადასხვა სამხედრო კონტრაქტით 21 მლრდ დოლარი მიიღო.

# ბრიტანელები Warrior-ს 30 წელი ვერ შეელევიან

დიდი ბრიტანეთი მლრდ გირვანქა სტერლინგს (1,6 მლრდ დოლარი) ქვეითთა მუხლუხიან საბრძოლო მანქანა Warrior-ის მოდერნიზაციას მოახმარს, რის შედეგადაც ეს საშუალება არმიის შეიარაღებაში სულ ცოტა, 2040 წლამდე დარჩება.

ჯავშანმანქანის მოდერნიზაციაზე ამერიკული კომპანია Lockheed Martin-ის ბრიტანული განყოფილება იმუშავებს.

დიდი ბრიტანეთის სამხედრო უწყებას ამ ნაბიჯით ორი კურდღლის დაჭერა სურს: ჯერ ერთი, Warrior-ის მთლიანი პარკის (789 ერთეული) მოდერნიზებით მანქანებს „სიცოცხლე“ გაუხანგრძლივდება და მეორე — 600-მდე სამუშაო ადგილი შენარჩუნდება.

Warrior-ი დიდი ბრიტანეთის არმიის შეიარაღებაში 1987 წლიდანაა და მოდერნიზაციის შემდეგ 40 მმ-იანი ქვემეხი და ახალ ჯავშანი ექნება. ამასთან ერთად განახლდება ჯავშანმანქანის საბორტო ელექტრონიკა.



# ნახევარსაუკუნოვანი ბომბის პოვნამ გერმანული ქალაქი პანიკაში ჩააგდო




გერმანიაში მეორე მსოფლიო ომისდროინდელ ბომბებს ჯერ კიდევ პოულობენ. სულ ახლახან ქვეყნის დასავლეთით, ქალაქ ჰაალის ცენტრში ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ ამერიკელების ჩამოგდებულ ავიაბომბს მიაგნეს, რომელიც თავის დროზე არ აფეთქდა. საგანგებო სიტუაციების სამსახურმა ქალაქში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა, გადაკეტა ქუჩები და 20 ათასამდე მოსახლე გახიზნა. ორდეტონატორიანი 250 კგ-იანი ავიაბომბი საავადმყოფოს ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების დროს აღმოაჩინეს. 45 სმ დიამეტრის მქონე, მეტრზე ცოტა გრძელი ბომბი მიწაში 2,5 მეტრზე იყო დაფლული.

# ლიბიის ომმა ბრიტანული „აპაჩების“ ხარვეზები გამოავლინა



ბრიტანეთის არმიას ლიბიაში მიღებულმა საბრძოლო გამოცდილებამ საზღვაო პლატფორმიდან მოქმედი შვეულმფრენ Apache AH1-ის კონსტრუქციაში ცვლილებების შეტანისკენ უბიძგა.

ბრიტანულმა „აპაჩებმა“, რომლებიც სადესანტო შვეულმფრენმზიდ HMS Ocean-ზე ბაზირებდნენ, ლიბიის კონფლიქტში 29 მაისიდან 24 აგვისტოს ჩათვლით 25 მისია შეასრულეს. ფაქტობრივად, ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა დამრტყმელი შვეულმფრენები საზღვაო პლატფორმიდან მოქმედებდნენ.

გამოვლენილ ნაკლოვანებებს შორისაა ხრახნის მუხრუჭის არაეფექტურობა, რომელიც გემბანზე ძლიერ ქარს ზოგჯერ ვერ უმკლავდებოდა. მოგვიანებით შვეულმფრენის ეკიპაჟმა წყლის ზედაპირზე ავარიულად დაშვების შესაძლებლობის უქონლობაზეც დაიჩივლა. თუკი აპარატი ხომალდამდე მიღწევას ვერ შეძლებს, ზღვის ფსკერზე აღმოჩნდება, ეკიპაჟი კი ვერ მოასწრებს აპარატის დატოვებას და მასთან ერთად დაიღუპება.

შვეულმფრენის კიდევ ერთი ხარვეზი ელექტროკვების სისტემაშია — ავარიის შემთხვევაში აკუმულატორები აპარატს მხოლოდ 6 წუთი ჰყოფნის.

# მრავალფუნქციური რობოტი-გამნაღმველი

ამერიკულმა კომპანია Mesa Robotics-მა მრავალფუნქციური რობოტი Acer-ი შექმნა, რომელსაც დანაღმული ტერიტორიის ასაფეთქებელი მოწყობილობებისგან გასაწმენდად გამოიყენებენ.

ამასთან, რობოტის გამოყენება სხვადასხვა ტვირთის გადატანისა და სატრანსპორტო საშუალებათა ბუქსირებისთვისაც მოსახერხებელია.

მანქანა-რობოტი მთლიანი კომპლექტაციით 2,3 ტონას იწონის. მას 500 კგ ტვირთის აწევა და 1,1 ტონა ტვირთის ზიდვა შეუძლია. დიზელის ძრავითა და მუხლუხებით აღჭურვილ Acer-ს სთ-ში 11 კმ-ის გავლა შეუძლია.



# რაკეტსაწინააღმდეგო ლაზერს გერმანელებიც ქმნიან




გერმანულმა კომპანია MBDA-მ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ლაზერული ტექნოლოგია (C-RAM) გამოცადა. ცდების მიზანი 10 კვტ ლაზერული სხივის დიდ მანძილზე დაშორებული მიზნისკენ ზუსტად წარმართვის შესაძლებლობის დადგენა იყო.

ლაზერული იარაღის პროტოტიპი, რომლის პირობითი ამოცანა 1000 მეტრ სიმაღლეზე მართვადი და უმართავი რაკეტებისა და საარტილერიო ჭურვების გაუვნებლება იყო, რამდენჯერმე „გაისროლეს“.

ამრიგად, MBDA-ს სპეციალისტებმა სხივის წარმართვის ორიგინალური ალგორითმი შექმნეს და მისი ეფექტურობაც აჩვენეს. შედეგად კი გერმანია აშშ-ის შემდეგ მეორე სახელმწიფო გახდა, რომელმაც რაკეტსაწინააღმდეგო ლაზერის შექმნაში დიდ წარმატებას მიაღწია.

ამ გამოცდის შემდეგ MBDA-ს ძირითადი საზრუნავი C-RAM-ისთვის პლატფორმის შექმნა და ლაზერის სხივის სიმძლავრის მომატება იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ორფეხა რობოტი-ჯარისკაცი უკვე აჭიმვებს აკეთებს



კომპანია Boston Dynamics-მა თავისი ორფეხა რობოტი, სახელად Petman-I, რამდენიმე წლის წინ წარმოადგინა. მაშინ ის მხოლოდ პროტოტიპი იყო და შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდა. მას შემდეგ კომპანიის მესვეურებმა პროექტის დასახვეწად თავი არ დაზოგეს და დღეს Petman-ი სრულიად ახალი და მრავალფეროვანი უნარებითაა დაჯილდოებული.

განახლებულმა რობოტმა ზედა კიდურები მიიღო და ადამიანისმაგვარ სიარულთან ერთად ხტუნვასაც ახერხებს. ამასთან, შეუძლია დაჯდეს, ჩაიმუხლოს და აჭიმვებიც გააკეთოს. Petman-ს ამ ყველაფერთან ერთად 7 კმ/სთ სიჩქარით სირბილიც ეხერხება.

რობოტზე მუშაობა აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს კონტრაქტის ფარგლებში მიმდინარეობს და კომპანიის წარმომადგენელთა ვარაუდით, მისი პირველი მოდელები არმიაში უკვე მომავალ წელს გამოჩნდება. სამხედროთა მოთხოვნების თანახმად, რობოტ-ჯარისკაცს „ადამიანური“ წონა და სიმაღლე უნდა ჰქონდეს (შესაბამისად, 80კგ და 175სმ).

## აშშ კოსმოსური ომისთვის ემზადება

პენტაგონმა შექმნა სამმართველო, რომელიც კოსმოსში საომარ მოქმედებებზე იქნება პასუხისმგებელი. ქვეყნის სამხედრო-კოსმოსური დაზვერვის ეროვნულ სამმართველოში აცხადებენ, რომ ახალი ინიციატივა აშშ-ისთვის იმ საფრთხეების ზრდითაა გამოწვეული, რაც კოსმოსის „გადატვირთვასა“ და მილიტარიზაციას უკავშირდება.

ამერიკელები ახალი პროგრამით, პირველ რიგში, თავიანთი თანამგზავრების სამხედრო საფრთხეებისგან დაცვას შეეცდებიან და საამისოდ სპეციალისტები კოსმოსური აპარატებისთვის დაცვის ახალ ტექნოლოგიებს შექმნიან.

როგორც ირკვევა, ამერიკელ სამხედროებს ყველაზე მეტად კოსმოსში ჩინეთის გააქტიურება აფიქრებთ, თუმცა არც რუსეთი ავიწყდებათ.

პენტაგონში არ გამორიცხავენ, რომ მომავალში ჩინეთი ტექნოლოგიების მოპარვის მიზნით ამერიკელთა საიდუმლო კოსმოსური აპარატების პირდაპირ ორბიტიდან „გატაცებას“ შეეცდება.

სხვათა შორის, ბოლო წლებში ამერიკულ თანამგზავრებს ჰაკერები ოთხჯერ დაესხნენ თავს. ორ შემთხვევაში კი ბოროტმოქმედებმა მათი კონტროლზე აყვანა მოახერხეს.



## ამერიკელ საზღვაო ქვეითებს „აფთიაქში“ ნარკოტიკული „მამალოც“ ექნებათ



აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის ჯარისკაცები, რომლებიც ავღანეთში მძიმე ჭრილობებს მიიღებენ, ტრადიციული მორფინის ნაცვლად ძლიერი ტკივილგამაყუჩებლის შემცველ საწუწნ კანფეტს მოიხმარენ. ამბობენ, რომ „მამალოს“ კენკრის არომატი ექნება.

„ჯოხიანი კანფეტი“ ძლიერმოქმედ ნარკოტიკს — ფენტანილს შეიცავს, რომელსაც მედიცინაში ტკივილგამაყუჩებლად მოიხმარენ.

ფენტანილიანი „მამალოების“ გამოყენება ექიმებმა ორი თვის წინ დაიწყეს და რადგან პირველი ცდა შედეგიანი გამოდგა, აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის სარდლობა ამ პრაქტიკის გადალებას დათანხმდა. ჯარისკაცები მას მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში ექიმისგან მიიღებენ. ამასთან, საზღვაო ქვეითთა „აფთიაქში“ კვლავ დარჩება ტრადიციული საინიექციო მორფინი.

# ოკუპაცია „ბურატინოებით“



**ოკუპირებულ აფხაზეთში დისლოცირებული მე-7 რუსული სამხედრო ბაზის შეიარაღებაში მძიმე ცეცხლსატყორცნი „ბურატინოებიც“ გამოჩნდნენ**

„არსენალის“ 18 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „რით დაგვემუქრებიან რუსული ცეცხლსატყორცნები“ ვწერდით იმ საშიშროებაზე, რაც რუსული „ბურატინოების“ ოკუპირებულ ტერიტორიებზე შემოყვანას შეიძლება მოჰყოლოდა.

ამ დღეებში ინტერნეტში გამოჩნდა ფოტოსურათები, რომლებზეც ოკუპირებულ აფხაზეთში მე-7 რუსული სამხედრო ბაზის ტერიტორია და შეიარაღებაა გადაღებული. ერთ-ერთ სურათზე მოჩანს გადახურულ ბოქსში დაყენებული სამი „ბურატინო“.

ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დისლოცირებულ მე-7 და მე-4 სამხედრო ბაზებში რუსეთმა იმდენი სხვადასხვა სახის საბრძოლო ტექნიკა განათავსა (მათ შორის ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსები Точка-У, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები Смерч-ი, საზენიტო-სარაკეტო С-300-ები და სხვა), რომ „ბურატინოების“ შემოტანა, როგორც „არსენალმა“ ნახევარი წლით ადრე ივარაუდა, არ უნდა გაგვიკვირდეს.

თუმც ზემოხსენებული სარაკეტო კომპლექსებისგან განსხვავებით რუსული „ბურატინოები“ მაინც გამოირჩევა მძლავრი დამზიანებელი ფაქტორით, რითაც უახლოვდებიან არაჰუმანურად მიჩნეულ შეიარაღებას, მათ შორის, ქიმიურს.

**აფხაზეთში რუსული საოკუპაციო სამხედრო ბაზის ბოქსში მდგომ მძიმე ცეცხლსატყორცნ სისტემებს 24-რაკეტიანი პაკეტი აქვთ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მოძველებული ТОС-ები არიან, ან „ბურატინოზე“ უფრო თანამედროვე ТОС-1А-ები. იმავე ბოქსში მდგარი (მარჯვენა სურათი) „ბურატინოს“ პაკეტის დამტენი მექანიზებული მანქანა**







30-რაკეტიანი
TOC-1 Буратино

**ჩვენი დოსიე:** მძიმე ცეცხლსატყორცნი სისტემა TOC-ი 1971-79 წლებში შეიქმნა და საბჭოთა არმიის შეიარაღებაში 1980 წელს მიიღეს. TOC-ს პირველ მოდიფიკაციაზე მხოლოდ 24-რაკეტიანი პაკეტი იყო დამონტაჟებული, მეორეზე — TOC-1-ზე (სწორედ მას უწოდეს Буратино) 30-მდე რაკეტა. შესაბამისად, 46 ტონამდე გაიზარდა მისი მასამაც.

2001 წელს რუსეთის არმიაში ახალი მოდიფიკაცია — TOC-1A გამოჩნდა, რომელზეც 30-დან კვლავ 24-მდე შეამცირეს რაკეტების რიცხვი, სავარაუდოდ, იმის გამო, რომ 30-რაკეტიანი პაკეტი სიმძიმის გარდა მაღალიც იყო (3,225 მ), რაც სისტემის ტრანსპორტირებას სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით ართულებდა. TOC-1A-ს სახელწოდებაა Солнцепек-ი. „ბურატინოს" 175 კგ-იანი რაკეტის თერმობარული ქობინი 74 კგ-ს იწონის, ხოლო ცეცხლგამჩენი ქობინი 45 კგ-ს. რაკეტის მოდიფიკაციიდან გამომდინარე 2,7-დან 3,5 კმ-მდე მიფრინავს. მოდერნიზებული რაკეტების ფრენის მაქსიმალური სიშორე 6 კმ-მდეა. დაზიანების ზონის ფართობი ცეცხლგამჩენი ქობინებით ერთი, ხოლო თერმობარულებით კი ორი კვადრატული კმ-ია.

„ბურატინო" T-72 ტიპის ტანკზე დამონტაჟებული „გრადის" პაკეტის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მისი მთავარი ძალა სწორედ რაკეტებშია. თუკი „გრადი" 122 მმ-იან მსხვრევად-ფუგასურ რაკეტებს ისვრის, „ბურატინოს" რაკეტების თავში თერმობარული ცეცხლგამჩენი ქობინები აქვს.

თერმობარულ ქობინში, რომელიც 74 კგ-ს იწონის, ჩატუმბულია პროპილნიტრატის ხსნარი, ხოლო მის გვერდით მოთავსებულია მაგნიუმის ფხვნილი. რაკეტის სტარტის შემდეგ სპეციალური მოწყობილობა ერთმანეთში ურევს ამ ორ ქიმიურ ნივთიერებას და წარმოიქმნება მოცულობით დეტონირებადი ნაერთი (თავიდანვე შერეული სახით მათი შენახვა სახიფათოა). რაკეტის მიზანთან დაცემისას ეს ნაერთი აეროზოლის სახით მაღალი წნევით გამოიტყორცნება და ავსებს ოთახის, სარდაფის შიგთავსს, რის შემდეგაც მილიწამის დაგვიანებით ამოქმედებული ამფეთქი აეროზოლის დეტონაციას ახდენს, რისი შედეგიც საზარელია.

თუკი სანგარში და მით უმეტეს, სარდაფში მყოფი ადამიანი შეიძლება ადვილად გადაურჩეს მსხვრევად-ფუგასური ქობინის აფეთქებისას წარმოქმნილ ნამსხვრევებს, რადგან ნამსხვრევები სწორი მიმართულებით გაიტყორცნება, მოცულობით დეტონირებადი ქობინის აფეთქება მას გადარჩენის შანსს არ უტოვებს, რადგან აეროზოლი სარდაფში ჰაერთან ერთად აღწევს.

1980 წელს შეიარაღებაში მიღებული „ბურატინო" საბჭოთა არმიის ერთ-ერთ დიდ საიდუმლოდ რჩებოდა, თუმცა ავღანეთის ომის ბოლო თვეებში მან საბრძოლო ნათლობა მიიღო. ოპერაცია „ტაიფუნის" ფარგლებში ორ „ბურატინოს" იყენებდნენ მოჯაჰედების პოზიციების დასაბომბად. მოცულობით დეტონირებადმა რაკეტების ქობინებმა მთაგორიან რელიეფზე ეფექტურად იმოქმედეს, თუმცა საბჭოთა გენერლებს ეშინოდათ, რომ საიდუმლო „ბურატინოები" ახლოს მიპარულ ავღანელებს ყუმბარსატყორცნებით არ აეფეთქებინათ, რის გამოც ყოველი სარაკეტო ზალპის შემდეგ



მოდერნიზებული TOC-1A Солнцепек-ები მოსკოვში აღლუმის წინ. მათ პაკეტებში რაკეტების რაოდენობა 30-დან ისევ 24-მდე შეამცირეს

„ბურატინოები“ სასწრაფოდ ტოვებდნენ საცეცხლე პოზიციებს.

11 წლის შემდეგ უკვე რუსეთის არმიამ „ბურატინოები“ ჩეჩნეთის მეორე ომში გამოიყენა. 2000 წლის მარტში ჩეჩნური სოფელ კომსომოლსკოესთან მიმდინარე გააფთრებული ბრძოლების დროს, როდესაც მთელი რუსული არმია რუსლან გილაევის რაზმს ვერ იმორჩილებდა, გადამწყვეტ მომენტში რუსმა სამხედროებმა ბრძოლაში „ბურატინოები“ ჩართეს. მათი გათვლით „ბურატინოების“ თერმობარულ ქობინიან რაკეტებს სოფლის სახლების სარდაფებში გამაგრებული გილაევის რაზმის მებრძოლები უნდა გაენადგურებინა. გილაევი თავისი რაზმიანად გადარჩა და გააღწია ალყას, თუმცა სოფელი მთლიანად გადაიწვა.

რუს სამხედროებს ისე ეშინოდათ გილაევის ყუმბარსტყორცნებისა, რომ საცეცხლე პოზიციაზე გასული „ბურატინოს“ წინ ერთი-ორი ტანკი, ხოლო გვერდებიდან თითო-თითო ტანკი იცავდა.

საქმე ის არის, რომ „ბურატინოს“ მწყობრიდან გამოყვანა არც ისე ძნელია. მართალია, სამკაციანი ეკიპაჟი კარგად შეჯავშნულ T-72-ის კორპუსში ზის, მაგრამ რაკეტებიანი პაკეტი მხოლოდ გვერდებიდანაა შეჯავშნული და ისიც მსუბუქად. ხელის ყუმბარსატყორცნის კუმულაციურქობინიანი რაკეტის მოხვედრის შემთხვევაში, თავად „ბურატინოს“ თერმობარულქობინიანი რაკეტების ადგილზე დეტონაცია მოხდება, რაც უდიდეს აფეთქებას გამოიწვევს. სხვათა შორის, ავღანეთში „ბურატინოს“ სარაკეტო პაკეტის გვერდითა მილებში რაკეტებს არ აწყობდნენ, რათ მოჯაჰედების РПГ-ების მსხვერპლი არ გამხდარიყვნენ.

მიუხედავად მისი მრისხანებისა, „ბურატინოსთან“ ბრძოლა შეიძლება. მისი 220 მმ კალიბრის რაკეტების ფრენის მაქსიმალური მანძილი სულ რაღაც 3,5 კმ-ია (დამოკიდებულია მოდიფიკაციაზე), რაც საშუალებას იძლევა „ბურატინოს“ პოზიციას ცეცხლი გაუხსნა როგორც Д-30 ტიპის ჰაუბიცებით თუ ზალპური ცეცხლის „გრადებით“, ისე 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნებითაც. „ბურატინოსთან“ 300-500 მ-ში მიპარული ყუმბარმტყორცნელი კი ნამდვილად ვერ ააცილებს კუმულაციურქობინიან რაკეტას „ბურატინოს“ პაკეტს, რომელიც 3 მ-ზე მაღალია.

***ირაკლი ალადაშვილი***



# პოლკოვნიკ ლებედს 9 აპრილის მიტინგი არ დაურბევია

ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი და მათი მხარდამჭერი მასმედიის საშუალებანი დაჟინებით ამტკიცებენ, რომ 1989 წლის 9 აპრილს რუსთაველის პროსპექტზე მშვიდობიანი მომიტინგეების დარბევას, რასაც 20 კაცი შეეწირა, თურმე გენერალი ლებედი ხელმძღვანელობდა.

ამის დასადასტურებლად პარლამენტის უმრავლესობის წევრი ნუგზარ წიკლაური თავად ლებედის ავტობიოგრაფიულ წიგნს იშველიებს.



ეს წიგნი ჩვენც წავიკითხეთ დიდი ხნის წინ, მაგრამ რატომღაც არ გვახსოვს, რომ 9 აპრილის მთავარი ჯალათი გენერალი ლებედი ყოფილიყოს.

შეცდომის თავიდან ასაცილებლად ხელახლა გადავხედეთ ალექსანდრ ლებედის ავტობიოგრაფიული წიგნი „За державу обидно...“ და მისი ერთ-ერთი თავი „Тбилисская смута“, რომელიც 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას ეხება.

ამ თავში ლებედი წერს, რომ მან, როგორც ქ. ტულაში დისლოცირებული 106-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის მეთაურმა, 1989 წლის 8 აპრილს მიიღო ბრძანება განგაში გამოეცხადებინა დივიზიაში და თბილისში გადაფრენილიყო.

ლებედის მონათხრობის მიხედვით, მან დივიზიის სამი პოლკი გაამზადა და გაიყვანა აეროდრომზე, საიდანაც სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებით თბილისის ერთ-ერთ აეროდრომზე დაეშვნენ (ლებედი არ აკონკრეტებს, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს ვაზიანის სამხედრო აეროდრომი იყო).

საქართველოში გადმოსროლილი ლებედის დივიზიის სამი პოლკის პი-

**ლებედი არ მონაწილეობდა 9 აპრილის ტრაგედიაში, თუმცა იგი უდავოა უსიტყვოდ შეასრულებდა მიმიტინგეთა დარბევის ბრძანებას**

ეროვნული ბიბლიოთეკა




პოლკოვნიკმა ლებედმა ტულიდან თბილისში სამი პოლკი თვითმფრინავებით ჩამოიყვანა

რადი შემადგენლობის რაოდენობა 3 ათას კაცზე მეტი იქნებოდა (თითოეული სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავ Ил-76-ს სრულად ეკიპირებული 140 ჯარისკაცის ან 128 პარაშუტისტის გადაყვანა შეუძლია, ხოლო Н-12-ს კი 90 ჯარისკაცის ან 60 პარაშუტისტის), ამას დაუმატეთ საშტატო ჯავშანტექნიკა (მედესანტეთა საბრძოლო მანქანები БМД-2-ები და ჯავშანტრანსპორტიორები БТР-Д-ები), რაც იმას ნიშნავს, რომ მათ გადმოსროლას რამდენიმე ათეული თვითმფრინავის გაფრენა და შესაბამისად, დიდი დრო დასჭირდებოდა.

ლებედი იხსენებს, რომ თვითმფრინავებიდან გადმოსული მისი დივიზიის დანაყოფების დაწყობას, ტექნიკის გამართვას, პირადი შემადგენლობის შეიარაღებასა და აღჭურვას დრო დასჭირდა, რის შემდეგ ჯავშანკოლონა თბილისისკენ დაიძრა 9-დან 10 აპრილის ღამეს და ისინი უკაცრიელ ქალაქში შემოვიდნენ.

მშვიდობიანი მიტინგის დარბევა კი რუსთაველის პროსპექტზე 9 აპრილს, გამთენიისას, დილის 4 სთ-ზე დაიწყო, ანუ ლებედის 106-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიის დანაყოფები თბილისში ამ ტრაგედიიდან 16-17 სთ-ის შემდეგ შემოვიდნენ.

ლებედს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა, დაემალა, თუკი მონაწილეობდა 9 აპრილის ტრაგედიაში, რადგან იმავე წიგნში დაუფარავად წერს, თუ რამდენი ხალხი დახოცეს მისმა მედესანტეებმა ბაქოში 1990 წლის იანვარში.

მეორე საკითხი, რომელიც თითზე აქვს დახვეული ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს, თითქოს გენერალი ლებედი 9 აპრილის მთავარი ჯალათი იყო და ის ხელმძღვანელობდა სადამსჯელო ოპერაციას.

ჩანს, ვინც ამას ამტკიცებს, ვერ ერკვევა სამხედრო იერარქიაში. 1989 წლის 9 აპრილს ალექსანდრ ლებედს გენერლის ჩინიც კი არ ჰქონია. მას ერთი წლით ადრე ჰქონდა მიღებული წოდება პოლკოვნიკი. 9 აპრილის სადამსჯელო ოპერაციას კი არათუ პოლკოვნიკი ლებედი, არამედ გენერალ-პოლკოვნიკი როდიონოვიც (მაშინ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი) კი არ ხელმძღვანელობდა მთლიანად, რადგან მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრისა და გენშტაბის უფროსის მოადგილეები არმიის გენერლის ჩინებით და ისინი იძლეოდნენ ბრძანებებს.

გასაგებია, თუ რატომ წამოიწია გენერალ ლებედის 9 აპრილის ტრაგედიაში მონაწილეობის თემამ, რომელიც აქამდე არც გახსენებიათ ხელისუფლებო სტრუქტურებში — ამით ისინი პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსულ ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაციას ცდილობენ, როდესაც გენერალ ლებედის პოლიტიკური კარიერის დაფინანსებას აბრალებენ.

ჩვენ არც ბიზნესმენ ივანიშვილის დაცვა გვსურს (მით უმეტეს, მან უკვე გასცა პასუხი, რომ ის მხარს უჭერდა ელცინის კომუნისტებზე გამარჯვებას (რომლის დროსაც გენერალმა ლებედმა ელცინის მხარე დაიჭირა) და არა კონკრეტულად ლებედს) და არც უკვე გარდაცვლილ გენერალ ლებედისა, მთავარია, სიმართლის დადგენა და არა თვალებში ნაცრის შეყრა. არაკომპეტენტურობამ და არაპროფესიონალიზმმა თუ რა დღეში ჩაგვაგდო 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, კარგად ვიცით.

P.S. სხვათა შორის, მახსენდება ლებედთან დაკავშირებული ერთი ამბავი: 1993 წლის 24 თუ 25 სექტემბერს ალყაშემორტყმულ სოხუმში ვიყავით, როდესაც გავიგეთ, რომ ჩვენებს ვიღაც ლებედი მოუკლავთ. რა თქმა უნდა, გენერალ ლებედზე ვიფიქრეთ, რომელიც არც მალავდა ზიზღს დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ, და ამით ჩვენმა საბრძოლო სულისკვეთებამ ოდნავ მაინც მოიმატა. მოგვიანებით, ალყიდან გამოსვლის შემდეგ, გავიგეთ, რომ შინაგანი ჯარის მებრძოლებს გენერალი ალექსანდრ ლებედის მოგვარე, პოლკოვნიკი ლებედი მოუკლავთ.

**ირაკლი ალადაშვილი**

9 აპრილს რუსთაველზე მშვიდობიან მომიტინგეთა დარბევას ლებედის დივიზიამ ვერ ჩამოუსწრო





ქართველი სამშვიდობოები პატრულირების დროს

# ანტიტერორისტული მისია ავღანეთში... ქართულად

**„ვიდრე ავღანეთში წავიდოდი, ხშირად მეკითხებოდნენ წასვლის მიზეზს. ბევრს ეგონა, ჩემი გადაწყვეტილების საფუძველი ფინანსური დაინტერესება იყო. მართალია, არც უმაგისობაა, მაგრამ მთავარი მაინც მოტივაციაა, ანუ თავს ამოწმებ, ხარ თუ არა ნამდვილი მეომარი და შეგიძლია თუ არა სიკვდილს თვალებში ჩახედო. ეს კი ბევრს არ შეუძლია. ავღანეთში ყოფნის პირველი დღეები ისე მახსენდება, როგორც ჯოჯოხეთი, მაგრამ შემდეგ, იქაურობას შევეგუე", – მიყვება 31 წლის ზვიადი. მისი თქმით, ქართველები ავღანეთში მსოფლიო ტერორიზმს ებრძვიან, რომელიც სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოსაც ემუქრება, რადგან ტერორიზმი გლობალური მოვლენაა.**

— მშვიდობის დაცვა ჩემი და ასობით ჩემნაირი სამხედროს პირდაპირი ამოცანაა და ამას ემსახურება ISAF–ის მისია ავღანეთში, — ასეთია მოტივაცია, რომელსაც იქ ჩასულ ადამიანს უნერგავენ. ხშირ შემთხვევაში, ეს სიტყვები მეომარზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა, არიან ისეთებიც, ვისაც იქ გაჩერება ძალიან უჭირს და ჩამოსვლამდე ბევრი რამის, — კლიმატის, საკვების, დამოკიდებულებისა და იქ ნანახის გამო დეპრესია ემართება. სხვათა შორის, პირველი დღეების გადატანა ბრიტანელ და კანადელ ჯარისკაცებსაც უჭირთ. ყველაზე ყოჩაღად ამერიკელები იყვნენ.

**— რით იყო ეს განპირობებული?**

— მე ახალბედებში ბრიტანელებს და კანადელებს ვგულისხმობ, ჩვენს ნაწილში მყოფი ამერიკელებისთვის კი ეს „ვიზიტი" მესამე იყო და საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდათ. ყველაზე მეტი ადამიანური დანაკარგი სწორედ ამერიკელ ჯარისკაცებში იყო, რადგან მძიმე და შავი სამუშაოს შესრულება უწევთ. ჩვენებში კი მსხვერპლის მიზეზი, ძირითადად, გამოუცდელობაა.

**— თუმცა, ვიცი, რომ წინასწარი წვრთნა გაიარეთ.**

— დიახ, ჯერ კრწანისის საწვრთნელ ბაზაში, შემდეგ კი გერმანიაში, ქართველი, გერმანელი და ამერიკელი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით, ექსვთვიანი ფსიქოლოგიური და საბრძოლო მომზადება გავიარეთ, სადაც ქვეითი დანაყოფის ტაქტიკის, ტექნიკისა და პროცედურების გარდა, უამრავ მიმართულებაში მოგვამზადეს. მათ შორის იყო დაჯავშნული მანქანების ტარების სრული კურსი. ფიზიკური და თეორიული ტრენინგები GDP-ISAF-ს პროგრამით ჩატარდა და, ძირითადად, ქართული ჯარის ავღანეთში ოპერირებაზე იყო ფოკუსირებული. ჩაგვიტარდა საკომუნიკაციო და სადაზვერვო მასალების კურსიც. ზოგადი წვრთნების შემდეგ, სპეციალობების არჩევის დროც მოვიდა, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ჩემს არჩევანს ვერ დავასახელებ... იმის თქმა მინდა, რომ ძალიან რთული წვრთნა გავიარეთ და ავღანეთში კარგად მომზადებულები ჩავედით, თუმცა, ამერიკელების პირველივე საბრძოლო ოპერაციის დასრულებისთანავე მივხვდი, რომ ყველაფერი არც ისე ადვილი იყო, როგორც წვრთნების დროს.

**— რატომ?**

— რეალური საბრძოლო მოქმედებები და დაღუპული ადამიანების გარემოცვაში საქმის კეთება ძალზე ძნელია.

**— როგორი ვითარება დაგხვდათ ავღანეთში დისლოცირებულ ქართველ სამხედროებს?**

— პირველი, რაც ჰილმენდის პროვინციაში ჩასვლისთანავე ვიგრძენი, სულის შემხუთველი სიცხე იყო. კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ერთხელ ამერიკულ სამხედროებთან ერთად დაჭრილები გამოვიყვანეთ“

ვებში, სადაც თანამედროვე სამხედრო აპარატურა და უამრავი ჩემთვის გაუგებარი მოწყობილობა იყო დამონტაჟებული, შედარებით გრილოდა. შემდეგ გავიგე, რომ აქედან ზოგი კავშირის უზრუნველყოფას ემსახურებოდა, ზოგი ამინდს. რამდენიმე ეკრანზე შიდა ვითარებას აკვირდებოდნენ, ანუ ყველგან კამერები იყო. გვითხრეს, ამერიკულ სარდლობას ექვემდებარებით და მათ ბრძანებებს უნდა დაემორჩილოთო. პროვინცია, სადაც ჩვენი ნაწილი იყო განლაგებული, პაკისტანს ესაზღვრება. აჯაკის რაიონში ვიყავით. ეს ყველაზე სახიფათო ზონაა, ხშირად ხდება თალიბების სამიზნე. ამიტომაც ყველაზე დიდი ამერიკული სამხედრო ბაზა იქ არის მობილიზებული. ამერიკელი სამხედროები თვე-ნახევარი იმდენად კარგად აკონტროლებდნენ ვითარებას, რომ სროლისა და აფეთქებების ხმა მხოლოდ შორიდან გვესმოდა.

ჩემი ძმა საფრანგეთის მოქალაქეა. უკვე 15 წელზე მეტია იქ ცხოვრობს და მისგან ვიცოდი, რომ ასევე ანტიტერორისტული მისიით საფრანგეთის სამხედრო ნაწილში, ქაბულში იყო. მიუხედავად იმისა, რომ ეს ზონა შედარებით მშვიდია, ინტერნეტმიმოწერის დროს მითხრა, აქ არც ისეთი სიმშვიდეა, როგორსაც გვეუბნებოდნენო. მომიყვა, ფრანგულ კონტინგენთან ერთად საქართველოს 23-ე გაძლიერებული ბატალიონის ასეულია და ჩვენი ბიჭები ისეთი მაგრები არიან, ყველა გააოცეს, ქართველ მგლებს ეძახიანო. ზოგადად, ისეთ საინტერესო ამბებს მიყვებოდა, მასთან შედარებით, ჩვენ გვეძინა. მართალი გითხრათ, თავიდან დამოკიდებულებაც არ მოგვეწონა, ამერიკული სარდლობა ზედაც არ გვიყურებდა. დილით, მოწყობაზე, ამერიკელი სამხედრო რომ გამოგველაპარაკებოდა, გვეგონა, რაღაც საქმეზე გვგზავნიდა, მაგრამ იმ დღის მენიუს გვაცნობდა და გვეკითხებოდა, რამე შენიშვნები ხომ არ გაქვთო?!

**— კვება როგორი გქონდათ?**

— კარგი, მაგრამ ზოგს წიწიბურა არ მოსწონდა, ზოგსაც ჰერკულესი, რომელიც დილით აუცილებლად უნდა გვეჭამა და დეპრესიაში მყოფი სამხედროები ასეთ მენიუს აპროტესტებდნენ. პერიოდულად წყლის პრობლემაც გვქონდა და ამ საქმის უზრუნველყოფას ჩვენ გვანდობდნენ. ერთი-ორჯერ ავღანურ დასახლებებთანაც მივიტანეთ სპეციალური ავზები, მაგრამ ამერიკელმა სამხედროებმა იქ შესვლის უფლება არ მოგვცეს. მიუხედავად იმისა, რომ სრული ეკიპირებით ვიყავით.

**— თუ სწორად მივხვდი, უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. მაშ, რა იყო თქვენთვის მიუღებელი?**

— ლოდინი... როცა ადამიანმა იცის, რომ იქ სამხედრო მოქმედებების შესასრულებლად მიდის, შესაბამისად არის მომზადებული და განწყობილი. ლოდინის შემდეგ კი მას მოტივაცია ეკარგება. წარმოიდგინეთ, რომ გარშემო საბრძოლო ცხოვრება დუღს, ყოველდღე რაღაც ხდება. ჩვენ კი იმ სიცხეში ვჭამდით, ვვარჯიშობდით და წყალს დავათრევდით. არადა, როგორც გავარკვიეთ, ამერიკულ სამხედრო შენაერთებს თუ არ ჩათვლით, რაოდენობის მიხედვით მეოთხე ადგილზე ვიყავით. მალე აგვიხსნეს, რომ თვენახევრიანი პაუზის მიზეზი კლიმატთან ადაპტაცია იყო.

**— პირველი საბრძოლო ნათლობა როდის მიიღეთ?**

— „საბრძოლო“ პირობითად დავარქვათ, რადგან საქმეში ამერიკელ საზღვაო ქვეითთა მე-12 ბატალიონის მიერ ჩატარებული ანტიტერორისტული ოპერაციის შემდეგ ჩავერთეთ. იმ მონაკვეთის პატრულირება გვიწევდა, რომელზეც რამდენიმე დღის წინ ამერიკელებმა იერიში მიიტანეს. ეს იყო მიწურები უკიდურესი სიღატაკის ზღვარზე მყოფ დასახლებებს შორის. სოფელს შაბაზ-ქეილი ერქვა და მთიანი იყო. როცა ბინოკლით დავაკვირდი, შევამჩნიე, რომ მიწურის სარკმლებში, რომელიც ფანჯრის მოვალეობას ასრულებდა, თანამედროვე ბინოკლები იყო დამონტაჟებული. როგორც ერთმა ამერიკელმა, გვარად გოლდმანმა მითხრა, ეს ავღანელი ამბოხებულებით დასახლებული, ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო სოფელი იყო, ამიტომაც მისი სრული იერიში ვერ მოხერხდა. ბარიერი იყო მისი რელიეფური მდგომარეობაც. ავღანელები მთებში დაბანაკდნენ და იქიდან გვიტევდნენ. საკმაოდ კარგი შეიარაღება ჰქონდათ.

**— მაინც?**

— ისროდნენ როგორც მსხვილკალიბრიან იარაღს, ქვემეხებს, ასევე ავტომატებსაც. ავღანელები ოჯახის წევრებს ტოვებდნენ, მაგრამ იარაღს არა. სიცოცხლის რისკის ფასად ბრუნდებოდნენ უკან და დაღუპულ თანამებრძოლებს იარაღს ართმევდნენ. ერთხელ, პატრულირებისას, ჩვენების „ჰამერზე“ დამონტაჟებული კოშკურა დაზიანდა. მე ტყვია მილიმეტრებში ამცდა. წესით, იქ არ უნდა ვმჯდარიყავი. სწორედ ამაზე მივიღე შენიშვნა რამდენიმე დღის წინ, მაგრამ რატომღაც ისე მოხდა, რომ არ გავითვალისწინე და იმ მანქანაში ჩავჯექი, რომელიც ჩემთვის არ იყო განკუთვნილი. ამ სახიფათო დარღვევისთვის ამერიკული სარდლობისგან საყვედური მივიღე. იქ დაღუპული ჩვენი ბიჭების უმეტესობა სწორედ პატრულირების დროს დაიღუპა, თუ არ ჩავთვლით იმ რამდენიმე შემთხვევას, როცა ნაღმზე აფეთქდნენ.

**— ავღანელი ამბოხებულები საც-**

**ხოვრებლების დატოვების შემდეგ ნაღმებს ტოვებენ?**

— არა მარტო მეომრები, ქალები, მოხუცები და მოზარდებიც. შეიძლება შეგხვდეთ 12 წლის ბიჭი, რომელსაც დიდი საბრძოლო გამოცდილება აქვს. სიკვდილის შიში არა აქვთ და სწორედ ამიტომაც არიან საშიში. ასეთ ადგილებში მუშაობის დროს, მაქსიმალური სიფრთხილეა საჭირო და ამიტომაც ამერიკელი სამხედროების ყოველი ნაბიჯი, სამხედრო მოქმედებებს არ ვგულისხმობ, წინასწარ არის გათვლილი და დაზუსტებული. ერთხელ ამერიკული სადაზვერვო ნაწილი ამბოხებულთა სოფელ შირაქულაში გადაისროლეს. ეს არის შუკვანის ბაზის (ბაზას ეს სახელი ავღანეთში დაღუპული ქართველი ოფიცრის მუხრან შუკვანის საპატივცემულოდ ეწოდა) მიმდებარე ტერიტორია. თალიბების დაჯგუფებასთან ხანგრძლივი შეტაკების შემდეგ, სოფლის მარცხენა მხარეს (მათ სოფლებს უამრავი შიდა შესასვლელი აქვს და ერთმანეთთან მიწისქვეშა გზებით არის დაკავშირებული) მიტოვებულ შენობას გადააწყდნენ. ასეთ ადგილებში შესვლა განსაკუთრებით საშიშია, რადგან, როგორც წესი, ყველაზე საშიში მეომრები არიან დაბანაკებული და გადამწყვეტი ბრძოლისთვის ემზადებიან. რამდენიმესაათიანი იერიშის შემდეგ ყველანი გაანადგურეს, მაგრამ 10-ზე მეტი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა და 23 დაიჭრა. ამერიკელები ასე პროფესიონალურად რომ არ იყვნენ გაწვრთნილი, ბევრად მეტი დანაკარგი იქნებოდა.

**— თქვენთან როგორი ურთიერთობა აქვთ ამერიკელ ჯარისკაცებს?**

— თუ რამეს შეეკითხები, გიპასუხებენ, მაგრამ რომ გითხრათ, თან გადაგყვებიან-მეთქი, სიმართლე არ იქნება. რამდენიმემ მირჩია, პატრულირების დროს დაჭრილ ავღანელს როგორც კი დაინახავ, მაშინვე ნუ მიეჭრები, შეიძლება იარაღი ან სულაც ასაფეთქებელი ნივთიერება ჰქონდესო.

**— პატრულირება ინსტრუქტორების თანხლებით ხდება თუ დამოუკიდებლად?**

— ინსტრუქტორების თანხლებით და თანამებრძოლების უსაფრთხოებას დანარჩენები იცავენ, მაგრამ ინტრუქტორები ყველა მონაკვეთსა და ნაბიჯზე ხომ ვერ გამოგვყვებიან? საერთოდ, ყველას ვურჩევ, იქ ნამყოფი და გამოცდილი სამხედროების ყველა რჩევა და მითითება გაითვალისწინონ. თუნდაც სასმელი წყლის დალევა იყოს. შესაძლოა, იქამდე მისასვლელი გზა დანაღმული იყოს. ისე კი, იქ ყველას თავისი საქმე აქვს. ავღანეთში დისლოცირებული ნებისმიერი სამხედრო, თუკი არ სძინავს, თავის მოვალეობას ასრულებს.

**— ავღანელები თქვენთან ურთიერთობას გაურბოდნენ?**

— ქართველ ინსტრუქტორებთან ერთად ყანდაარის ოლქში რამდენჯერმე შევხვდით ავღანეთის ნაციონალური არმიის ჯარისკაცებს, მათ საკმაოდ მაღალ დონეზე მომზადებული სამხედროები ჰყავთ.

მათთან ადგილობრივი თარჯიმნის დახმარებით ვკონტაქტობთ. ძალიან გახსნილებიც არ არიან, მაგრამ თუ გამოელაპარაკე, პასუხს გაგცემენ. ბავშვები უფრო თამამები არიან. ერთხელ ამერიკელ სამხედროებთან ერთად მიწურიდან 13 ბავშვი გამოვიყვანეთ. იქაურობა დახოცილი მეომრების გვამებით იყო მოფენილი და საშინელი სუნი იდგა, კიდევ რამდენიმე დღე რომ დარჩენილიყვნენ, მოიწამლებოდნენ.

**ლალი პაპასკირი**





# რა კანონს არღვევს თავდაცვის სამინისტრო...

## რატომ არღვევს თავდაცვის უწყება კანონს „სამხედრო-სარეზერვო სამსახურის შესახებ“ და რა სიახლეებია სამხედრო-სარეზერვო სისტემაში

31 ოქტომბერს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა განცხადება რეზერვის შესახებ. ტექსტის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას ეტაპობრივად გადაამზადოს რეზერვის ნებაყოფლობით გავლის მსურველები. რეზერვის შესახებ მოქმედი კანონის „საქართველოს კანონი სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ თანახმად, ნებაყოფლობითი რეზერვის გავლა შეუძლიათ საქართველოს იმ მოქალაქეებს, ვისაც არ ეკუთვნით სავალდებულო რეზერვი.

თავდაცვის უწყება განცხადებაში მსურველებისთვის აქვეყნებს ტელეფონის ნომრებს და ელექტრონული ფოსტის მისამართსაც, სადაც მითითებულია, თუ რა ინფორმაცია უნდა გაგზავნოს მოხალისე რეზერვისტმა. რაც მთავარია, ტექსტის ბოლო ნაწილში ნათქვამია, რომ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები აწარმოებენ აღრიცხვას, შემდგომში მსურველთა შეფასებასა და მათთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდებას. „ბოლო ეტაპი კი იქნება წვრთნები“, –ვკითხულობთ თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაში.

როგორც ხედავთ, განცხადება რამდენიმე სიახლეს შეიცავს არსებულ სამხედრო-სარეზერვო სისტემასთან დაკავშირებით, იგულისხმება, ერთი მხრივ, ნებაყოფლობითი რეზერვის ამოქმედებას, რაც აქამდეც იყო კანონში ჩაწერილი და 2010 წლის შემდგომ მხოლოდ ახლა ამოქმედდა, და რაც მთავარია, ამ განცხადების სიახლე ის არის, რომ მოხალისე რეზერვისტების აღრიცხვას აწარმოებენ თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები. ერთი შეხედვით ლოგიკურია, რომ ეს ასეც მოხდეს, მაგრამ ეს ჩანაწერი სამართლებრივად ეწინააღმდეგება კანონს „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“. კანონის მე-7 მუხლი განმარტავს სამხედრო-სარეზერვო სამსახურის მოსამსახურეთა აღირიცხვიანობას, რომლის პირველ პუნქტში ნათლად არის განმარტებული, რომ სამხედრო-სარეზერვო სამსახურის მოსამსახურეთა აღრიცხვას აწარმოებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური. მეორე პუნქტის თანახმად კი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახური ვალდებულია რეზერვისტთა შესახებ სააღრიცხვო ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტს.

**კანონიდან ნათლად ჩანს, რომ თავდაცვის სამინისტროს განცხადება მოხალისე რეზერვისტების აღრიცხვიანობის შესახებ ეწინააღმდეგება არსებულ კანონს,** რაც ისევ და ისევ იმაზე მეტყველებს, რომ კანონი კარგა ხნის მოძველებულია და არსებული რეალობა და ცვლილებები, რაც განხორციელდა აგვისტოს ომის შემდგომ სამხედრო-სარეზერვო სისტემაში, არ არის ასახული 2006 წელს მიღებულ კანონში. ამას ემატება ისიც, რომ თავდაცვის სამინისტროს განცხადებით ეროვნული გვარდიის ფუნქციები შეიცვალა და მას დარჩა მხოლოდ საგანგებო სიტუაციების და სამოქალაქო თავდაცვის კომპონენტი, რაც ასევე არ ასახულა კანონში და საჭიროებს საკანონმდებლო ცვლილებებს.

საინტერესოა, ალბათ, თუ რატომ გაახსენდა თავდაცვის უწყებას მხოლოდ ახლა არსებული კანონი სამხედრო-სარეზერვო სამსახურის შესახებ და რატომ იწყებს ნებაყოფლობითი რეზერვის მიღებას. თუ გავიხსენებთ ახლახან გავრცელებულ სარეკლამო რგოლს, სადაც მოქალაქე აცხადებს, რომ ნებით შედის რეზერვში და ემსახურება საქართველოს, მიხვდებით, რომ ეს ჩანაფიქრი ახალი არ არის. თუმცა იმდენად, რამდენადაც ამ დრომდე არ არსებობს არც რეზერვის მომზადების კონცეფცია, არც ახალი კანონი და ამასთან, არც სურვილი თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებისა, ამ კითხვებს პასუხი გასცენ, ჩვენ, მოქალაქეებს, მხოლოდ ვარაუდები შეგვიძლია გამოვთქვათ. **დღეისათვის არ არის ცნობილი, რა რაოდენობის რეზერვისტს იწვევს ქვეყანა წლიურად და რა რაოდენობის იქნება ნებაყოფლობითი რეზერვი, უკავშირდება თუ არა ამ ოდენობის გაზრდა მოსალოდნელ არჩევნებს, თუ შეიცვალა ქვეყნის უსაფრთხოების გარემო.** არადა, ეს ის კითხვებია, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოება არ არის და ამ ინფორმაციის გასაჯაროება ქვეყანას ზიანს არ მიაყენებს.

თავდაცვის კონფერენციაზე, რომელიც ოქტომბრის ბოლოს ჩატარდა თბილისში, მომეცა საშუალება დამესვა კითხვა, თუ რატომ გაიზარდა წვევამდელთა რაოდენობა თავდაცვის სამინისტროში, რაზედაც ბანალური პასუხი გამცა გენშტაბის უფროსის მოადგილემ, რომ წვევამდელები აქამდეც ჰყავდა სამინისტროს და ახლაც იყოლიებს. სავარაუდოდ, ამგვარ პასუხს მივიღებთ ასევე რაოდენობრივად გაზრდილ რეზერვისტებთან დაკავშირებულ კითხვაზეც.

რა თქმა უნდა, რეზერვის ყოლა აუცილებელია, ნებაყოფლობითობაც მისასალმებელია, მაგრამ ეს უნდა მოხდეს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით და არა ეტაპობრივად, ახალ-ახალი იდეების საფუძველზე. **არ უნდა გამეორდეს ის შეცდომები, რაც დაუშვა ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობამ რეზერვის მომზადებაში აგვისტოს ომამდე. გარანტია კი ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ სამოქალაქო სექტორს არ მიუწვდება ინფორმაციაზე ხელი, არ გაგვაჩნია.** ვიმედოვნებთ, რომ თავდაცვის უწყება გამოიჩენს კეთილგონიერებას და შეცდომებს აღარ გაიმეორებს.

***თეონა აქუბარდია***

*არასამთავრობო ორგანიზაცია*

*„თავდაცვისა და უსაფრთხოების*

*სამოქალაქო საბჭოს“ გამგეობის წევრი*

სამხედრო ბიბლიოთეკა



# რაკეტული აფერა სომხურად

21 სექტემბერს ერევანში, სომხეთის დამოუკიდებლობის მე-20 წლისთავის აღსანიშნავად აღლუმი გაიმართა, მაგრამ მეზობელი აზერბაიჯანის რამდენიმე ხნით ადრე გამართულ აღლუმს მასშტაბურობითა და სიახლეებით ნამდვილად ვერ შეედრებოდა. ამ ორ სახელმწიფოს დიდი ხანია კონფლიქტი აქვს, ამიტომაც თავიანთი სიძლიერის დემონსტრირებას ცდილობენ.

აზერბაიჯანი რეგიონში უმდიდრესი სახელმწიფოა და თავდაცვაზე მილიარდებს ხარჯავს, რისი დასტურიც ბაქოში გამართული აღლუმი იყო.

შემოსავლების ოდენობით სომხეთი მეზობელს მნიშვნელოვნად ჩამორჩება. მიუხედავად ამისა, თავისი საბრძოლო შესაძლებლობების განდიდებას მაინც ცდილობს.

სომეხთა თქმით, 21 სექტემბრის აღლუმისგან მეტს მოელოდნენ. აღლუმზე არ გამოუყვანიათ „სმერჩის“ ტიპის ზალპური რეაქტიული სისტემები, არადა, ოფიციალური ერევანი კარგა ხანია ირწმუნება, შეიარაღებაში გვაქვსო. მას შემდეგ, რაც ბაქომ აღლუმზე Точка-У-ს ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური კომპლექსები გამოიყვანა (სამი ერთეული), ოფიციალურმა ერევანმა ახლა უკვე საჯაროდ განაცხადა, რომ ასეთი სისტემები მასაც აქვს.

შორსმსროლელი რეაქტიული სისტემები და ოპერატიულ-ტაქტიკური კომპლექსები ბაქოს დიდ უპირატესობას აძლევდა, მაგრამ ერევნის მტკიცებით თავის განკარგულებაში Точка-У-ს არსებობით მეზობელ სახელმწიფოსთან ამ კლასის შეიარაღებაზე პარიტეტს მიაღწია, მაგრამ აღლუმზე დამსწრენი სულ სხვა რამის მოწმენი გახდნენ.

21 სექტემბერს, ისევე როგორც აღლუმის გენერალურ რეპეტიციაზე, ერევნის ქუჩებში გამოჩენილი Точка-У-ს თვითმავალი გამშვები დანადგარები რაკეტების გარეშე იყვნენ.

სომხებმა ამ ტიპის კომპლექსის ოთხი ერთეული (საბორტე ნომრები 140, 141, 142 და 143) გამოიყვანეს და ყველა ურაკეტოდ. ყოველივე ეს კარგად ჩანს აღლუმის ამსახველ ფოტოსურათებზე.

რაკეტების ნაცვლად, სომხური „ტოჩკების“ გამშვებ დანადგარებზე რაკეტის ცხვირა ნაწილის უხეირო მულაჟები

Точка-У-ს საბრძოლო ქობინი (მარცხენა ფოტო), რომელსაც ერევანში აღლუმზე ნაჩვენებ მულაჟისგან (მარჯვენა ფოტო) განსხვავებით, არც ჭრილი და არც თავზე წამოცმული დაჭეჭყილი კონუსი აქვს











ზემოდან ქვემოთ: კომპლექსები Точка-У აღლუმებზე ერევანში, ბაქოსა და კალინინგრადში. ბოლო ორის შემთხვევაში რაკეტა გაშლილი სტაბილიზატორებით თითქმის სრულად ჩანს და მანქანაზე შესანიღბი ბადეც არ არის გადაჭიმული

იყო დაყენებული. ვინც იცის, რას წარმოადგენს კომპლექსი „ტოჩკა“, ამ გაყალბებას იოლად შენიშნავდა.

კომპლექსი 9К79 Точка შეიარაღებაში 1975 წელს მიიღეს. თუმცა მისი დემონსტრირება შედარებით გვიან, 1985 წელს მოხდა, მაშინ კომპლექსებმა წითელ მოედანზე მონაწილეობა 9 მაისის აღლუმში მიიღეს. შემდეგ მან მოდერნიზაცია გაიარა და 1989 წელს გაუმჯობესებული 9К79-1 Точка-У გაჩნდა.

კომპლექსის რაკეტის გამოყენება 15-დან 120 კმ-მდე მანძილზე შეიძლება და მაქსიმალური მანძილის დასაფარად 163 წმ-ია საჭირო.

Точка-У-ს ჩვენც კარგად ვიცნობთ, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისას, ამერიკელთა მტკიცებით, რუსებმა ამ კომპლექსის 20-მდე რაკეტა გვესროლეს.

დავუბრუნდეთ ერევნის აღლუმს. აღლუმებზე ამ სარაკეტო ტექნიკის ჩვენებისას, ყურადღება ყოველთვის რაკეტას ექცევა, რადგან ის შეიარაღების ბირთვია. ასეთ დროს „ტოჩკას“ თვითმავალი გამშვები დანადგარის საგდულები ღიაა და რაკეტა გაშლილი სტაბილიზატორებით (მეტი ეფექტისთვის) ამწევ მექანიზმს ისე ჰყავს ამოყვანილი, რომ ის სრულად გამოჩნდეს. გამშვებ მანქანას საგდულები ზემოთ მთელ სიგრძეზე (კაბინის გარდა) და ნაწილობრივ უკანა მხარესაც აქვს. ასე რომ, გაღებული საგდულებით „საალლუმო მდგომარეობაში“ მყოფი რაკეტის კუდის ნაწილის, მასზე არსებული საჭეებისა და საქშენის დანახვა თავისუფლად შეიძლება.

სომხურ „ტოჩკებს“ კი მსგავსი არაფერი ჰქონდათ. გახსნილი საგდულების მთელ სიგრძეზე შესანიღბი ბადე იყო გადაჭიმული. მაგრამ, თუ გამშვებ მანქანაზე რაკეტა იქნებოდა დაყენებული, ეს ვერ მოხერხდებოდა.

„საალლუმო მდგომარეობაში“ მანქანიდან რაკეტის ცხვირი დაახლოებით 1 მ სიმაღლეზე ამოდის. მის შუა ნაწილში გახსნილი სტაბილიზატორებია, კუდა ნაწილში კი გახსნილი საჭეები. ყველაფერი ეს გამშვები მანქანის კონტურს სცილდება ისე, რომ მათზე ბადის გადაფარება ისე, რომ რაკეტა არ გამოჩნდეს, შეუძლებელია. სომხურ „ტოჩკებზე“ ერთადერთი, რაც რაკეტის იმიტირებას ახდენს, რაკეტის ცხვირა ნაწილის მულაჟია, მაგრამ ისიც უხეირო. რაკეტის იმპროვიზაციის დეტალურ ფოტოზე ნათლად ჩანს, წითლად შეღებილი კონუსი, მაგრამ რაკეტის ცხვირა ნაწილებს ამ ფერად სხვებიც, მაგალითად, ბელორუსები ღებავენ. ამავე ფოტოზე „რაკეტის“ ცხვირა ნაწილს მთელ სიგრძეზე ჭრილი მიუყვება, თითქოს სიმეტრიულად გაჭრილი ორი ნაწილისგან შედგებოდეს.

სინამდვილეში ის, რაც სომხებმა „ტოჩკას“ რაკეტად გაასაღეს, გამშვები მანქანის ერთ-ერთი ელემენტია. ეს ფუტლარი გამშვებ მანქანაში არსებული რაკეტის საბრძოლო ნაწილს მექანიკურად დაზიანებისგან იცავს. რაკეტის გაშვებისას ის შუაზე იხსნება (ფოტოზე არსებული ჭრილი) და რაკეტას ათავისუფლებს. ჩანს, სომხებმა ფუტლარს მდებარეობა შეუცვალეს და რაკეტის ცხვირის იმიტაციისთვის წითელი კონუსი წამოაცვეს. თავად რაკეტის უქონლობა რომ არავის შეემჩნია, გამშვებ მანქანას შესანიღბი ბადე გადააფარეს.

ძნელი სათქმელია, სომხეთს მართლაც აქვს თუ არა „ტოჩკას“ რაკეტები (თუმცა არსებობს ყარაბაღში სწავლებისას სომხური „ტოჩკების“ გაშვების ვიდეოკადრები), მაგრამ ცხადია, რომ ძალის დემონსტრირება ნამდვილად არ გამოუვიდა.

**ალექსანდრე აფაქიძე**



# რუსეთის საგარეო დაზვერვა: მარცხი მარცხს მოსდევს

მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლოს აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ოფიციალურად გამოაქვეყნა ფარულად გადაღებული კადრები, სადაც ასახულია 2010 წლის ზაფხულში დაკავებული და შემდგომ ქვეყნიდან გაძევებული რუსეთის საგარეო დაზვერვის არალეგალური აგენტების ფარული შეხვედრები, ინფორმაციის მომენტალური გადაცემისა და სამალავში დოკუმენტების მოთავსების ეპიზოდები. ამ კადრებში ფიგურირებს ანა ჩაპმანიც, რუსი ლამაზმანი, რომელიც შემდეგ რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინის მონდომებით რუსი ახალგაზრდებისთვის მისაბაძი უნდა გახდეს. პუტინის დიდი მონდომების მიუხედავად, უკანასკნელ წლებში რუსეთის არალეგალური დაზვერვა მარცხს მარცხზე განიცდის. მაშინ, როცა პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინს საქვეყნოდ თავი მოაქვს რუსეთის სპეცსამსახურების სიძლიერით და „შედეგიანი“ ოპერაციებით, რუსეთის საგარეო დაზვერვას კრიზისი აქვს. კანადა, დიდი ბრიტანეთი, სულ ახლახან კი გერმანია – ის ქვეყნებია, სადაც უკანასკნელ წლებში რუსეთის არალეგალურად და ღრმა კონსპირაციით მოქმედი აგენტები გამოავლინეს. ცოლ-ქმართა წყვილი: იენ და ლორა ლამბერტები; ანდრეას და ჰაიდრუნ ანშლაგები, ბრიტანეთის საიმიგრაციო სააპელაციო კომისიამ რუსული წარმოშობის ეკატერინე ზატულივეტერი და კიდევ მრავალი აგენტი უკვე გამოამჟღავნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანიაში მომხდარი ფაქტი, რომელსაც შესაძლებელია დიდი პოლიტიკური სკანდალი მოჰყვეს გერმანიასა და რუსეთს შორის. დღეს „არსენალის“ მკითხველს რუსეთის არალეგალური დაზვერვის ჩავარდნების მცირე ანალიზს შევთავაზებთ.

## სპეცსამსახურების უმაღლესი პილოტაჟი: არალეგალური დაზვერვა

უცხო ქვეყანაში დიპლომატის მუნდირით დაცული და თბილ კაბინეტში მოკალათებული მზვერავის რისკი ახლოსაც კი ვერ მივა ღრმა კონსპირაციით ათწლეულების მანძილზე მცხოვრები არალეგალი აგენტის ყოველდღიურ ნერვულ სტრესსა და მრავალწლიან, სხვის გვარს ამოფარებულ ფარულ ცხოვრებასთან.

მას ხომ ყველაფერი (გვარ-სახელი, ბიოგრაფია) მოპარული აქვს და უცხო ქვეყანაში გამოაშკარავების მუდმივი შიშით ცხოვრობს, რადგან თუ დააპატიმრეს, ძალზე მძიმე სასჯელი ელის. არალეგალურ დაზვერვაში საკმაოდ დიდი მიღწევები ჰქონდა საბჭოთა იმპერიას. გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში თითქმის არ შექმნილა სამხედრო ან მშვიდობიანი დანიშნულების მნიშვნელოვანი პროდუქცია (ატომური იარაღით დაწყებული და საკერავი მანქანებით დამთავრებული), რომლის წარმოებისათვის აუცილებელი ტექნოლოგიები, საპროექტო დოკუმენტაცია, ნედლეული, მასალები და ა.შ. სრულად ან მნიშვნელოვანწილად სხვა ქვეყნებიდან არ ყოფილიყო არალეგალური დაზვერვის მიერ „მოპოვებული“, ანუ მოპარული.

არალეგალური დაზვერვა ურთულესი პროცესია. ის მოითხოვს ყველა წვრილმანის შესწავლას და გათვალისწინებას. საბჭოთა „არალეგალები“ მრავალწლიანი ფარული აგენტურული მუშაობის დაწყების წინ სამი თვიდან ორ წლამდე სპეციალურ მომზადებას გადიოდნენ.

მომზადება ორ ეტაპად ტარდებოდა. პირველ ეტაპზე დაწვრილებით სწავლობდნენ იმ ქვეყნის ისტორიას, კულტურას, არქიტექტურას, წეს-ჩვეულებებს და ა.შ., სადაც ფარულად უნდა ეცხოვრათ. მეორე ეტაპზე უკვე ოპერატიული ტექნიკის გამოყენებას ასწავლიდნენ. პარალელურად დახურულ რეჟიმში მუშაობდა კა-გე-ბეს „ს“ (არალეგალური დაზვერვის) სამმართველო. მისი მე-2 — „დოკუმენტაციისა და ლეგენდირების განყოფილების“ ოპერატიული თანამშრომლები მთელ მსოფლიოში, როგორც წესი, სხვადასხვა ქვეყნის სასაფლაოებზე და საეკლესიო წიგნებში ეძებდნენ ბავშვობაში გარდაცვლილების გვარებს, ამის საფუძველზე ქმნიდნენ ხელოვნურ ბიოგრაფიებსა და ლეგენდებს (რაც შემდეგ არალეგალ მზვერავს ზეპირად უნდა სცოდნოდა), ამზადებდნენ ყალბ დოკუმენტებს და ა.შ.

„არალეგალების“ მთავარი ამოცანა იყო აგენტების გადაბირება, საიდუმ-



ბოლო დროს აშშ-ში დაკავებულ რუს აგენტებს შორის ანა ჩაპმანი გამორჩეული იყო... ყველა ნიშნით

ლო დოკუმენტაციის მოპოვება, საბჭოთა აგენტებთან ოპერატიული კავშირის უზრუნველყოფა, პოლიტიკური მკვლელობებისა და დივერსიების მომზადება-ჩატარება და სხვ.

არალეგალური დაზვერვა ყველა ქვეყნის სპეცსამსახურისთვის ძვირი სიამოვნებაა, თუმცა იმავდროულად მისი სიძლიერის მაჩვენებელიცაა.

## საბჭოთა და რუსეთის სპეცსამსახურები ბრიტანეთის წინააღმდეგ

საბჭოთა სპეცსამსახურების ფარულ ბრძოლას დიდ ბრიტანეთთან დიდი ხნის ისტორია აქვს. 1920-1930 წლებში საბჭოთა სპეცსამსახურები და კომინტერნი ინგლისში ოპერატიული მუშაობის გასაშლელად, ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობისა და საელჩოს უქონლობის გამო, „საზურავად" ძირითადად სავაჭრო წარმომადგენლობას, გაზეთებს, სამეცნიერო-სასწავლო და კულტურის ცენტრებს იყენებდნენ.

საბჭოთა დაზვერვამ უცხოელების გადმობირების ყველა „რეკორდი", ცნობილი აგენტურული ქსელის ე.წ. „კემბრიჯის ხუთეულის" ჩამოყალიბებით მოხსნა.

30-იანი წლების დასაწყისში ლონდონის კემბრიჯის უნივერსიტეტი და მისი თრინითი-კოლეჯი, ისევე როგორც ოქსფორდის უნივერსიტეტი (მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის კონტრდაზვერვა MI-5 აქტიურად მუშაობდა განათლების სისტემაში სხვა ქვეყნების დაზვერვის შეღწევის თავიდან ასაცილებლად) საბჭოთა აგენტების „სამჭედლო" გახდა.

1934 წლის თებერვალში საბჭოთა დაზვერვის გამოცდილი თანამშრომელი 30 წლის არნოლდ დეიჩი (ენ-კა-ვე-დეს კადრების სამმართველოში აღრიცხული იყო როგორც სტეფან ლანგი, ავსტრიელი ებრაელი, ოპერატიული ფსევდონიმი „ოტო", „სტეფანი") საიდუმლო სადაზვერვო დავალებით ლონდონში ჩავიდა. მის წინაშე მეტად რთული ოპერატიული ამოცანა იდგა, – დიდი ბრიტანეთის ინტელიგენციაში უნდა შეერჩია გადაბირების კანდიდატები და ძალზე ფრთხილი მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ გადაებირებინა.

სამეცნიერო და სტუდენტური სფეროს უკეთ შესწავლის მიზნით საბჭოთა აგენტი პირველ ეტაპზე ლონდონის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე მსმენელად ჩაირიცხა, ხოლო 1936 წელს უკვე ფსიქოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი დაიცვა, რის შემდეგ მას ლექციების წაკითხვის უფლება მიეცა.

სულ ორ-სამ წელიწადში ახალგაზრდა პროფესორმა დეიჩმა გადმოიბირა 20-ზე მეტი აგენტი (მათ შორის საბჭოთა დაზვერვის „მარგალიტები" — კემბრიჯის „შესანიშნავი ხუთეული": გაი ბერჯესი (1911-1963 წწ), დონალდ მაკკინლი (1913-1983 წწ.), ენტონი ბლანტი (1907-1983 წწ.), კიმ ფილბი (1912-1988 წწ.) და ჯონ კერნქროსი (1913-1995 წწ).

საბჭოთა დაზვერვას ერთგული ხალხი პროფესორთა წრეშიც ჰყავდა. კემბრიჯის უნივერსიტეტის თრინითი-კოლეჯის ეკონომიკის პროფესორი მორის დობი აქტიურ კომუნისტურ აგიტაციას ეწეოდა სტუდენტებს შორის და საბჭოთა დაზვერვას გადაბირების პერსპექტიულ კანდიდატებზე ამომწურავ ინფორმაციას აძლევდა. აქედან კი უკვე ერთი ნაბიჯი იყო აგენტობამდე. სამაგიეროდ, მორის დობის წიგნები ასიათასობით ტირაჟით დაიბეჭდა საბჭოთა კავშირში.

„კემბრიჯის ხუთეულმა" გადაბირებიდან 5-6 წელიწადში უმნიშვნელოვანესი საკვანძო პოსტები დაიკავა დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებაში – საგარეო საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებში, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურებში. მათ კარიერულ წინსვლას გეგმავდა და მაქსიმალურად ხელს უწყობდა საბჭოთა დაზვერვა. ამიტომაც ამ აგენტებმა შეძლეს რეკორდული დრო, 20-30 წელი აქტიურად ემუშავათ და კრემლისთვის მიეწოდებინათ 25 ათასზე მეტი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი.

ზემოთ მოთხრობილ ისტორიულ ფაქტში ყველაზე მთავარი ისაა, რომ „კემბრიჯის ხუთეულის" გადაბირება მათი კომპრომეტირებით დაიწყო. კომპრომატად კი გამოყენებული იყო ის, რომ... ისინი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მიმდევრები იყვნენ.

## სექსშპიონაჟის მეთოდები საბჭოთა სპეცსამსახურებში

სპეცსამსახურები ყოველთვის წარმატებით იყენებდნენ ადამიანურ სისუსტეებს. კაცური განცხრომის ქართულ ფორმულაში („ღვინო, დუდუკი, ქალები"), თუ „დუდუკს" „ფულით" შევცვლით, მივიღებთ:

აგენტურის გადაბირების ყველაზე შედეგიან და უნივერსალურ საშუალებას „სექსოპერაციას". ამ ოპერაციის მიზანი სხვა ქვეყნის საიდუმლო დოკუმენტაციის ხელში ჩაგდება, მაღალჩინოსანთა გადაბირება ან კომპრომეტირებაა.

სპეცსამსახურების უახლეს ისტორიაში ყველაზე მეტი „კაზანოვა" გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო დაზვერვას ჰყავდა. მისმა შეფმა მარკუს ვოლფმა თავად დაამუშავა „სექსოპერაციების" მეთოდიკა და

წარმატებით ხელმძღვანელობდა ფედერაციულ გერმანიაში მათ შეგზავნას.

სწორედ მან შექმნა „ჯაშუში რომეოს“ მთელი პლეადა. მისი დავალებით გდრ-ის ახალგაზრდა სიმპათიური მამაკაცი-მზვერავები ფარულად იგზავნებოდნენ დასავლეთ გერმანიაში, სადაც გფრ-ის სახელმწიფო სტრუქტურებში (უპირველესად კი კანცლერის აპარატში, პოლიციასა და სპეცსამსახურებში) და NATO-ს შტაბბინაში მომუშავე ბალზაკის ასაკის მდივან ქალბატონ-საქალბატონეებზე იწყებდნენ ნადირობას. შემდეგ კი ყურებამდე შეყვარებული ქალები ჩანთებით ეზიდებოდნენ საიდუმლო დოკუმენტებს. ეს ოპერაციები, რომლებიც ძალზე უმნიშვნელო თანხები ჯდებოდა, ვოლფს საშუალებას აძლევდა გფრ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკასა და NATO-ს გეგმებზე ამომწურავი ინფორმაცია ჰქონოდა.

საბჭოთა სპეცსამსახურები კიდევ უფრო შორს წავიდნენ – ისინი დიდხანს იყენებდნენ „რომეოებს“ და „ჯულიეტებს“ (რომლებსაც კა-გე-ბეს ჟარგონზე „მერცხლებსაც“ ეძახდნენ).

პირველებს ელჩის შეუხედავი ცოლების, მინისტრების გაუთხოვარი, თანაც მახინჯი მდივნებისა და მბეჭდავების ცდუნება ევალებათ. „ჯულიეტები“ კი თავად ეშმაკსაც აცდუნებენ.


რუს შპიონებთან დაკავშირებულ სკანდალებს დასასრული არა აქვს...

საბჭოთა კავშირის ყველა იმ სასტუმროსა და რესტორანში, სადაც ძირითადად უცხოელები შედიოდნენ, გამოყოფილი იყო მოსასმენი და სათვალთვალო ტექნიკით აღჭურვილი (სპეცსამსახურების ტერმინოლოგიით „პლუსიანი“) ნომრები და მაგიდები. ასე რომ, გულუბრყვილო უცხოელები ვერც წარმოიდგენდნენ, რომ მათი ყველა „შრიალ-გრიალი“ ქუჩასა თუ სასტუმროს ნომერში, საბჭოთა სპეცსამსახურების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყო.

სასტუმროებსა და რესტორნებში მორიგეობდნენ ინტერგოგონებიც ანუ „პუტანკები“, რომლებიც უცხოელებზე „მუშაობდნენ“. მილიცია მათ ხელს არ უშლიდა, რადგან მათი მფარველი ყოვლისშემძლე კა-გე-ბე იყო.

ჩვენი მზიური რესპუბლიკაც ხშირად იყო უცხოელი ტურისტების სამოგზაურო მარშრუტებში. ასეთ შემთხვევებში „ცენტრი“ (ანუ მოსკოვი) ადგილობრივ ორგანოებს ოპერატიული დაინტერესების ობიექტის თვალთვალსა და მაკომპრომეტირებელი მასალების მოგროვებას ავალებდა.

თბილისის პრესტიჟული სასტუმროები „ივერია“ და „აჭარა“ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა „სექსოპერაციებში“. რამდენიმე საუკეთესო ნომრის საძინებლები აღჭურვილი იყო სათვალთვალო აპარატურით და მუდმივი აუდიო- და ვიდეოჩაწერა მიმდინარეობდა.

**ბესიკ ალადაშვილი**

*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*

(დასასრული შემდეგ ნომერში)


ინგლისის MI5-ს რუსი აგენტებისგან საქმეები არ აკლდება

# კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...



ბოლო ერთ კვირაში აზერბაიჯანის არმიაში სხვადასხვა შემთხვევათა შედეგად 3 ჯარისკაცი დაიღუპა

## აზერბაიჯანი

● 8-16 ნოემბერს ბერლინში გერმანელი და აზერბაიჯანელი სამშვიდობოების ერთობლივი ბატალიონის საშტაბო სწავლება ჩატარდება.

● თურქული კომპანია MKEK-ი აზერბაიჯანს სხვა ქვეყნებში საბრძოლო მასალების რეალიზაციაში დაეხმარება. ბაქო დაინტერესებულია საზღვარგარეთ გაყიდოს „კალაშნიკოვის“ ავტომატის ვაზნები, ხელის ტანკსაწინაალმდეგო ყუმბარსატყორცნები РПГ-7В და მისი გასროლები, ასევე, 40 მმ-იანი ყუმბარსატყორცნის ВОГ-25 ტიპის გასროლები და სხვ.

● „აზერბაიჯანი სამხედრო-სადაზვერვო თანამგზავრის შესაძენად ისრაელის მთავრობასთან ინტენსიურ მოლაპარაკებას აწარმოებს“, — გაავრცელა ინფორმაცია ისრაელის საიტმა debka.com-მა. საიტი ასევე იტყობინება, რომ მოლაპარაკებაზე განიხილება შეიარაღების მატარებელი უპილოტო საფრენი აპარატების წარმოების საკითხი.

● ნებაყოფლობითი სამხედრო-პატრიოტული სპორტულ-ტექნიკური საზოგადოება ორგანიზებას უკეთებს მზვერავთა მომზადების კურსებს. სწავლას შეძლებენ წვევამდელი ასაკის ახალგაზრდები, ხოლო მომზადებას სპეცქვედანაყოფების ყოფილი ოფიცრები უხელმძღვანელებენ. კურსანტები შეისწავლიან შენიღბვის სახეებს, სხვადასხვა იარაღის გამოყენებას, ხელჩართულ ბრძოლას, უხმაურო იარაღისა და მათ შორის არბალეტის სროლას. ამჟამად ნებაყოფლობითი სამხედრო-პატრიოტული საზოგადოება არმიისთვის ამზადებს მძღოლებს, სნაიპერებსა და სანაღმო საქმის სპეციალისტებს.

● გრძელდება მოლაპარაკება თურქულ კომპანიებთან აზერბაიჯანის არმიის ბორბლებიანი და მუხლუხა ჯავშანტრანსპორტიორების მოდერნიზაციაში მონაწილეობაზე. გარდა ამისა, თურქულმა კომპანიებმა საზღვრების ელექტრონული სისტემით აღჭურვაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს.

● 28 ოქტომბერს აღდამის რაიონში დენის დარტყმით გამოწვეულ უბედურ შემთხვევას 19 წლის ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა.

● 27 ოქტომბერს სუმგაითში სამხედრო-სატვირთო ავტომობილის საბურავის გაბერვისას მისმა გასკდომამ ჯარისკაცი იმსხვერპლა.

● აზერბაიჯანმა ირანის საპროტესტო ნოტა მიიღო იმის გამო, რომ ირანის სასაზღვრო სამსახურის პოლკოვნიკი მოითაბ მუსავი პატრულირებისას შემთხვევით აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადავიდა და ის მესაზღვრეებმა მოკლეს.

● თურქული კომპანია MKEK-ის გენერალური დირექტორის უნალ ონსიფაპიოღლუს თქმით, დაიწყება 40 მმ-იანი რევოლვერული ტიპის ყუმბარსატყორცნებისა და მისთვის საჭირო საბრძოლო მასალების წარმოება. ამჟამად აზერბაიჯანის არმიაში ტესტირებას გადის კომპანიაში დამზადებული 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნები.

## სომხეთი

● ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტი 2011 წელთან შედარებით 5,7%-ით გაიზრდება და 154 მლრდ 600 მლნ დრამს, ანუ დაახლოებით 407 მლნ 904 ათას დოლარს მიაღწევს.



ბაქოს საპასუხოდ თავდაცვის ბიუჯეტი სომხეთმაც გაზარდა





ყარაბაღის საზენიტო-სარაკეტო ჯარები თვითაღიარებული რესპუბლიკის საჰაერო სივრცეს რუსული რაკეტებით იცავენ

● რუსეთის სახმელეთო ჯარების სარდალმა, გენერალ-პოლკოვნიმა ალექსანდრ პოსტნიკოვმა ოფიცრების ჯგუფთან ერთად 1-5 ნოემბერს გიუმრის 102-ე რუსული ბაზის ქვედანაყოფების ორგანიზაციულ-საშტატო ღონისძიებები შეამოწმა და ახალი სასწავლო წლისთვის მზადებაში დახმარება გაუწია.

● 27-31 ოქტომბერს რუსმა და სომეხმა სამხედროებმა ალაგიოზის პოლიგონზე ერთობლივი სწავლება ჩაატარეს და დაამუშავეს სამთო პირობებში თავდაცვითი ბრძოლის ამოცანები. სწავლებაში მონაწილე რუსეთის არმიის 500 სამხედრო მოსამსახურე სამხედრო ტექნიკის 200 ერთეულის — БМП-2-ების, Т-72Б-ების, თვითმავალი ჰაუბიცების 2С3 Гвоздика-ს, თვითმავალი საზენიტო დანადგარების Шилка-ს, ტანკსაწინაალმდეგო მართვადი რაკეტებისა და ნაღმსატყორცნების მხარდაჭერით მოქმედებდა. სასწავლო სროლებში რუსულმა ქვედანაყოფებმა საბრძოლო მასალის 10 ათასზე მეტი ერთეული გახარჯეს. სომხების მხრიდან სწავლებაში ცალკეული მოტომსროლელი პოლკის ბატალიონის, სპეცდანიშნულების ასეულისა და საარმიო ავიაციის 300 სამხედრო მონაწილეობდა. გამოყენებულ იქნა შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის 50 ერთეული, აგრეთვე საარმიო ავიაციის ორი Ми-8 შვეულმფრენი.

● 25 ოქტომბერს კაფან-გორისის გზის 39-ე კმ-ზე ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის დაჯავშნული ავტომობილი გადაბრუნდა. დაიღუპა უფროსი ლეიტენანტი არამაის სარგსიანი, ხოლო სამმა ჯარისკაცმა სხვადასხვაგვარი ტრავმა მიიღო.

## ჩრდილო კავკასია

● ოქტომბრის ბოლოს ინგუშეთში ტროიცკის გარნიზონის პოლიგონზე ხანგრძლივი შესვენების შემდეგ პირველად ჩატარდა სწავლება. 300-მა სამხედრომ საბრძოლო და სპეციალური ტექნიკის 60 ერთეულისა (მათ შორის იყო რამდენიმე БМП-3) და Ми-8 შვეულმფრენების დახმარებით სამთო პირობებში მოწინააღმდეგეზე სხვადასხვა საცეცხლე საშუალებით ზემოქმედების ტექნიკა სრულყო.

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● 2009 წლის მაისიდან საოკუპაციო ჯარების მესაზღვრეებმა დააკავეს ე.წ. სახელმწიფო საზღვრის დამრღვევი 490 კაცი, საიდანაც 64 — რუსეთის, 130 — ე.წ. სამხრეთ ოსეთის, 292 — საქართველოს, 2 — ბრიტანეთის, 1 — აზერბაიჯანისა და 1 — ჩეჩნეთის მოქალაქეა. ამოღებულია 121 ცეცხლსასროლი იარაღი, 15447 სხვადასხვა კალიბრის ვაზნა, АГС-17-ის 156 ყუმბარა, 102 ხელყუმბარა, ნაღმსატყორცნის 13 ნაღმი, ხელის ყუმბარსატყორცნის 67 გასროლა და 1 ტროტილის კოჭი. რუსი მესაზღვრეების ფხიზელ თვალს არ გამოეპარა და დააკავეს სტრატეგიული მნიშვნელობის ისეთი ტვირთი, როგორიცაა 1 ტ-ზე მეტი ატამი, 3,5 ტ ხურმა, 3,5 ტ მწვანილი, 5 ტ კომბოსტო და ა.შ.

### თვითაღიარებული ყარაბაღი

● ყარაბაღის არმიის ინფორმაციისა და პროპაგანდის განყოფილების ინფორმაციით, ოქტომბრის მეორე ნახევარში საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფებმა აზერბაიჯანის საჰაერო სივრცეში უპილოტო საფრენი აპარატები რამდენჯერმე დააფიქსირეს.

● სამხედრო ნაწილ „ეხნიკნერში“ ჯარისკაცის ცემისა და დამცირების გამო დაკავებული არიან იმავე ნაწილში სავალდებულო სამსახურში მყოფი 3 ჯარისკაცი. ისინი თავიანთ თანამებრძოლს სცემდნენ, ამცირებდნენ, ტანზე სიგარეტს უქრობდნენ. ჯარისკაცს მწვავე ფსიქიკური აშლილობა განუვითარდა და ერევნის სამხედრო ჰოსპიტალის ფსიქიატრიულ განყოფილებაში მოათავსეს.

**თემურ ჩაჩანიძე**

# სტალინ-ბერიას აგენტურა ქართულ ემიგრაციაში




**(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N16-22, 2011)**

ორივე წყარო („ბერიას დოკუმენტი“ და სუდოპლატოვის მოგონებები) აგენტ „59“-ს მოიხსენიებს როგორც ქართველი მენშევიკების პარტიის აქტიურ წევრს 1918 წლიდან და ნოე ჟორდანიას უახლოეს თანამებრძოლს. მაგრამ ამ შემთხვევაში „59“-ე ვერ იქნებოდა გიორგი გეგელიას ოპერატიული ფსევდონიმი, რადგან ის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, სპირიდონ კედიას უახლოეს გარემოცვაში მყოფი პირი და აქედან გამომდინარე, ნოე ჟორდანიას მუდმივი ოპონენტი იყო.

ჩვენს შეხედულებას ამყარებს ერთი საინტერესო ფაქტი, რომელიც 1931 წელს მოხდა პარიზში და ნოე რამიშვილის მკვლელის, პარმენ ჭანუყვაძის სასამართლო პროცესს, კონკრეტულად კი მოწმე დომენტი ქერქაძის ჩვენებებს უკავშირდება.

მკითხველს მოკლედ შევახსენებთ, თუ რა ვითარება იყო 1931 წლის 12-14 ნოემბერს სასამართლო პროცესზე.

პარიზში გამომავალი ქართული ემიგრანტული გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ დაწვრილებით აშუქებდა სასამართლო პროცესს. ჭანუყვაძეს იცავდა ანრი ტორესი, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელისა და სტალინთან დაახლოებული მორის ტორესის ძმა.

დაზარალებულის ინტერესების დამცველს, მორო ჯიაფერის არ გასჭირვებია მოწმეთა (პირველ რიგში სანდრო მენაღარიშვილის) დაკითხვის შემდეგ ჭანუყვაძის დანაშაულის დამტკიცება, რაც შემდგომ თავად მკვლელმაც აღიარა. ერთი შეხედვით ეს საქმე ძალზე მარტივად უნდა დასრულებულიყო. თუმცა მთავარი ბრძოლა ორი მიმართულებით გაიშალა: რა იყო მკვლელობის მოტივი და ვინ იყვნენ ჭანუყვაძის წამქეზებლები – აი, ამ ორი საკვანძო საკითხის გარკვევას შეეცადა სასამართლოს თავმჯდომარე ბარნო.

## „სამშობლოში დაბრუნებას დამსახურება უნდა!“

როგორც უკვე ითქვა, 1925-27 წლებში პარიზში სტალინის დავალებით სპეციალურად მივლინებულმა ჩეკისტმა ლორთქიფანიძე-„ცაგარელმა“ დავალება ვერ შეასრულა და ნოე რამიშვილის „მორჯულება“ ვერ შეძლო.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთმა ლიდერმა უარი თქვა სტალინის მოთხოვნაზე, შეეწყვიტა აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა. უფრო მეტიც, ის პირადად ხელმძღვანელობდა თურქეთის ტერიტორიიდან საბჭოთა საქართველოში მზვერავების შემოგზავნას. ამით რამიშვილმა არჩევნის საშუალება აღარ დაუტოვა სტალინს, რის შემდეგაც საბჭოთა დიქტატორს მხოლოდ ერთადერთი გზა დარჩა – ნოე რამიშვილის ფიზიკური ლიკვიდაცია, რაც ქართულ ემიგრაციას დიდ დარტყმას მიაყენებდა.

ჩვენი აზრით, საბჭოთა საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელებს დაავალეს, დაეგეგმათ და შეესრულებინათ ნოე რამიშვილის მკვლელობა. ბუნებრივია, ამ სპეცოპერაციაში აქტიურად ჩაერთო საქართველოს სსრ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო, რომელსაც 1926 წლის 12 თებერვლიდან 1931 წლის 3 დეკემბრამდე ლავრენტი ბერია ხელმძღვანელობდა. ის პარალელურად ამიერკავკასიის ოგეპეუს თავმჯდომარის მოადგილეც იყო.

მკითხველის ყურადღება ერთ საინტერესო ფაქტზე გვინდა შევაჩეროთ, რომელიც მეტყველებს, რომ ბერია უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის წინააღმდეგ სადაზვერვო ოპერაციების ჩატარებას.

ლავრენტი ბერიამ ათი წელი (1921-31 წ.წ.) იმუშავა ამიერკავკასიის და საქართველოს ჩეკა-ოგეპეუს ორგანოებში. ის ხუთი წელი იყო ამიერკავკასიის სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე და მხოლოდ 1931 წლის 17 აპრილს, ანუ ნოე რამიშვილის მკვლელობიდან სამ თვეში, დააწინაურეს და თავმჯდომარედ დანიშნეს.

მცირე ხნის შემდეგ კი ბერია კიდევ უფრო მაღლა ავიდა კომუნისტური იერარქიის საფეხურებზე და სტალინის პირადი გადაწყვეტილებით 32 წლისას ამიერკავკასიის ბატონ-პატრონობა მიანდვეს.

ეს დამთხვევა ნამდვილად არაა: ჩვენი აზრით, სტალინმა ბერიას დაუფასა

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი ლიდერის მკვლელობის ორგანიზება. ჩვენი აზრით, ლავრენტი ბერიამ ისე დაგეგმა და შეასრულა ნოე რამიშვილის მკვლელობა, რომ პირდაპირი სამხილების მოძებნა დღესაც შეუძლებელია.

პარმენ ჭანუყვაძის შესახებ დოკუმენტური წყაროები (ქართულიც და უცხოურიც) უმეტესად ამტკიცებს მკვლელის საბჭოთა სპეცსამსახურებთან კავშირს, თუმცა ამის დამამტკიცებელი დოკუმენტი არ არის მოყვანილი. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც საბჭოთა სპეცსამსახურების პრაქტიკაში პოლიტიკური მკვლელობების ბრძანებები, როგორც წესი, სიტყვიერად გაიცემოდა და წერილობითი დოკუმენტები არ იქმნებოდა.

რა პიროვნული ან იდეოლოგიური დაპირისპირება ამოძრავებდა ნოე რამიშვილის მკვლელს? რა გარემოებამ აიძულა პარმენ ჭანუყვაძე, მკვლელი გამხდარიყო?

პარიზში 1931 წლის ნოემბერში სასამართლო პროცესზე ჭანუყვაძე ცდილობდა მკვლელობა პირადი შურისძიების მოტივით აეხსნა: „რამიშვილი სამსახურს შემპირდა და არ მიშოვა", „საქართველოში დაბრუნებას დამპირდა და მომატყუა" და ა.შ.

ჩვენი აზრით, ჭანუყვაძის და კიდევ მრავალი სხვა ემიგრანტის საბჭოთა დაზვერვასთან თანამშრომლობის მთავარი მიზეზი ქართული ემიგრაციის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში უნდა ვეძიოთ.

სასამართლო პროცესზე ნათლად გამოჩნდა, რომ ჭანუყვაძე იყო ხელმოკლეობისგან გაბოროტებული და ყველაფერზე წამსვლელი კაცი, რომელსაც იმედი გადაეწურა და ბოლშევიკურ საქართველოში დაბრუნება ერთადერთ გადარჩენად მიაჩნდა.

აქ ქართული ემიგრაციის ცხოვრების ერთ ძალზე მნიშვნელოვან რეალობაზე გვინდა შევჩერდეთ. 20-30-იან წლებში ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას ცხოვრება იმდენად უჭირდა, რომ გენერლები (მაგ. გიორგი კვინიტაძე) მაწვნის ბიზნესით, ხოლო პოლიტიკოსები (რომლებიც მენშევიკთა ფრთას არ ეკუთვნოდნენ) ტაქსის მძღოლობით ირჩენდნენ თავს.

თავად სპირიდონ კედიაც, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი, საფრანგეთში ჩასვლის პირველ წლებში ავტომობილის შეძენაზე ფიქრობდა, რათა ამით ეშოვა საარსებო წყარო. ამის თაობაზე მას გიორგი მაჩაბლისთვისაც მიუწერია. საბოლოოდ მაჩაბელმა ის პარფიუმერიულ ბიზნესში ჩართო, რამაც მყარი შემოსავალი გაუჩინა კედიას ოჯახს.

პარმენ ჭანუყვაძე ყველაფერზე წავიდოდა, რათა საბჭოთა პასპორტი მიეღო და საქართველოში დაბრუნებულიყო. სასამართლოზე დომენტი ქერქაძის ჩვენებებით გაირკვა, რომ ამის თაობაზე ჭანუყვაძე რამდენჯერმე იყო პარიზში საბჭოთა საელჩოში, საიდანაც დაიმედებული გამოისტუმრეს. ჩვენი აზრით, საელჩოში დაახლოებით შემდეგი სცენა გათამაშდა:

**მობუზული პარმენი ერთხანს საელჩოს პატარა ოთახში ამყოფეს მარტო. შემდეგ ჩეკისტი (აუცილებელი არაა ქართველი ყოფილიყო. სავარაუდო გვარების ჩამოთვლაც შეგვიძლია, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს) შემოვიდა და მკაცრი ხმით ერთსაათიანი ლექცია წაუკითხა სამშობლოს სიყვარულზე. ბოლოს კი შემპარავად შეეკითხა:**

**— სამშობლოში დაბრუნება მართლაც გინდა?**

**— რა თქმა უნდა, ბატონო, — უპასუხა უმუშევარმა და მშიერმა ემიგრანტმა. — ბატონო კი არა, ამხანაგო! — შეაწყვეტინა ჩეკისტმა, შემდეგ ცოტა მოლბა და ჭანუყვაძისთვის (ასევე მისი მომავალი მსხვერპლისთვის) საბედისწერო წინადადება წარმოთქვა: — სამშობლოში დაბრუნება უნდა დაიმსახურო!**

ამგვარი სცენა პარიზსა და ლონდონში, ბერლინსა და ნიუ-იორკში და კიდევ მრავალი ქვეყნის დედაქალაქში მრავალგზის გათამაშებულა და შედეგი უმრავლეს შემთხვევაში ერთი იყო: ემიგრანტი თანახმა იყო, ან აგენტობა ეკისრა ან კონკრეტული დავალება შეესრულებინა.

ამის დამადასტურებელი ბევრი დოკუმენტური ფაქტი მოგვეპოვება, თუმცა დღეს მათზე არ შევჩერდებით. საბჭოთა დაზვერვა საფრანგეთში მოქმედი აგენტურის საშუალებით ყოველმხრივ ცდილობდა, არ გამჟღავნებულიყო ჭანუყვაძის კავშირი საბჭოთა მხარესთან და მკვლელობის მოტივად მენშევიკურ პარტიაში მიმდინარე შიდაპოლიტიკური გარჩევები წარმოჩენილიყო. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ჭანუყვაძე პარიზში საბჭოთა საელჩოში დადიოდა, რამიშვილის მკვლელობის შემკვეთთა ვინაობა გაიშიფრებოდა.

სასამართლო პროცესის წინ ქართველმა ემიგრანტმა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრმა ქერქაძემ, რომელიც, როგორც ჩანს, ჭანუყვაძესთან ახლობლობდა, ნოე რამიშვილის ქვრივს წერილობით დაუდასტურა, რომ მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე ჭანუყვაძე საბჭოთა საელჩოში რამდენჯერმე იმყოფებოდა და იქიდან დაიმედებული მოდიოდა, რადგან მას ვიზის მიცემას და საქართველოში დაბრუნებას ჰპირდებოდნენო.

ეს ინფორმაცია ხელს არ აძლევდა საბჭოთა დაზვერვას და მისმა აგენტმა გიორგი გეგელიამ პარიზის პოლიციაში წაიყვანა ქერქაძე და იქ განცხადება დააწერინა, თითქოსდა ნოე რამიშვილის ქვრივისთვის გაგზავნილი ბარათი მენშევიკთა პარტიის წევრებმა სანდრო მენაღარიშვილმა და შალვა ბერიშვილმა მას ძალდატანებით დააწერინეს.

მთელი ეს მსჯელობა იმისთვის დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა: გიორგი


ენ-კა-ვე-დე ოპერატიულად მოქმედებდა და საეჭვო პირებს ქუჩაშივე აკავებდა

გეგელია ამიერკავკასიის ოგპეუდან (რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც იმ პერიოდში ლავრენტი ბერია იყო), რომელიც მიღებული დირექტივების მიხედვით ცდილობდა ჭანუყვაძის საბჭოთა საელჩოსთან (ფაქტობრივად დაზვერვასთან) ყოველგვარი კავშირის მიჩქმალვას, 1931 წლის ნოემბერში უკვე გაშიფრული იყო, როგორც საბჭოთა აგენტი.

ამავე დროს ის დაუპირისპირდა ნოე ჟორდანიას ერთგულ ხალხს და სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიურ წევრებს — სანდრო მენაღარიშვილსა და ნოე რამიშვილის დისშვილს, შალვა ბერიშვილს.

აქედან გამომდინარე, 1925-31 წლებში გეგელია მენშევიკური პარტიის აქტიური წევრი არ ყოფილა და ნოე ჟორდანიას ნდობით აღჭურვილი პირიც ვერ იქნებოდა.

შემდგომ წლებშიც გეგელიას შესაძლო კავშირი მენშევიკებთან, ბუნებრივია, ვერ დაიმალებოდა, მით უფრო მის მიერ პირადად ნოე ჟორდანიას დავალებების შესრულება სწრაფადვე ცნობილი გახდებოდა ემიგრაციისთვის.

არც ერთი ემიგრანტული ან სპეცსამსახურების საარქივო წყარო გეგელიას კავშირს მენშევიკებთან არ ადასტურებს. ამავე დროს „59“-ს ბიოგრაფიულ მონაცემებთან გეგელიას ანკეტური მონაცემების შედარება გვიჩვენებს, რომ გეგელია ჩეკას მიერ ანტისაბჭოთა საქმიანობისთვის არასდროს ყოფილა დაკავებული, ის არ მონაწილეობდა 1924 წლის აჯანყებაში და საზღვარგარეთ არა 1924 წელს, არამედ 1925 წელს საფრანგეთში სწავლის გასაგრძელებლად წავიდა.

გეგელია არასდროს ყოფილა მენშევიკების საზღვარგარეთის ბიუროს წევრი და აქედან გამომდინარე, ნოე ჟორდანიას კონფიდენციალურ დავალებებსაც ვერ შეასრულებდა. გეგელია არც „პრომეთეს“ კომიტეტის წევრი გახლდათ.

საბჭოთა დაზვერვის დავალებით გეგელია ყოველთვის სპირიდონ კედიას ერთგული მიმდევრის როლს თამაშობდა, ცდილობდა სულ მის გვერდით ეტრიალა და პარტიის ლიდერის დავალებები შეესრულებინა. ეჭვი გეგელიას საბჭოთა დაზვერვასთან კავშირის შესახებ ქართულ ემიგრაციაში ჯერ კიდევ 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან არსებობდა, რასაც კარგად აღწერს თავის მოგონებებში სოფიო ჩიჯავაძე-კედია.

## „ომერი“ = „59“ = გიორგი გეგელიას?

ამგვარად, ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბჭოთა დაზვერვის აგენტ გეგელიას ოპერატიული ფსევდონიმი „59“-ე, როგორც გენერალი სუდოპლატოვი წერს, ვერ იქნებოდა.

ჩვენი აზრით, ამ შეცდომის მიზეზი შემდეგ გარემოებებში უნდა ვეძიოთ: გენერალი პავლე სუდოპლატოვი ღრმად მოხუცი იყო, როდესაც მოგონებების გამოქვეყნებას შეუდგა. წიგნი (Разные дни тайной войны и дипломатии. 1941 год), სადაც ჩვენთვის საინტერესო საკითხებია განხილული, მოსკოვში 90-იანი წლების ბოლოს გამოიცა. წიგნის ხელნაწერი კი გენერალ სუდოპლატოვის ვაჟის, ა. პ. სუდოპლატოვისა და პუბლიცისტ ვ. ზენკოვიჩის მიერ 1991-95 წლებში გენერლის დღიურების და მასთან საუბრების მაგნიტოფონის ფირზე ჩანაწერების საფუძველზე მომზადდა.

სუდოპლატოვის ზემოთ დასახელებულ წიგნში მოყვანილი ქართველ ემიგრანტ-აგენტ „ომერის“ ანკეტური მონაცემები სიტყვასიტყვით მეორდება „ბერიას დოკუმენტშიც“, თუმცა იქ აღნიშნულია, რომ ეს მონაცემები... აგენტ „59“-ს ეკუთვნის.

ჩვენი აზრით, სუდოპლატოვის წიგნში ეს ბიოგრაფიული ცნობები 1995 წელს მოსკოვში გამოცემული საბჭოთა დაზვერვის საიდუმლო დოკუმენტების კრებულიდან „Органы государственной безопасности СССР в Великой Отечественной войне: Накануне (ноябрь 1938 г. — декабрь 1940 г.). Сборник документов. Т. 1 Кн. 1“ (სადაც მოთავსებული იყო „ბერიას დოკუმენტიც“) მოხვდა. შემდეგ კი სუდოპლატოვის წიგნში არასწორად იქნა გადმოცემული.

გასაკვირი არაა, რომ 90 წელს მიტანებულ გენერალს ბევრი ფაქტი ვერ ან არასწორად გაახსენებინა. ამიტომაც საბჭოთა დაზვერვის აგენტ გიორგი გეგელიას გვარი (მკითხველს შევახსენებთ, რომ სუდოპლატოვი ქართველ ემიგრანტ-აგენტს „გიგელიად“ მოიხსენიებს) და მისი ოპერატიული ფსევდონიმი „59“-ე გენერალს არასწორად აქვს დაფიქსირებული. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ შეცდომა წიგნის ხელნაწერის ავტორებმა დაუშვეს. ერთი რამ გადაჭრით უნდა ითქვას, ამ შემთხვევაში დოკუმენტების კრებული (აქედან გამომდინარე, „ბერიას დოკუმენტიც“) უფრო სანდო ისტორიული წყაროა, ვიდრე სუდოპლატოვის მოგონებები.

ჩვენი აზრით, გარკვეულია, რომ ოპერატიული ფსევდონიმები „59“ ან თუნდაც „ომერი“, საბჭოთა დაზვერვის აგენტ გიორგი გეგელიას არ ეკუთვნოდა. ამის შემდეგ გასარკვევი დაგვრჩა, თუ რომელი ქართველი ემიგრანტები მოქმედებდნენ ამ ოპერატიული ფსევდონიმებით. ან „59“ და „ომერი“ ხომ არ იყო ერთი და იმავე აგენტის სხვადასხვა ფსევდონიმი?

**ბესიკ ალადაშვილი**
ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ძერჟინსკიმ საბჭოთა ჩეკისტების სკოლის საფუძვლები შექმნა

# „ანსარ ალ-ისლამი"

## სადამ ჰუსეინის იდეების ერთგული ქურთი ვაჰაბიტები



„ანსარ-ალ-ისლამის" საველე მეთაურთა ჩაცმულობა უბრალო აქტივისტებისაგან არაფრით განსხვავდება

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი" N22, 2011)

### „ანსარ ალ-ისლამის" სტრუქტურა, ტაქტიკა და იდეოლოგია

„ანსარ ალ-ისლამს", სხვა მსგავს ორგანიზაციებთან შედარებით, უფრო მარტივი სტრუქტურა აქვს — ის რამდენიმე ათეული დაჯგუფებისგან, ანუ „ჯამაათისაგან" (აჯ-ჯამაა) შედგება.

ჯამაათები ერთიანდებიან „ისლამური წინააღმდეგობის კომიტეტებში" („ალ-ლიჯან ალ-მუკაუამა ალ-ისლამიია"), რომელთაც სათავეში ამირები უდგანან; კომიტეტები, როგორც წესი, რეგიონული ნიშნით ყალიბდება.

ამირები, თავის მხრივ, „დიდ ისლამურ საბჭოში" („აჯ-ჯამაა ალ-ქაბირ ალ-ისლამიია") შედიან და უმაღლეს ამირას („ალ-ამირ ალ-ქააბირ") ემორჩილებიან. დიდ ისლამურ საბჭოს ექვემდებარება ასევე რამდენიმე კომიტეტი — შარიათის, წვრთნისა და აღჭურვის, პროპაგანდის, შიდა და გარე დაზვერვის, საგარეო ურთიერთობათა და ფინანსების.

„ანსარ ალ-ისლამი" მკაცრად ცენტრალიზებული ორგანიზაციაა — უმაღლესი ამირას სიტყვა კანონია. სხვათა შორის, უმაღლესი ამირა შარიათის კომიტეტის ხელმძღვანელიცაა, რაც მიუთითებს, რომ სასულიერო ხელისუფლებაც მის ხელშია.

„ანსარ ალ-ისლამის" რიგებში ახალი წევრის მისაღებად რთული პროცედურის გავლაა საჭირო და კანდიდატს თავდებად რომელიმე გამოცდილი წევრი უნდა დაუდგეს, თუმცა ეს საკმარისი არ არის: ორგანიზაციაში გაწევრების მსურველი ყურანისა და შარიათის დოგმებს უნდა იცავდეს, იყოს სანიმუშო მორწმუნე და სამხედრო საქმეშიც ერკვეოდეს.

კანდიდატი ავსებს სპეციალურ კითხვარს, სადაც დაწვრილებით წერს, თუ რომელი მეჩეთის მრევლია, ისმენდა თუ არა ოდესმე რომელიმე მუსლიმანი ღვთისმეტყველის ლექციებს (დადებითი პასუხის შემთხვევაში უნდა მიუთითოს, სად და როდის), არიან თუ არა სანიმუშო მორწმუნენი მისი ოჯახის წევრები. სხვათა შორის, ასეთი კითხვარის შევსება „ალ-ქაიდას" წევრობის კანდიდატებსაც ევალებათ.

„ანსარ ალ-ისლამის" პარტიზანები, ტრადიციულად, კამუფლირებული სამხედრო ფორმით იმოსებიან, ხოლო სახეს კი, როგორც წესი, არაბული თავსაბურავით — კუფიით იფარავენ. ამასთან, მეთაურების ჩაცმულობა უბრალო აქტივისტებისაგან არაფრით განსხვავდება — მხოლოდ უმაღლესი ამირა ატარებს მწვანე შუბლსაკრავს, რომელზეც ოქროსფერი ასოებითაა ამოტვიფრული მუსლიმანური რწმენის უმთავრესი სიმბოლო — შაჰადა.

ორგანიზაციის ყველა წევრს ევალება, ჩაიცვას უბრალოდ, ისე, რომ თანამოძმეთაგან არაფრით გამოირჩეოდეს: „მხოლოდ ალაჰია გამორჩეული და ამიტომაცაა თაყვანისცემის ღირსი" — ასეთია ისლამისტი პარტიზანების დევიზი.

გარდა ამისა, ორგანიზაციის წევრებს ეკრძალებათ ნამდვილი სახელით მოქმედება — ტერორისტულ ორგანიზაციებში საყოველთაოდ გავრცელებული წესის თანახმად, ისინი მამის ან უფროსი შვილის სახელით იწოდებიან, რომელსაც წინ უძღვის მსაზღვრელი „იბნ" („ძე") ან „აბუ" („მამა"). მაგალითად, ისლამისტ პარტიზანთა აწ უკვე დაპატიმრებული ლიდერის აბუ აბდულაჰ აშ-შაფიის სახელი სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ, „შაფიელი აბდულაჰის მამა" გამოვა, დღევანდელი ლიდერის, ალი იბნ მუჰამადის სახელი კი „ალი მუჰამადის ძეს" ნიშნავს.

წევრის ნამდვილი სახელი მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგღა ხდება ცნობილი, მანამდე კი საიდუმლოდ ინახება, ვინც ამ საიდუმლოს გაამხელს, სიკვდილი ემუქრება.

არაბებისგან განსხვავებით, ქურთებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქურთისტანში ყველანაირი იარაღის ტარება ნებადართულია; ამიტომ ქალაქებში პარტიზანები უბრალო მოქალაქეებისგან არაფრით განსხვავდებიან

გვარიც აქვთ; „ანსარ ალ-ისლამის“ მესვეურები გვარის ტარებას „არაისლამურ გადმონაშთად“ მიიჩნევენ და მკაცრად ეწინააღმდეგებიან, მიუხედავად იმისა, რომ თვადაც ქურთები არიან.

„ანსარ ალ-ისლამის“ საბრძოლო ტაქტიკა პარტიზანულია, თუმცა მისი აქტივისტები მასშტაბურ შეტაკებებს თავს არ არიდებენ, რადგანაც ჯერ ერთი, კარგად არიან შეიარაღებული და მეორე — ბრძოლა ასევე პარტიზანებთან უწევთ: ქურთი მემარცხენე „ფეშმერგები“ პარტიზანული ომის დიდოსტატებად ითვლებიან და მათ არც ისლამისტი პარტიზანები ჩამორჩებიან — ერნესტო ჩე გევარას, მაო ძედუნისა და პარტიზანული ომის სხვა მემარცხენე თეორეტიკოსების ნაშრომები, რომლებითაც „ფეშმერგები“ ხელმძღვანელობენ, „ანსარ ალ-ისლამის“ მესვეურებმაც ზეპირად იციან. ეს უკანასკნელები განსაკუთრებით პარტიზანული ომის უდაბნოში წარმოებაში არიან დახელოვნებული, 2003 წელს, როცა ერაყში მოკავშირეთა ჯარები შეივიდნენ და სადამ ჰუსეინის რეჟიმს დაუპირისპირდნენ, ამერიკულ მასმედიაში გავრცელდა მეტად დაუჯერებელი ინფორმაცია, ქალაქ ჰალაბჯის მისადგომებთან, დარიჯას უდაბნოში ამერიკელ ჯარისკაცებს აქლემებზე ამხედრებული ბედუინები დაესხნენ თავს და ორ საათში უკუაქციეს.

„აქლემებზე ამხედრებული ბედუინები“ სინამდვილეში, რაღა თქმა უნდა, სწორედ „ანსარ ალ-ისლამის“ პარტიზანები იყვნენ. აქლემებს ისინი ბრძოლებში იყენებენ, რადგანაც ეს ცხოველი უდაბნოში ტანკზე უფრო სწრაფად მოძრაობს და ბენზინი არ სჭირდება.

გარდა ამისა, ისლამისტი-პარტიზანები იყენებენ პიკაპებსაც, რომლებზეც ნაღმსატყორცნებია დამონტაჟებული. ქალაქში პარტიზანულ ომს რაც შეეხება: ერაყის ქურთისტანი, სადაც „ანსარ ალ-ისლამი“ მოქმედებს, არც ისე ურბანიზებულია, ამიტომაც ისლამისტ-პარტიზანებს ზედმეტი გარჯა არ უწევთ. ქურთისტანში იარაღის ტარება (მათ შორის — ავტომატებისა და ნაღმსატყორცნებისაც) არ იკრძალება, რადგანაც ქურთები მებრძოლი ხალხია და უიარაღოდ არ დადიან; ამდენად, „ანსარ ალ-ისლამის“ წევრები რიგითი მოქალაქეებისგან თითქმის არაფრით განსხვავდებიან და ნებისმიერი სახეობის იარაღით თავისუფლად შეუძლიათ სიარული.

„ანსარ ალ-ისლამის“ საბრძოლო ტაქტიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ ტერაქტებში შაჰიდები ნაკლებად მონაწილეობენ. „რა თქმა უნდა, ისლამისთვის თავგანწირვა კარგი და მისასალმებელია, მაგრამ მებრძოლმა, ვისაც არაფერი აწუხებს და ბრძოლა შეუძლია, სჯობს მტერი დააზიანოს, თავად კი ცოცხალი დარჩეს“, — ქადაგებდა მოლა ქრექარი.

ამ შეგონებას „ანსარ ალ-ისლამის“ მესვეურები ყოველთვის იცავენ: მათგან შაჰიდი ხდება მხოლოდ ის, ვისაც რაიმე მიზეზით ბრძოლა აღარ შეუძლია — ამერიკის ანტიტერორისტული ცენტრის ცნობებით, ქურთი ვაჰაბიტების მიერ ჰალაბჯაში, ქირქუქსა და „სუნიტურ სამკუთხედში“ (ასე უწოდებენ ცენტრალური ერაყის ერთ-ერთ რეგიონს) ტერაქტების მომწყობი შაჰიდები, ძირითადად, ინვალიდები იყვნენ. მაგალითად, ქალაქ ჰალაბჯის სავაჭრო ცენტრში თავი აიფეთქა მამაკაცმა, რომელიც პოლიციელებმა მათხოვრად მიიჩნიეს — მას არც ერთი ფეხი არ ჰქონდა და ცალი თვალითაც ბრმა იყო, არადა, 20 კაცზე მეტი შეიწირა.

აქედან გამომდინარე, „ანსარ ალ-ისლამის“ მესვეურები ციხეებსა თუ ინვალიდთა თავშესაფრებში სპეციალურად გადაიბირებენ ხოლმე შაჰიდებად გამოსადეგ ხალხს, ვისაც ინვალიდობის ან უკურნებელი სენის გამო ამქვეყნად ცხოვრება აღარ უღირს და როგორც ამერიკელი ექსპერტები ხუმრობენ ხოლმე, სამოთხისკენ მოკლე გზას ასწავლიან. ამგვარი პრაქტიკა სხვა ისლამურ-ტერორისტულ ორგანიზაციებშიც გამოიყენება, თუმცაღა „ანსარ ალ-ისლამი“ ამ მხრივ ყველასაგან გამორჩეულია.



„ანსარ-ალ-ისლამის“ აქტივისტები

მოლა ქრექარი იმთავითვე დიდ ყურადღებას უთმობდა იმას, რომ ვაჰაბიტური მოძღვრება თანამემამულეებისთვის ისე ექადაგა, რაც შეიძლება ბევრი მხარდამჭერი გაეჩინა. ამიტომაცაა, რომ მისეული შეხედულებანი და სწავლება მართალია მცირედ, მაგრამ მაინც განსხვავდება „ალ-ქაიდასა“ და სხვა არაბული ვაჰაბიტური გაერთიანებების სწავლებისაგან — კერძოდ, ქურთ ვაჰაბიტთა აზრით, თუ მუსლიმანს თავისი რწმენის აშკარად აღიარების გამო სიკვდილი ემუქრება, მან შეიძლება სიტყვით უარყოს მუსლიმანობა, მაგრამ გულში ამ დროს უნდა წარმოთქვას ლოცვა, რომელიც „აუზუბილაჰის“ სახელითაა ცნობილი. სხვა ვაჰაბიტები მორწმუნეთაგან მსგავს შემთხვევაში შაჰიდობას ითხოვენ და თუ შაჰიდი არ გახდა, ე.ი. მტერს თავი არ შეაკლა, თვალთმაქც მუსლიმანად, ანუ „მუნაფიკად“ თვლიან.



ქურთი მემარცხენეების ანტიისლამისტური მიტინგი სტამბოლში

ტრადიციულად, „ანსარ ალ-ისლამიც“ ისევე, როგორც სხვა ვაჰაბიტები, შაჰიდთა ხსოვნისადმი გადამეტებულ პატივისცემას უღმერთობად მიიჩნევს. მათი აზრით, მხოლოდ ალაჰია ღირსი იმისა, რომ ახსოვდეთ და პატივი მიაგონ. ამიტომაცაა, რომ „ფეშმერგები“ (რომლებიც ბრძოლისას გმირულად დაღუპულ თანამოძმეებს, როგორც წესი, ადმერთებენ) ისლამისტ-პარტიზანებს „თანამებრძოლთა ძვლების მტეხელებს“ და „უჯიშოებს“ უწოდებენ.

## დაფინანსების წყაროები, პოლიტიკური მხარდაჭერა და პროპაგანდის საშუალებანი

„ანსარ ალ-ისლამის“ უპირველესი მხარდამჭერი, როგორც ცნობილია, სადამ ჰუსეინი გახლდათ. აშშ-ის ანტიტერორისტული ცენტრის ხელთ არსებული ცნობებით, ხსენებული ორგანიზაცია, თავის მხრივ, სადამსა და „ალ-ქაიდას“ შორის ხიდის როლს თამაშობდა; ასეც რომ არ ყოფილიყო, ერაყის ლიდერს ქურთისტანში საკუთარი ხელისუფლების ძირითად საყრდენად, როგორც აღინიშნა, სწორედ ქურთი ვაჰაბიტები მიაჩნდა და ამიტომ მათ ყოველთვის ანებივრებდა, „ანსარ ალ-ისლამს“ ულვაშა დიქტატორის წყალობით არც შეიარაღება აკლდა და არც პოლიტიკური თუ იდეური მხარდაჭერა.

ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა მას შემდეგ, რაც სადამ ჰუსეინი და მისი მთავრობის წევრები ამერიკული მართლმსაჯულების ხელში აღმოჩნდნენ და ერაყის პრეზიდენტად კი ქურთული ეროვნული მოძრაობის აღიარებული ლიდერი ჯელალ ატ-ტალაბანი დაადგინეს. ერაყის ანტისადამური მასმედიისა და მემარცხენე ქურთული გამოცემების მტკიცებით, „ანსარ ალ-ისლამს“ თურქული სპეცსამსახურები დაუკავშირდნენ და თურქეთის ტერიტორიაზე ბაზებიც კი მოაწყობინეს, რათა პკკ-სა და სხვა ქურთულ-სეპარატისტული პარტიების აქტიურობისათვის ხელი შეეშალათ, თანაც ერაყისგან ქურთული რეგიონების გამოყოფა არ დაეშვათ.

ოფიციალური ანკარა „ანსარ ალ-ისლამთან“ ურთიერთობას თავგამოდებით კი უარყოფდა, მაგრამ საკუთარ ტერიტორიაზე განლაგებულ ბაზებს, რომლებშიც ქურთი ვაჰაბიტები ისე გრძნობდნენ თავს, როგორც თევზები წყალში, ყურადღების მიღმა ტოვებდა. სხვათა შორის, თურქეთში „ანსარ ალ-ისლამი“ ჯერ კიდევ 1991 წელს აღიარეს ტერორისტულ დაჯგუფებად, მაგრამ ერაყის ომის დროს ქურთი ვაჰაბიტი პარტიზანები თურქულ არმიას ირიბ მხარდაჭერას უწევდნენ და ეს, ზოგიერთი ამერიკული საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, დღემდე ასეა. რაღა თქმა უნდა, თურქული სპეცსამსახურებისა და „ანსარ ალ-ისლამის“ ურთიერთობის უტყუარი მტკიცებულებები არც არსებობს, მაგრამ ვაჰაბიტი პარტიზანების ხელთ არსებული თანამედროვე შეიარაღება, რაზეც თვით „ქურთ მუშათა პარტიის“ „ფეშმერგებსაც“ კი ხელი არ მიუწვდებათ, ქურთი მემარცხენეების აზრით, მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ „ანსარ ალ-ისლამს“ ანკარაში გავლენიანი მფარველები ჰყავს.

ქურთ ვაჰაბიტებს ერაყის ქურთისტანის პარლამენტიდან მხარს უჭერს გავლენიანი პარტია „ქურთისტანის მუსლიმან პატრიოტთა კავშირი“, რომელიც დეპუტატთა 78 მანდატისგან 19-ს ფლობს. ამ პარტიის მიზანი ქურთისტანში იეზიდიზმის აღმოფხვრა და ისლამური საამიროს შექმნაა. ასე რომ, იდეურად „ანსარ ალ-ისლამთან“ ბევრი რამ აქვს საერთო და ამას მისი მესვეურები არც მალავენ.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, „ანსარ ალ-ისლამი“ პროპაგანდის საშუალებათა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა: მისი მესვეურები ვიდეო და აუდიომიმართვებს ხალხში ახალგაზრდა აქტივისტების მეშვეობით ავრცელებენ.

ერაყის ქურთისტანში ინტერნეტი არ არის, ტელე და რადიოარხები კი მთავრობის ხელშია; ამის გამო, იქ პროპაგანდის საშუალებად ინტერნეტის, რომელიმე ტელერადიოკომპანიის ან თუნდაც თვითნაკეთი რადიოსადგურის გამოყენება უაზრობაა. სამაგიეროდ, თითქმის ყველას აქვს მაგნიტოფონი ან მუსიკალური ცენტრი და შეუძლიათ, კასეტებსა და დისკებზე ჩაწერილი აუდიომიმართვა მოისმინონ. „ჩვენ ვართ მუსლიმანი მებრძოლები... ჩვენი საქმე ბრძოლა და ქადაგებაა. როცა არ ვიბრძვით, მაშინ ვქადაგებთ!“ — მოლა ქრექარის ეს გამონათქვამი „ანსარ ალ-ისლამის“ მესვეურთა პროპაგანდისადმი დამოკიდებულებას საუკეთესოდ ასახავს.

**მიხეილ ლაბაძე**

არსენალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 38′ Riverine Patrol Boat

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რუსული ჯავშანტექნიკა

## დაჯავშნული მუხლუხა საბრძოლო მანქანები

„ცივი ომის" წლებში ვარშავის პაქტისა და NATO-ს ქვეყნების არმიები მუდმივად საბრძოლო მზადყოფნასა და ომის ნებისმიერ მომენტში დაწყების მოლოდინში იყვნენ.

ომის საბჭოური გეგმა დასავლეთ ევროპის სიღრმისკენ სწრაფად წინსვლაზე იყო გათვლილი, მაგრამ დიდ დაბრკოლებას ქმნიდა ცენტრალური ევროპის წყალუხვი მდინარეები.

საბჭოთა არმიაში მდინარის გადასალახავი ამფიბიური ტექნიკა არც ისე ბევრი იყო, უამისოდ კი — შეტევების სწრაფი ტემპის შენარჩუნება შეუძლებელი.

სამხედროებმა სხვადასხვა მცურავი ტექნიკა — ტანკები, მუხლუხა ჯავშანტრანსპორტიორები, მუხლუხა დაუჯავშნავი ტრანსპორტიორები და ავტომობილები მოითხოვეს.

მცურავი ტანკის (საცდელი ობიექტი 740) პროექტი ლენინგრადის კიროვისა და ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხანაში მომზადდა და მალე პროტოტიპიც აიგო.

გამოცდაზე ობიექტმა მდინარეებისა თუ წყალსატევების დაძლევისას კარგი სიჩქარე და მანევრულობა გამოავლინა, ხოლო დაბალი კუთრი დაწოლის ხარჯზე დაჭაობებული ადგილებიც ადვილად დასძლია.

ცურვისთვის აუცილებელი სანიჩბე ხრახნების სანაცვლოდ კიჩოში ორი წყალსატყორცნი ამძრავი დაიდგა. გამოტყორცნილი წყლის ჭავლის რეგულირებით მძღოლ-მექანიკოსს ცურვის მიმართულების შეცვლა შეეძლო.

ტანკი სამხედროებმა მოიწონეს და 1951 წლის აგვისტოდან ПТ-76 საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შეიარაღებაში შევიდა, სადაც ბოლო წლებამდე შემორჩა.

ტანკის შასის მრავალმხრივი დანიშნულება მოეძებნა, მათ შორის იყო ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსების — 2К1 Марс-ისა და 2К6 Луна-ს გამშვები დანადგარები.

ევროპის მდინარეების ფორსირებისთვის შექმნილ მცურავ ტანკს ბრძოლების გადატანამ სრულიად განსხვავებულ ადგილებში — ეგვიპტის ქვიშებში, ვიეტნამის ჯუნგლებში, ავღანეთისა და ჩეჩნეთის მთებში მოუწია.

ПТ-76-თან უნიფიცირებული ჯავშანტრანსპორტიორი БТР-50 (საცდელი ობიექტი 750) კი სატანკო პოლკების მოტომსროლელი ბატალიონების შეიარაღებაში შევიდა და მდინარეების მოუმზადებლად ან მცირე მომზადებით ფორსირებაზე იყო გათვლილი. შესაბამისად, კორპუსზე დაყენებულ სატაკელაჟო მოწყობილობას მოტომსროლელთა ყველა სა-



ПТ-76: მასა — 14 ტ, ეკიპაჟი — 3 კაცი, ჯავშანი — 6-15 მმ, დიზელის ძრავა — 240ცხ.ძალიანი, სიჩქარე ხმელეთზე/წყალში — 20-44/10,2 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი ხმელეთზე/წყალში — 180-260/60-70 კმ, შეიარაღება — 76 მმ-იანი ქვემეხი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**БТР-50ПК: მასა — 14,2 ტ, ეკიპაჟი — 2 კაცი, დესანტი — 20 კაცი, ჯავშანი — 6-10 მმ, დიზელის ძრავა — 240ცხ. ძალიანი, სიჩქარე ხმელეთზე/წყალში — 44,6/10,2 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი ხმელეთზე/წყალში — 260/70 კმ, შეიარაღება — 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი**

ხის მძიმე შეიარაღების აწევ-დაწევა მეეძლო.

БТР-50 ისე იყო დაპროექტებული, რომ ხმელეთსა და წყალში ცურვის დროს კორპუსზე დაყენებული 57 მმ-იანი ან 85 მმ-იანი ქვემეხის სროლა ჯავშანტრანსპორტიორის ჩაძირვას ან სავალი ნაწილის მწყობრიდან გამოსვლას ვერ აზერხებდა.

ჯავშანტექნიკის ექსპლუატაცია-გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს საბჭოთა ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავდა და ამის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები მომავალში ტექნიკის შექმნისთვის აუცილებელ მოთხოვნებს აყალიბებდა.

გასული საუკუნის 50-იანი წლების შუახანებში შეიცვალა მასობრივი განადგურების იარაღისა და ქვეითთა გამოყენების ტაქტიკა, გადაწყდა, რომ ტანკებთან ურთიერთმოქმედებისთვის საჭირო იყო თვისებრივად ახალი, განსხვავებული დაჯავშნული საბრძოლო მანქანა.

ჩამოყალიბდა მოთხოვნები საბრძოლო მანქანისთვის. კერძოდ: ცურვის უნარი და ტანკების ტოლფასი გამავლობა-მანევრულობა; ჩამოქვეითებული დესანტის საცეცხლე მხარდაჭერა და მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკასთან ბრძოლა; საცეცხლე საშუალებებისგან, ნაღმებისა და ჭურვების ნამსხვრევებისგან დესანტის დაცვა და სხვ.

დავალება არაორდინარული იყო და კონკურსში მონაწილეობა რამდენიმე სატრაქტორო და მანქანათმშენებელი ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს შესთავაზეს.

წინასწარ განისაზღვრა საბრძოლო მანქანის შეიარაღება: 73 მმ-იანი გლუვლულიანი ქვემეხით (2А28 Гром) აღჭურვილი ერთადგილიანი კოშკურა.

კონკურსში გამარჯვება ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის პროექტმა დაიმსახურა. ჩელიაბინსკის სპეციალისტებმა დაწუნებული პროექტებითაც ისარგებლეს და ზოგიერთი კონსტრუქციული სიახლე თავიანთ საცდელ ობიექტ 765-ში გამოიყენეს.

ობიექტი 765 (მომავალი ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП-1) კლასიკური სქემით დაპროექტდა: ძრავასა და მართვის ორგანოებს კორპუსის წინა ნაწილი დაეთმო, ხოლო შუაში საბრძოლო ნაწილი და უკან კი სადესანტო განყოფილებაა მოთავსებული.

ქვეითთა ჩასხდომა-გადმოსხდომისთვის კორპუსის კიჩოში ორსაგდულიანი ლიუკია ჩაყენებული, ხოლო ლიუკების კედლებს შორის სივრცე საწვავის ავზებია. ბორბლებიან ჯავშანტრანსპორტიორებთან შედარებით საბრძოლო მანქანაში კიჩოს მხრიდან ჩასხდომა-გადმოსხდომა ბევრად მოსახერხებელი და უსაფრთხოა.

სადესანტო განყოფილებაში ქვეითე-

**БМП-2: მასა — 14,0 ტ, ეკიპაჟი — 3 კაცი, დესანტი — 7 კაცი, ჯავშანი — 5-23 მმ, დიზელის ძრავა — 300ცხ.ძალიანი, სიჩქარე ხმელეთზე/წყალში — 40-65/7,0 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 550-600 კმ, შეიარაღება — 30 მმ-იანი ავტომატური ქვემეხი, 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი და ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტები**





**БМП-1: მასა — 13,0 ტ, ეკიპაჟი — 3 კაცი, დესანტი — 8 კაცი, ჯავშანი — 6-33 მმ, დიზელის ძრავა — 300ცხ. ძალიანი, სიჩქარე ხმელეთზე/წყალში — 44-65/7,0 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 550-600 კმ, შეიარაღება — 73 მმ-იანი ქვემეხი, 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი და ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტები**

ბი ერთმანეთის ზურგით სხედან და საშუალება აქვთ ამბრაზურებიდან ბრძოლის ველი გააკონტროლონ და ცეცხლიც გახსნან.

ცურვის გასაუმჯობესებლად БМП-ში რამდენიმე ტექნიკური სიახლეა: სავალი ნაწილის საყრდენი ღრუ გორგოლაჭები, მუხლუხებით წამოღებული წყლის ნაკადის ქვევით მიმმართავი სპეციალური ჩარჩოები (ზრდის ცურვის სიჩქარეს) და სხვ.

БМП-მ ბრძოლის ტაქტიკაში ბევრი სიახლე შეიტანა და БТР-60-ებთან ერთად საბჭოთა არმიის მოტომსროლელ ქვედანაყოფებში მთავარი ადგილი დაიკავა, ხოლო მარტივი კონსტრუქციის, საიმედოობისა და პატარა წონის გამო ფართოდ გავრცელდა.

შეიარაღებაში ოფიციალურად 1966 წელს შევიდა, ხოლო მისი სერიული წარმოება 1979 წელს დასრულდა.

მოდერნიზებული ვერსიებისგან ცნობილია: БМП-1ПК — დაემატა 30 მმ-იანი ავტომატური ყუმბარსატყორცნი АГ-17 Пламя, БМП-1У — აღჭურვილია უკრაინული საბრძოლო მოდულით Шквал-ი და სხვ.

ლიცენზიით БМП-ებს აწყობდნენ ჩეხოსლოვაკია (BVP-1), პოლონეთი (BWP-1) და რუმინეთი (MLI-84), ხოლო ჩინეთმა ანალოგების (WZ-501) პატარა პარტია გამოუშვა.

ბრძოლაში БМП-1-ები ტანკებს რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მიჰყვებოდნენ, მაგრამ რეალურმა საბრძოლო მოქმედებებმა სხვა სურათი დახატა.

1967 წლის არაბეთ-ისრაელის ომში, 1968 წელს კუნძულ დამანსკიზე ჩინელებთან კონფლიქტში ცხადი შეიქნა, რომ საბრძოლო მანქანის შეიარაღება მოწინააღმდეგის ტანკებსა თუ ქვეითებთან ბრძოლაში ეფექტს არ იძლეოდა.

იმავდროულად, გაიზარდა ცოცხალ ძალასთან, მსუბუქ ჯავშანტექნიკასთან, ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებთან, საჰაერო სამიზნეებსა და მსუბუქ თავდაცვით ნაგებობებთან ბრძოლის საჭიროება. ეს ამოცანები იმდენად აქტუალური აღმოჩნდა, რომ სერიული წარმოებიდან 4-5 წელიწადში БМП-1-ის შესაძლებლობათა გაუმჯობესების საკითხი დადგა და პირველი ექსპერიმენტი ჩეხებმა ჩაატარეს: БМП-1-ის კოშკურას 30 მმ-იანი კუთხვილიანი ნახევრად ავტომატური ქვემეხი დაუყენეს.

მოდერნიზებულ საბრძოლო მანქანას მოსკოველი ჯავშანტექნიკის სპეციალისტები გაეცნენ, ხოლო შემდეგ მოსკოვთან მდებარე კუბინკის ჯავშანსატანკო ინსტიტუტის პოლიგონზე საჩვენებელი სროლა გაიმართა.

БМП-1-მა Т-55-ს დაახლოებით 800 მ-დან 73 მმ-იანი 50 ჭურვი ესროლა, საიდანაც მიზნამდე 17-მა მიაღწია. დანარჩენები ასცდა ან ქარმა გვერდზე წაიღო.

**БМП-3: მასა — 19,0 ტ, ეკიპაჟი — 3 კაცი, დესანტი — 9 კაცი, დიზელის ძრავა — 500ცხ.ძალიანი, სიჩქარე ხმელეთზე/წყალში — 10-70/10 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 600 კმ, შეიარაღება — 100 მმ-იანი ქვემეხი, 30 მმ-იანი ავტომატური ქვემეხი, სამი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი და ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტები**



რამდენიმე ხნის შემდეგ მძღოლ-მექანიკოსმა ტანკში თავისი ადგილი დაიკავა და Т-55-მა იქაურობა საკუთარი სვლით დატოვა.

მომზადდა ახალი საბრძოლო მანქანის ტექნიკური დავალება და კონკურსში ჩაერთვნენ ჩელიაბინსკის სატრაქტორო და კურგანის მანქანათმშენებელი ქარხნები.

ჩელიაბინსკელებმა БМП-1-ის საფუძველზე მომზადებული საცდელი ობიექტი 768-ის კოშკურა საფუძვლიანად გადააკეთეს: დაუყენეს 73 მმ-იანი გლუვლულიანი ახალი ქვემეხი (2А41 Зарница) და 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი, ხოლო კოშკურის სახურავზე ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა დადგეს.

შეიარაღება ორ სიბრტყეში იყო სტაბილიზებული, ხოლო გრძელლულიანი „ზარნიცა“ „გრომთან“ შედარებით შორს ისროდა.

შეცვლილი კოშკურა ორადგილიანი იყო და მას საბრძოლო მანქანის მეთაური და მემიზნე-ოპერატორი ემსახურებოდა.

ცვლილებებმა ობიექტი 768 ერთი ტონით დაამძიმა და ცურვის შესაძლებლობა გააუარესა, რის გამოც გაბარიტების მომატების ხარჯზე შიდა მოცულობის გაზრდა გახდა საჭირო და სავალ ნაწილსაც თითო საყრდენი გორგოლაჭი დაემატა.

გადიდებულმა კოშკურამ სადესანტო განყოფილება შეამცირა და ის მხოლოდ 6 ქვეითს იტევდა. ამის გამო ობიექტი 768 სამხედროებს არ მოსწონდათ.

კურგანის ქარხანამ БМП-1-ის საბაზო კონსტრუქციაში ბევრი არაფერი შეცვალა. და ობიექტ 675-ში შეტანილ სიახლეთა შორის იყო ორადგილიანი კოშკურა, სადაც 30 მმ-იანი ავტომატური ქვემეხი (2А42) შეწყვილებულ 7,62 მმ-იან ტყვიამფრქვევთან ერთად მოთავსდა; ცურვადობის შესანარჩუნებლად მუხლუხების დამცავი ფრთების მოცულობა გაფართოვდა და შიდა სივრცეები პოლიურეთანით შეივსო; ორი ჰიდროამორტიზატორის დამატებით სავალი ნაწილის შერესორება გაუმჯობესდა და სხვ.

ობიექტ 675-ს საბაზო მოდელთან დეტალების 75% ურთიერთთავსებადი ჰქონდა, მაგრამ ცვლილებათა გამო წონა 800 კგ-ით მაინც გაიზარდა.

1978 წელს მოსკოვის სამხედრო ოლქში ერთი თვე მიმდინარეობდა სამ-სამი БМП-1-ის, საცდელი ობიექტების 768-ისა და 675-ის შედარებითი გამოცდა, სადაც 30 მმ-იანმა ქვემეხმა თავისი უპირატესობა კიდევ ერთხელ დაამტკიცა.



БМД-1: მასა — 7,2 ტ, ეკიპაჟი — 2 კაცი, დესანტი — 5 კაცი, ალუმინის შენადნობის ჯავშანი, დიზელის ძრავა — 240ცხ.ძალიანი, სიჩქარე ხმელეთზე/წყალში — 61/10 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 500 კმ, შეიარაღება — 73 მმ-აინი ქვემეხი, სამი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი და ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტები

ბოლო გამოცდაზე საბრძოლო მანქანებს სამიზნედ Т-72 დაუყენეს. 73 მმ-იანმა ჭურვებმა ტანკს ვერაფერი დააკლო. მართალია ჯავშანი ვერც 30 მმ-იანმა გახვრიტა, მაგრამ ტანკს ცეცხლი გაუჩინა და ისე დააზიანა, რომ საევაკუაციო მანქანის გამოძახება გახდა საჭირო.

1980 წელს ათი БМП-2-ის მონაწილეობით ჩრდილო კავკასიის, ამიერკავკასიისა და თურქესტანის სამხედრო ოლქებში ექვსთვიანი გადარბენა ჩატარდა. საბრძოლო მანქანებმა ათასობით კმ გაიარეს სტეპებში, მთებსა თუ უდაბნოში და მაღალი საექსპლუატაციო მახასიათებლები გამოავლინეს.

მოდერნიზებულ БМП-2Д-ს გაძლიერებული ჯავშანდაცვა ჰქონდა, БМП-2М-ზე კი შეცვლილი იყო ავტომატური ყუმბარსატყორცნის მდებარეობა და ახალი პანორამული სამიზნე ჰქონდა.

საბრძოლო მანქანას ლიცენზიით ჩეხოსლოვაკია (BVP-2) და ინდოეთი (Sarath) უშვებდნენ.

სამხედრო ტექნიკის პროგრესმა და საბრძოლო მოქმედებათა ტაქტიკის ცვლილებებმა 80-იანი წლების პირველ ნახევარში საბრძოლო მანქანებს ახალი მოთხოვნები წაუყენა, კერძოდ, საცეცხლე ძალის გაზრდა და დაჯავშნის გაუმჯობესება.

ამ მოთხოვნათა და NATO-ს ქვეყნების შეიარაღებაში არსებული და პერსპექტიული ავტომატური ქვემეხების გათვალისწინებით მომზადდა მომდევნო საბრძოლო მანქანის (БМП-3) კონცეპტუალური პროექტი.

დაახლოებით 15 წელი დასჭირდა БМП-3-ის პროექტირებას, გამოცდასა და სრულყოფას და 1987 წლიდან ის შეიარაღებაში შევიდა.

საბრძოლო მანქანის საგამოცდო ციკლის ერთი ნაწილი ჩატარდა სომხეთში, სადაც БМП-3 მთა არაგაწზე თითქმის 4 ათასი მეტრ სიმაღლეზე ავიდა.

БМП-3-ის კორპუსი ოთხ ნაწილად არის დაყოფილი და მართვის, საბრძოლო, სადესანტო და ძრავა-ტრანსმისიის განყოფილებებისგან შედგება.

კორპუსის წინა ნაწილში მართვის ორგანოები და საწვავის ავზებია მოთავსებული. ეს უკანასკნელი საწვავითა და ფოროვანი ნივთიერებით არის შევსებული, რომელიც ნახევრად დაცლილ ავზში საწვავს ნჯღრევის საშუალებას არ აძლევს და აალება-დეტონაციასაც ხელს უშლის.

კიჩოში გადმოტანილი კომპაქტური დიზელის ძრავა სიმეტრიის ღერძის მიმართ განივად არის დაყენებული.

კორპუსი ალუმინის შენადნობის ჯავშნით არის დამზადებული და შუბლის მხარე 30 მმ-იანი ჭურვების მედეგობაზეა გათვლილი, ხოლო ბორტები კი უფრო თხელია და მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის კალიბრის ტყვიებს უძლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**БМД-3: მასა — 12,9 ტ, ეკიპაჟი — 2 კაცი, დესანტი — 5 კაცი, ალუმინის შენადნობის ჯავშანი, დიზელის ძრავა — 450ცხ.ძალიანი, სიჩქარე ხმელეთზე/წყალში — 70/10 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 275-500 კმ, შეიარაღება — 30 მმ-იანი ავტომატური ქვემეხი, ავტომატური ყუმბარმტყორცნი, 7,62 მმ-იანი და 5,45 მმ-იანი ტყვიამფრქვევები, ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტები**

მრავალფეროვან შეიარაღებაში შედის: 100 მმ-იანი ქვემეხი (2А70) და იმავდროულად ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების გამშვები დანადგარი, 30 მმ-იანი ავტომატური ქვემეხი (2А72)ნ 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი და 30 მმ-იანი ქვეითთა საწინააღმდეგო ავტომატური ყუმბარსატყორცნი АГ-17 Пламя.

БМП-3-ის სერიული წარმოებისთვის კურგანის ქარხანას მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია დასჭირდა, რადგან შრომატევადობით БМП-3 წინა მოდელებს 2,5-ჯერ აღემატება და უფრო ძვირიც ღირს.

რუსეთის არმიის განკარგულებაში ამჟამად დაახლოებით 600-მდე БМП-3-ია — ბევრად ნაკლები, ვიდრე საზღვარგარეთ არის გაყიდული, თუმცა გადაიარაღების გეგმის შესაბამისად ჯარებში დაწყებულია მისი რაოდენობის ზრდა.

ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქიდან ახალ საბრძოლო მანქანებს უკვე იღებს ვლადიკავკაზში დისლოცირებული მე-19 მოტომსროლელი ბრიგადა.

საჰაერო-სადესანტო ჯარებს რუსეთის არმიაში გამორჩეული ადგილი უკავია, ამიტომაც 60-იანი წლების პირველ ნახევარში სარდალი გენერალი ვასილ მარგელოვი მედესანტეებისთვის დაჯავშნული ტექნიკის შექმნის ინიციატივით გამოვიდა.

ოთხ წელიწადში ვოლგოგრადის სატრაქტორო ქარხანამ დააპროექტა და ააწყო სადესანტო საბრძოლო მანქანა БМД-1, რომელიც იმავე დანიშნულებას ასრულებდა, რასაც ქვეითებისთვის БМП-1 და დამატებით კიდევ პარაშუტით დესანტირებაზე იყო გათვლილი.

სატრანსპორტო თვითმფრინავის ტვირთამწეობისა და სალონის გაბარიტების გათვალისწინებით მედესანტეთა მანქანისთვის ოპტიმალური კომპონირება შეირჩა: კიჩოში ძრავა-ტრანსმისია მოთავსდა, ხოლო მართვის ორგანოებმა საბრძოლო განყოფილებასთან ერთად კორპუსის წინა და შუა განყოფილებები დაიკავა.

კორპუსი ალუმინის შენადნობისგან არის დამზადებული და მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის ტყვიებს უძლებს.

შეიარაღება კი საკმაოდ ძლიერი აქვს — 73 მმ-იანი ქვემეხი, სამი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი და ამდენივე ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა.

1985 წელს საჰაერო-სადესანტო ჯარების შეიარაღებაში გაუმჯობესებული БМД-2 შევიდა. პროექტირებისას მასზე БМП-2-ის კოშკურის გადმოტანა სცადეს, მაგრამ მცირე გაბარიტების გამო ეს არ მოხერხდა და კოშკურის შეიარაღებას მხოლოდ მემიზნე-ოპერატორი ემსახურება.

ავღანეთის ომმა კოშკურის ორადგილიანად გადაკეთების აუცილებლობა დაააყენა. გარდა ამისა, კოშკურის გარკვეული კუთხით შემობრუნება სროლის დროს კორპუსის რწევას იწვევდა.

ეს ხარვეზები БМД-3-ზე გამოსწორდა. მართალია, წინა მოდელებთან შედარებით მისი მასა გაიზარდა, მაგრამ თანამედროვე რუსული მძიმე სატრანსპორტო თვითმფრინავებისთვის ეს სირთულეს აღარ წარმოადგენს.

БМД-3 გათვლილია თვითმფრინავიდან და შვეულმფრენიდან დაჯდომით ან პარაშუტებით დესანტირებაზე.

2004 წელს რუსეთმა შექმნა მედესანტეთა საბრძოლო მანქანის კიდევ ერთი მოდელი БМД-4 Бахча-У, რომელიც შეიარაღებით БМП-3-ს იმეორებს და გაუმჯობესებული ცეცხლის მართვის სისტემა, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები და ა.შ. აქვს.

***თემურ ჩაჩანიძე***

„ლიგა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge



ბაქოში, წლევანდელ აღლუმზე გამოყვანილ ყველა უპილოტოს, აზერბაიჯანის დროშა აშვენებდა

# უპილოტოები ამიერკავკასიის ქვეყნებში

ბოლო რამდენიმე წელიწადში ზოგიერთი სახელმწიფოს არმიებში უპილოტო საფრენმა აპარატებმა ფეხი მყარად მოიკიდეს. საჰაერო დაზვერვაში ამ ტიპის საშუალებები ძალზე საჭიროა და ამ მხრივ გამონაკლისს არც ამიერკავკასიის ქვეყნები წარმოადგენენ.

სექტემბრის დასაწყისში სომხეთ-აზერბაიჯანს შორის მორიგი სკანდალი დაიწყო და მიზეზი უპილოტო საფრენი აპარატი იყო. სომხური მხარის მტკიცებით, 12 სექტემბერს მთიან ყარაბაღში ამ თვითაღიარებული რესპუბლიკის არმიამ აზერბაიჯანული უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოაგდო და დასტურად აპარატის ფრაგმენტებიც წარმოადგინა. ბაქომ ბრალდებები მაშინვე უარყო და ამ ყველაფერს ერევნის მორიგი პროვოკაცია უწოდა.

გავრცელებულ ვიდეომასალაზე მართლაც უპილოტო საფრენი აპარატების ფრაგმენტებია ასახული, მაგრამ იყო თუ არა ის აზერბაიჯანისა, ეს მეორე საკითხია.

მთიანი ყარაბაღის გამო ბაქო და ერევანი ძალის დემონსტრირებაზეა გადასული, რასაც ყველაზე კარგად სამხედრო აღლუმები ემსახურება და ერთმანეთის გულის გასახეთქად, რაც შეიძლება მეტ ჯარისკაცს, ტექნიკას თუ თანამედროვე შეიარაღებას აჩვენებენ.

აზერბაიჯანი ამიერკავკასიაში ყველაზე მდიდარი ქვეყანაა და თავდაცვაში მნიშვნელოვან თანხებს აბანდებს. ბაქოს მაგალითი მისაბაძია იმითაც, რომ ტექნიკასა და იარაღს მარტო უცხოეთიდან როდი ყიდულობს.

ახლო თუ შორეულ ქვეყნებთან სამხედრო სფეროში ის აქტიურად თანამშრომლობს. თურქეთთან ერთად „გრადის" 122 მმ-იან ჭურვებს ამზადებს, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დახმარებითა და ლიცენზიით „მატადორის" ტიპის MRAP-ებს აწყობს.

საკუთარი ძალით დაიწყო ტყვია-წამლის, რამდენიმე სახის ცეცხლსასროლი იარაღისა თუ ნაღმსატყორცნების წარმოება.

ბაქო ისრაელთანაც თანამშრომლობს ელექტრონიკის, რეაქტიული არტილერიისა და უპილოტოების წარმოებაშიც.

2009 წელს ისრაელსა და აზერბაიჯანს შორის ხელშეკრულება გაფორმდა ბაქოს მახლობლად უპილოტო აპარატების საწარმოებელი ქარხნის მშენებლობაზე, ხოლო ორი წლის შემდეგ საწარმო AZED Systems Co მწყობრში ჩადგა.

ისრაელის ლიცენზიით ქარხანა ორი სახის უპილოტოებს ამზადებს. ერთ-ერთია ულტრალაით-კლასის Orbiter-2M.

მოდიფიკაცია — Aerostar
ფრთის გაქანი — 7.5 მ
სიგრძე — 4.5 მ
სიმაღლე — 1.3 მ
ასაფრენი მასა — 220 კგ
სასარგებლო დატვირთვა — 50 კგ
მოქმედების რადიუსი — 200 კმ
კრეისერული სიჩქარე — 60 კმ/სთ
მაქსიმალური სიჩქარე — 200 კმ/სთ
ფრენის ხანგრძლივობა — 12 სთ
ფრენის სიმაღლე — 5486 მ

უპილოტოების დარგში, ისრაელ-აზერბაიჯანის თანამშრომლობის პირველი ნაყოფი — Orbiter-2M



მოდიფიკაცია — Orbiter-2M
ფრთის გაქანი — 3 მ
სიგრძე — 1 მ
სასტარტო მასა — 9.5 კგ
მოქმედების რადიუსი — 30-80 კმ
ფრენის სიჩქარე — 130 კმ/სთ
ფრენის ხანგრძლივობა — 4 სთ
ფრენის სიმაღლე — 5486 მ

ელექტრონული ბიბლიოთეკა










12 სექტემბერს, ყარაბაღში ჩამოგდებული უპილოტოს ფრაგმენტებში აღმოჩენილი კანადური NovAtel-ს ლოგო. ფრაგმენტების აწყობისას ფიუზელაჟით უპილოტო Hermes 180-ს ჰგავს. მაგრამ მისგან კუდის ფრთასხმულობით განსხვავდება




„ორბიტერის“ ფრენას ერთი ოპერატორი უზრუნველყოფს, ხოლო ელექტროძრავა ფრენას უხმაუროს ხდის. აპარატის აღჭურვილობაში შედის: ოპტიკური და ინფრაწითელი კამერები, კავშირისა და ინფორმაციის გაცვლის საშუალებები.

უპილოტო იმდენად კომპაქტურია, რომ მისი გადატანა ზურგჩანთით შეიძლება. სტარტისთვის მცირე ზომის მიმმართველი გამოიყენება, ხოლო დაჯდომა პარაშუტით შეიძლება.

ერთი უპილოტო დაახლოებით 70 ათასი დოლარი ღირს.

აზერბაიჯანი ასევე ამზადებს ისრაელის ფირმა Aeronautics Defense Systems-ის უპილოტო Aerostar-ებს.

აპარატს 38-ცხ.ძალიანი შიდაწვის ძრავა აქვს და საწვავს ეკონომიურად მოიხმარს. აღჭურვილობა ოპტიკური დაზვერვის დღისა და ღამის საშუალებებს აერთიანებს და ვიდეოინფორმაციას მიწაზე დროის რეალურ რეჟიმში გადასცემს. აქვს შასი და აფრენადაფრენისთვის მცირე ზომის ბილიკები სრულიად საკმარისია.

ისრაელი ამ ტიპის უპილოტოებს ღაზის სექტორთან საზღვრის გასაკონტროლებლად იყენებს, რადგან ექსპლუატაციაში მარტივი და ძალიან საიმედო აპარატია.

„აეროსთარები“ ისრაელის საპატრულო პოლიციის აღჭურვილობაშიც შედის.

აზერბაიჯანმა ეს უპილოტოები პირველად 2008 წლის 26 ივნისს აღლუმზე წარადგინა. მაშინ სამთავრობო ტრიბუნების წინ უშუალოდ ისრაელისგან ნაყიდი აპარატებით რამდენიმე სატვირთო ავტომობილმა ჩაიარა.

შემდგომში ბაქომ ისრაელის ლიცენზიის საფუძველზე „აეროსთარის“ დასამზადებელი ტექნოლოგიები და აღჭურვილობა შემოიტანა. როგორც ჩანს, წარმოებისას აზერბაიჯანელმა სპეციალისტებმა კონსტრუქციაში ცვლილებები შეიტანეს. ამის ნათელი მაგალითია წლევანდელი აღლუმი, სადაც 2008 წლისგან განსხვავებით Aerostar-ების ფრთებზე ზემოთ აწეული ბოლოვანები იყო დაყენებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა




საქართველოს გარდა, 10 ასეთი Hermes 450 ამიერკავკასიაში აზეირბაიჯანსაც ჰყავს, მაგრამ მათ საჯარო დემონსტრაციას თავს არიდებს

Orbiter-2M-ისა და Aerostar-ის გარდა, აზერბაიჯანის განკარგულებაში ათი ებრაული Hermes 450-ც არის. ბაქომ ისინი 2008 წლის ივნისში შეიძინა, თუმცა აღლუმებზე არ გაუტანია.

დავუბრუნდეთ, 12 სექტემბერს ჩამოგდებული უპილოტოს ამბავს. სხვათა შორის, იმავე სომხური საინფორმაციო სააგენტოს მტკიცებით, უპილოტოს სახელმწიფო კუთვნილების სიმბოლო არ გააჩნია. ის არც გავრცელებულ ვიდეო და ფოტომასალაში შეიმჩნევა.

კუთვნილებას რომ თავი დავანებოთ, აპარატის ტიპის დადგენამაც კამათი გამოიწვია. ფრაგმენტები არც Orbiter-2M-ს, არც Aerostar-ისა და მით უმეტეს, Hermes 450-ს არ ეკუთვნის. ამ უკანასკნელის გამორიცხვა თუნდაც იმით შეიძლება, რომ მას კომპოზიტისგან დამზადებული პროპელერი აქვს, როცა ყარაბაღში ჩამოგდებულ უპილოტოს ხისა აქვს.

არის კიდევ ერთი ფაქტორი — „განადგურებული" უპილოტო ჩამოგდებულ აპარატს არ ჰგავს და ამას ფოტო თუ ვიდეომასალაც მოწმობს. მას არც ნატყვიარები და არც ცეცხლის კვალი ეტყობა, ხოლო რაკეტის მოხვედრაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება თითქოს, უპილოტო გაუმართაობის გამო ჩამოვარდა და მიწასთან შეჯახებისას დაიმტვრა.

თავის დროზე, როცა სოხუმმა 2008 წლის 18 მარტს ჩამოგდებული ქართული Hermes 450-ის ფოტოები გაავრცელა, აპარატს დაზიანებები ეტყობოდა — კორპუსი მთლიანად დამტვრეულ-დაბზარული იყო.

სხვათა შორის, გავრცელებულ ვიდეომასალაში ერთი საინტერესო კადრია — აპარატის ბორტზე კანადური კომპანია NovAtel-ის ლოგო შეიმჩნევა. ამ კომპანიას მაღალი სიზუსტის პოზიციონირების GNSS-ის სისტემების შექმნაში მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია.

ისრაელი მისგან ამ სისტემებს აქტიურად ყიდულობს და Hermes 1500, Hermes 900, Hermes 180-ის ტიპის უპილოტოებზე იყენებს. როგორც ჩანს, მათ შორის Hermes 450, რომელიც ბაქოს განკარგულებაშია, არ ფიგურირებს.

„ჩამოგდებული" აპარატი ფიუზელაჟის გაბარიტითა და ფორმით მართლაც ჰგავს Hermes 180-ს, მაგრამ მისგან V-სებრი ფრთასხმულობით განსხვავდება. სავარაუდოდ, მისი ეს ერთ-ერთი მოდიფიკაციაა.

არის კიდევ ერთი საინტერესო ვერსია, რომლის თანახმადაც უპილოტო ისრაელს ეკუთვნოდა და სომხეთიდან ან მთიანი ყარაბაღიდან ირანის დასაზვერად დაფრინავდა.

ასეა თუ ისე, 21 სექტემბერს ერევანში გამართულ აღლუმზე სომხებმა საპასუხოდ სამამულო წარმოების ოთხი უპილოტო, სახელად Krunk-ი პირველად გამოიყვანეს (ქართულად „წეროს" ნიშნავს).

ერევნის მტკიცებით, მას უკვე 15 ასეთი აპარატი ჰყავს და ცდილობს ამ სფეროში ბაქოსთან არ ჩამორჩეს.

აპარატს საკუთარი შასი აქვს და აფრენა-დაფრენისთვის სათანადო მოედანი სჭირდება.

უპილოტო თვითმფრინავები საქართველოსაც ჰყავს — ქართული არმიის განკარგულებაში ებრაული Hermes 450 და მსუბუქი Skylark I-ია. ამ უკანასკნელის



სომხური Krunk-ის მახასიათებლები ჯერ ბურუსით არის მოცული, მაგრამ ერევანი ამტკიცებს, რომ ის მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით შექმნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჯარო ჩვენება 2009 წლის 5 აგვისტოს შედგა, როცა რუსთაველის პროსპექტზე პროექტი „ანგარიში ხალხს“ მოეწყო.

აპარატი 6.5 კგ-ს იწონის და მისი ფრთის გაქანი 2.4 მ-ს შეადგენს. იგი მცირე ელექტროძრავით არის აღჭურვილი, რომელიც მაქსიმალურ — 70 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებს. სადაზვერვო ვიდეოაღჭურვილობა ფიუზელაჟის ქვეშ სპეციალურ კონტეინერშია განთავსებული და დაკვირვება 10 $კმ^2$ ფართობზე შეუძლია.

აპარატი სტარტს ოპერატორის მეშვეობით იღებს, ხოლო მიწაზე ბრტყელ შტოპორში შეყვანის შემდეგ, გასაბერ ბალიშზე ჯდება.

რაც შეეხება Hermes 450-ს, ერთხანს მისი არსებობა მკაცრად გასაიდუმლოებული იყო, მაგრამ 2008 წლის 20 აპრილის შემთხვევამ მსოფლიოში დიდი პოლიტიკური რეზონანსი გამოიწვია. იმ დღეს გალის რაიონის სანაპიროს თავზე ქართული „ჰერმესი“ რუსულმა გამანადგურებელმა МиГ-29-მ ჩამოაგდო.

ამის შემდეგ ქართული არმიის განკარგულებაში „ჰერმესების“ არსებობა ცნობილი გახდა. უფრო საინტერესო კი ის იყო, რომ აფხაზებს МиГ-29 არ ჰყავთ და არც არასდროს ჰყოლიათ. შესაბამისად, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ის რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს ეკუთვნოდა.

უპილოტომ თავისი არსებობის უკანასკნელი წამების აღბეჭდვა შეძლო. ვიდეოფირზე, რომელიც შემდგომ ინტერნეტშიც გავრცელდა. კარგად ჩანს, როგორ ახდენს ცის ფონზე გამანადგურებელი სამიზნის სელექციას და მისკენ რაკეტას უშვებს.

თვითმფრინავში МиГ-29-ს ამოცნობა არც ისე ძნელია. რუსი პილოტი ასე იმიტომ მოიქცა, რომ მიწის ფონზე კონტრასტი ნაკლებია და შესაბამისად, რაკეტას სამიზნის დაფიქსირება გაუჭირდებოდა.

ამ ინციდენტამდე ერთი თვით ადრე, ჩვენ კიდევ ერთი „ჰერმესი“ დავკარგეთ. ის 18 მარტს ჩამოაგდეს. შემდეგ სეპარატისტებმა მისი ფრაგმენტების ამსახველი ვიდეო და ფოტომასალა გაავრცელეს.

„ჰერმესი“ კომპოზიტური მასალებისგან არის დამზადებული და მისთვის რადიოლოკაციური საზენიტო რაკეტების დამიზნება არც ისე მარტივია. „იგლები“ და „სტრელები“ უეფექტოა — უპილოტოს 52-ცხ.ძალიანი ძრავა მინიმალურ სითბოს გამოყოფს.

სოხუმი კი ირწმუნებოდა, რომ 18 მარტს უპილოტო აფხაზურმა თვითმფრინავმა ჩამოაგდო.

აფხაზებს მხოლოდ L-39-ები ჰყავთ და თანაც ის მოდიფიკაციები, რომლებზეც „ჰაერი-ჰაერი“ კლასის შეიარაღება არ იკიდება. ამიტომაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველი „ჰერმესი“ L-39-ზე ჩამოკიდებულმა კონტეინერული ტიპის ქვემეხის ჭურვებმა იმსხვერპლა, თუმცა არც ეს ვერსიაა სარწმუნო. შესაძლებელია, 18 მარტსაც ჩვენი უპილოტო რუსულმა МиГ-მა შეიწირა.

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რამდენიმე რუსული უპილოტო საქართველოს ტერიტორიაზეც შემოფრინდა. პირველი შემთხვევა 2008 წლის 22 სექტემბერს, გამთენიისას სოფელ ხურვალეთსა და წითელუბანს შორის დაფიქსირდა. სავარაუდოდ, ის ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ფოტოგრაფირებას ახდენდა. აპარატი დაბალ სიმაღლეზე დაფრინავდა და მისი ჩამოგდება ცეცხლსასროლი იარაღით მოხერხდა. მოსკოვმა ყველაფერი უარყო, მაგრამ თბილისში გამართულ ბრიფინგზე ჟურნალისტებს ჩამოგდებული უპილოტო უჩვენეს.

კიდევ ერთი შემთხვევა იმავე წლის 17 ნოემბერს ტრაგიკულად დასრულდა, როცა სოფელ ფლავთან ნაპოვნი უპილოტოს შესწავლისას ნაღმი ამოქმედდა. დაიღუპა ორი გამნაღმველი, დაიჭრნენ 8 პოლიციელი და 10 წლის მოზარდი.

ჩამოვარდნილი უპილოტოს გადაღებული სადაზვერვო მონაცემები მოწინააღმდეგის ხელში რომ არ მოხვდეს, ზოგჯერ საფრენ აპარატში რამდენიმე ათეულ გრამ ფეთქებად ნივთიერებას ათავსებენ. ჩნდება ეჭვი, რომ უპილოტო სოფელ ფლავთან არ ჩამოვარდნილა. ის შეგნებულად მიიტანეს იქ და დანაღმეს.

სხვათა შორის, იმავე 17 ნოემბერს, დილით, ჩამოვარდა ZALA-ს ტიპის ერთი უპილოტო, რომელიც ქართველმა პოლიციელებმა იპოვეს. ცოტა ხნის შემდეგ კი ზუსტად ანალოგიური აპარატი სოფელ ფლავთან აღმოჩნდა. ალბათ, ქართველ სამხედროებს ეგონათ, ისიც ჩამოვარდა, რაზეც ხეზე შერჩენილი პარაშუტი მიუთითებდა. მაგრამ როგორც დადგინდა, ეს რუსების კარგად დაგეგმილი ოპერაცია იყო.

ZALA-421-04-ის ტიპის აპარატის პრეზენტაცია 2006 წელს შედგა და ის დაზვერვისა და საარტილერიო ცეცხლის კორექტირებისთვისაა განკუთვნილი. მას რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტრო და მესაზღვრეები იყენებენ. მცირე ზომისა და წონის მიუხედავად (აპარატი 2 კგ-ზე ოდნავ მეტს იწონის), ჰაერში 100 წთ ყოფნა შეუძლია. ძალურ დანადგარად მასზე ელექტროძრავაა დაყენებული და პრაქტიკულად უხმაუროდ დაფრინავს. მცირე ზომის გამო, მას ხელით უშვებენ და უკან პარაშუტის გამოყენებით ბრუნდება.

**ალექსანდრე აფაქიძე**

2008 წლის 22 სექტემბერს სოფელ ხურვალეთსა და წითელუბანს შორის ჩამოგდებული რუსული უპილოტო






ეროვნული ბიბლიოთეკა




# პირველი ქართული საბრძოლო კატარღები

91 წლის წინ ქართული „ფრიდონი“ ალბათ ასე გამოიყურებოდა

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N21, 2011)

1918 წლის მაის-ივნისში აფხაზეთის სანაპიროსთან მიმდინარე ოპერაციებში მცირერიცხოვანმა ქართულმა ფლოტმა არცთუ მცირე როლი ითამაშა.

ხისკორპუსიანი გამანადგურებელი კატარღების საბრძოლო მზადყოფნაში შენარჩუნება მუდმივ ყურადღებას მოითხოვდა და ამის მიღწევა სათადარიგო ნაწილების დეფიციტის გამო იოლი არ იყო.

გენერალური შტაბის მიერ ფლოტის მოქმედებების შეფასებები საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისთვის 1919 წლის იანვარში გაგზავნილ ბარათში აისახა, სადაც ნათქვამი იყო:

„შავი ზღვის სანაპიროზე ოპერაციებში დიდი მოთხოვნა იყო გამანადგურებლებზე. ამასთან, ფოთის სახელოსნოები ვერ ასწრებდნენ სამხედრო გემების რემონტს, ამიტომ ზღვისპირა ფრონტის განყოფილების უფროსის განკარგულებით განვლილი წლის 16 სექტემბერს გამანადგურებელი №545 სარემონტოდ ახალ ათონში გაიგზავნა“.

1919 წლის გაზაფხულზე კი ქართულ ფლოტს ყოფნა-არყოფნის საკითხი დაუდგა. ბოლშევიკებთან მებრძოლ გენერალ-ლეიტენანტ ანტონ დენიკინის სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალებს (მოხალისეთა არმია) ბრიტანეთი შეიარაღებითა და სამხედრო ტექნიკით ეხმარებოდა.

დენიკინის განკარგულებაში იყო საზღვაო ძალებიც, რომელიც 120-მდე ხომალდსა და გემს ითვლიდა. მათ შორის იყო სახაზო ხომალდი „გენერალი ალექსეევი“, კრეისერი „კაგული“, 3 დამხმარე კრეისერი, 8 საესკადრო ნაღმოსანი, 9 საკანონერო ნავი და ა.შ.

მრავალრიცხოვნობის მიუხედავად, ხომალდების დიდი ნაწილი გადაუდებელ რემონტს საჭიროებდა და ეკიპაჟებიც სრულად დაკომპლექტებული არ იყო.

ინგლისელებმა ჩათვალეს, რომ გამანადგურებლები ქართველებზე მეტად დენიკინს უფრო გამოადგებოდა და აპრილ-მაისში საუკეთესო მდგომარეობაში მყოფი №521, №525 და №545 მოხალისეთა საზღვაო ძალებს გადასცეს.

იმ პერიოდში შავ ზღვაზე ვითარებას მთლიანად ბრიტანეთისა და საფრანგეთის სამხედრო ფლოტები აკონტროლებდნენ და საქართველოს სანაპირო ზოლი ბოლშევიკებისგან ასე თუ ისე დაცული იყო. ამის მიუხედავად, ქართულ გემებს რამდენიმე ინციდენტი მაინც შეემთხვათ და ისიც მოხალისეთა არმიის ფლოტთან.

1918 წლის 3 დეკემბერს, ჯაშუშების გაცემული ინფორმაციის საფუძველზე, სოხუმიდან გამოსული კაბოტაჟური სატვირთო ორთქლმავალი „საქართველო“ (ყოფილი „ჭოროხი“, წყალწყვა 145 ტონა) ბარჟა №133-თან ერთად დააკავეს.

გემებით გაგრისკენ 120 ქართველი ჯარისკაცი მიემართებოდა, ხოლო ტვირთი 1500 ფუთი სიმინდისა და 4 ცხენისგან შედგებოდა.

ბიჭვინთის შუქურასთან ინგლისური დროშით მოცურავე დენიკინელთა საკანონერო ნავმა „საქართველო“ დააკავა და ჯარისკაცებთან ერთად ტუაფსეში წაიყვანა.

შემდგომში „საქართველოს“ კაპიტანი იხსენებდა: „წაგვართვეს ყველაფერი, წაიღეს ფული და რაც კი გვებადა. როგორც კი ტუაფსეში შევედით, ყველანი ნაპირზე გადაგვიყვანეს და ციხეში გაგვგზავნეს“.

მოხალისეთა ფლოტმა ასევე ძალის გამოყენებით დააკავა ფოთის პორტის გემი „ფიოდორ ფეოფანი“ (წყალწყვა 597 ტონა).

პერიოდულად დენიკინის ფლოტის გემებს ბათუმისკენ ცურვა უხდებოდათ, საიდანაც ყოფილი კავკასიის არმიის საწყობებიდან იარაღსა და საბრძოლო მასალებს ეზიდებოდნენ.

ყოველი შემთხვევისთვის მოხალისეები სიფრთხილეს იჩენდნენ და საქართველოს სანაპიროსთან ცურვისას სატვირთო გემებს თან სამხედრო ხომალდები მიაცილებდნენ.

1919 წლის თებერვლისთვის ქარ-

**გამანადგურებელი „ფრიდონის“ (ინგლისის ფლოტის ყოფილი ML-405, მოხალისეთა ფლოტის ყოფილი CK-2 „სტარში ლეიტენანტ მაკაროვი“) ტექნიკური მონაცემები: წყალწყვა — 37 ტ, სიჩქარე — 19 კვანძი, სიგრძე — 24,4 მ, სიგანე — 3,7 მ, წყალჯდომი — 1,2 მ, ბენზინის ორი ძრავა საერთო სიმძლავრით 440 ცხ.ძალა, ეკიპაჟი — 8 კაცი, შეიარაღება — 47 მმ-იანი ქვემეხი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



„გრინპორტი“ დავალების შესასრულებლად ზღვაში გადის

თული ფლოტილიის განკარგულებაში დარჩენილი გამანადგურებლებიდან №526 სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო ძნელად შესაკეთებელი იყო და №523-ის აღსადგენად იქნა გამოყენებული.

გამორიცხული არ არის, რომ №523 ის გამანადგურებელია, რომელიც 1919 წლის 12 მარტს ფოთში რემონტის შემდეგ წყალში „პატარა კახის“ სახელით ჩაუშვეს.

იმ საკმაოდ მძიმე და რთულ პერიოდში ქართული ფლოტი ხელმეორედ დაიბადა. გამანადგურებლის დროებით მეთაურად შორეული ნაოსნობის შტურმანი კაპიტანი გოგავა დაინიშნა.

ჩანს, მოგვიანებით დარჩენილი ორი კატარღის აღდგენა-გარემონტებაც მოხერხდა და, სავარაუდოდ, გამანადგურებელმა №524-მა სახელად „ტარიელი“, ხოლო №526-მა კი „ავთანდილი“ მიიღო.

იმ პერიოდში ყველაზე დიდი პრობლემა საზღვაო კონტრაბანდა იყო და საქართველოდან თურქეთში შეუფერხებლად გაედინებოდა სიმინდი, შალი, თამბაქო და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია.

სასაზღვრო სამსახურის დაბალსიჩქარიანი კატარღები კი კონტრაბანდისტთა ჩქაროსნულ მცურავ საშუალებებს ვერაფერს აკლებდნენ.

ფოთის გარნიზონის უფროსი პოლკოვნიკი მშველიძე თვლიდა, რომ „პატარა კახისა“ და კიდევ 2 გამანადგურებლის სასაზღვრო სამსახურისათვის გადაცემა რესპუბლიკას უფრო წაადგებოდა.

ქართველი სამხედროები იმასაც ამბობდნენ, რომ სამი გამანადგურებლისგან სრულად გამართული არც ერთი არ იყო და მოქმედება ასე თუ ისე მხოლოდ „პატარა კახს“ შეეძლო. ყველა ამ სირთულეს გამანადგურებლების ძრავებისთვის აუცილებელი ბენზინის დეფიციტი და სამხედრო-საზღვაო ოფიცერთა ნაკლებობა ემატებოდა.

1920 წლის გაზაფხულიდან ბოლშევიკების წითელმა მე-8 და მე-9 არმიებმა დენიკინელთა შევიწროება დაიწყეს და მარტის მეორე ნახევარში პორტ ნოვოროსიისკს მიუახლოვდნენ.

მოხალისეთა არმია, მშვიდობიანი მოსახლეობა და ყველა, ვინც კი ბოლშევიკებს არ თანაუგრძნობდა, ნოვოროსიისკს ტოვებდა. გემებზე ლტოლვილთა გვერდით დიდძალი იარაღი და საბრძოლო მასალა იტვირთებოდა.

გემების ერთი ნაწილი ბათუმისკენ მოემართებოდნენ, სადაც იმ დროს ბრიტანელები იმყოფებოდნენ.

1920 წლის 25 მარტს ფოთიდან დაახლოებით 6,5 მილის დაშორებით ერთ-ერთმა ქართულმა გამანადგურებელმა ქვემეხის სროლით ოთხი რუსული გემი დააკავა და ფოთში შესვლა უბრძანა.

28 მარტს სატვირთო-სამგზავრო „ვოზრაჟდენიეზე“ (წყალწყვა 1515 ტონა) ქართველი სამხედროების ჯგუფი ავიდა და ტვირთის — იარაღისა და ამუნიციის გადმოცემა მოითხოვა.

ინგლისელთა მოთხოვნის შემდეგ სამი გემი გათავისუფლდა, მაგრამ სატვირთო ორთქლმავალი „კაზაკი“ (წყალწყვა 967 ტონა) ქართველებმა დაიტოვეს.

გემების დაკავებამ დენიკინის არმიის სარდლობის უკმაყოფილება გამოიწვია და მორიგი ინციდენტის შემდეგ მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა.

30 მარტს საპატრულო კატარღა „სტარში ლეიტენანტ მაკაროვი“ სოხუმში გაიგზავნა დავალებით — წითლების გააქტიურებასთან დაკავშირებით რას აპირებდა საქართველოს



1920 წლის სექტემბრამდე ფოთს ქართული ფლოტი მთავარ სადგომად იყენებდა

„გრინპორტის“ ტიპის კატარღა



მთავრობა, მაგრამ დათქმულ დროს კატარღა უკან აღარ დაბრუნდა. მის საძებნად ზღვაში საესკადრო ნაღმოსანი „დერზკი“ გავიდა, მაგრამ გაგრასთან ძებნის ოპერაციამ ნაყოფი არ გამოიღო.

კატარღის ბედი რამდენიმე დღის შემდეგ გაირკვა, როცა ეკიპაჟის ერთ-ერთმა წევრმა ფოთში მოხალისეთა გემის ბორტზე ასვლა მოახერხა და ბათუმში ჩავიდა, სადაც დენიკინის წარმომადგენლობას დაუკავშირდა. მისი ნაამბობიდან გაირკვა, რომ კატარღის მეთაური ეკიპაჟის დიდ ნაწილთან ერთად ნაპირზე დროის გასატარებლად გადავიდა, ხოლო ბორტზე მხოლოდ 4 მეზღვაური დატოვა. ნაპირზე გადმოსულები ქართველმა სამხედროებმა დააკავეს. ამის შემდეგ „მაკაროვს“ ორი ქართული გამანადგურებელი 20-მდე ჯარისკაცით მიადგა და ეკიპაჟი წინააღმდეგობის გარეშე განაიარაღა, ხოლო კატარღა ფოთში გადაიყვანეს.

არადა, კატარღის მეთაური წინასწარ იყო გაფრთხილებული, რომ ქართველებთან სიფრთხილე გამოეჩინა.

მოხალისეთა წარმომადგენელმა, I რანგის კაპიტანმა ლებედევმა კატარღის გათავისუფლება მოითხოვა და მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ფოთის დაბომბვით დაიმუქრა.

მოხალისეებს სოლიდარობა გამოუცხადა ფრანგული საესკადრო ნაღმოსნის Hova-ს მეთაურმა და რუსულ ხომალდებთან ოპერაციაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა.

1920 წლის 16 აპრილს ფოთისკენ საესკადრო ნაღმოსნები „ჟივოი“ და „დერზკი“ გამოიგზავნა, მაგრამ ცუდი ამინდის გამო ლაშქრობა არ შედგა და ორივე ხომალდი სოჭში გაბრუნდა.

„სტარში ლეიტენანტი მაკაროვი“ საქართველოს დარჩა და ფლოტის შემადგენლობაში „ფრიდონის“ სახელით ჩაირიცხა.

1920 წლის ოქტომბრისთვის საქართველოს განკარგულებაში მყოფი ოთხივე გამანადგურებელი დაცურავდა და სხვადასხვა დავალებას ასრულებდა.

გამანადგურებელი „პატარა კახის“ მეთაური ლეიტენანტი ღოღობერიძე, „ტარიელის“ — უფროსი ლეიტენანტი ღომბერიძე, „ავთანდილის“ — უფროსი ლეიტენანტი ბორის ჭითანავა, ხოლო „ფრიდონის“ უფროსი ლეიტენანტი გიორგი ჩიკვაიძე იყო.

1920 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში „ტარიელი“, შემდეგ „ავთანდილი“ და „პატარა კახი“, ხოლო ბოლოს კი „ფრიდონი“, ფოთიდან ბათუმში გადავიდნენ, სადაც ბაზირებისთვის უკეთესი პირობები და სარემონტო შესაძლებლობებიც მეტი იყო.

ოთხი გამანადგურებლიდან ყველაზე ცუდ მდგომარეობაში, ეტყობა, „ფრიდონი“ იყო, რადგან 25 სექტემბერს ის ელინგზე აიყვანეს და რემონტი 14 დეკემბერს დასრულდა.

1920 წლის ბოლოსთვის კავკასიის სანაპიროზე მდგომარეობა შეიცვალა. ანტიბოლშევიკურმა ძალებმა გამანადგურებელი მარცხი განიცადეს და ინიციატივა მთლიანად წითელი არმიის ხელში გადავიდა, ხოლო წითელი მე-9 ყუბანის არმია კავკასიის სანაპიროზე საქართველოს საზღვრებთან გამოვიდა.

მომზადდა პლაცდარმი საქართველოში შემოჭრისთვის და 1921 წლის თებერვლის აგრესიის დროს სოჭის მხრიდან სასაზღვრო მდინარე ფსოუ წითლების 31-ე მსროლელი დივიზიის ქვედანაყოფებმა გადმოლახეს.

ზღვაზე საქართველოს სანაპიროსთან ფრანგული ესკადრა კურსირებდა.



გენერალ დენიკინის
მოხალისეთა არმიასთან საქართველოს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა

ბოლშევიკებს საზღვაო ძალების გამოყენებაც არ უცდიათ, ხოლო ოპერაციებში ქართული გამანადგურებლების მონაწილეობაზე არაფერია ცნობილი.

მრავალრიცხოვანმა მტერმა სახმელეთო ბრძოლებში უპირატესობას მიაღწია და საქართველოს ოკუპირება შეძლო.

ქართული ფლოტის გამანადგურებლები „ავთანდილი“ და „ტარიელი“ კი სატვირთო-სამგზავრო გემმა „მარიამ“ ბუქსირით 1921 წლის მარტის დამდეგს თურქეთში წაიყვანა.

ბათუმში დარჩენილი „პატარა კახი“ და „ფრიდონი“, ალბათ, იმდენად ცუდ მდგომარეობაში იყო, რომ წაყვანაზე უარი ითქვა და ბოლშევიკებს დარჩათ. ამ გამანადგურებლების ბედი უცნობია.

***თემურ ჩაჩანიძე***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფლავიუს აეციუსი

## 390-454



**ფლავიუს აეციუსს ხშირად „უკანასკნელ რომაელს" უწოდებენ. მან ჰუნთა ბელადი ატილა დაამარცხა და დასავლეთ რომის იმპერიის გარდაუვალი დაცემა შეანელა ბარბაროსთა მეშვეობით.**

### ქრონოლოგია

* 390 — დაიბადა დუროსტორუმში, ქვემო მეოზიაში (თანამედროვე ბულგარეთი).
* 423-425 — დაეხმარა უზურპატორ იოანეს იტალიაში.
* 432 — კონსულად აირჩიეს (პირველად) და იმპერატორ ვალენტინიანე III-ის უმთავრესი მრჩეველი გახდა.
* 433 — გალიაში ამბოხებულებს შეებრძოლა.
* 435-437 — ვორმსთან ბურგუნდიელები დაამარცხა.
* 437-39 — ტულუზაში ვესტგუთებს შეებრძოლა და უკუაქცია.
* 451 — კატალაუნის ბრძოლაში ატილა დაამარცხა.
* 454 — ვალენტინიანემ სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.

### კომბინირებული ტაქტიკა

სკვითი ჯარისკაცისა და რომაელი არისტოკრატი ქალის ვაჟმა აეციუსმა ყმაწვილობა ვესტგუთთა წინამძღოლ ალარიხთან გაატარა. შემდეგ ჰუნთა სამეფო კარზე გაგზავნეს, სადაც ომის ხელოვნებას დაეუფლა. როგორც ამბობენ, ჯერ კიდევ ყმაწვილს ზრდასრული მამაკაცებისგანაც კი შეეძლო თავის დაცვა. ჰუნებმა ასწავლეს, თუ როგორ უნდა ებრძოლა ცხენზე ამხედრებულს. ეს და რომაელი ქვეითი მეომრის გამოცდილება ერთმანეთს შეუზავა და სასტიკ მებრძოლად ჩამოყალიბდა.

423-დან 425-მდე უზურპატორ იოანეს ეხმარებოდა იტალიაში, შემდეგ კი ახალი იმპერატორის, ვალენტინიანე III-ის ფავორიტი გახდა. აეციუსი გალიაში გაგზავნეს წესრიგის დასამყარებლად და არაერთი გამარჯვება მოიპოვა ფრანკებსა და იქ დასახლებულ ვესტგუთებთან ბრძოლაში. 432 წელს კონსული და ვალენტინიანეს უმთავრესი მრჩეველი გახდა. გარდა ამისა, ვალენტინიანეს დედის, პლაციდიას ფავორიტობასაც მიაღწია. პლაციდია თავისი ვაჟის სახელით მთელ დასავლეთ იმპერიას აკონტროლებდა. ამით აეციუსი დასავლეთ სამყაროში გავლენიან პირად იქცა და 433 წელს პატრიციის ტიტულიც მიიღო.

435 წელს ბურგუნდიელებმა გალიის რაინის სანაპიროებს საფრთხე შეუქმნეს. აეციუსმა ბავშვობის მეგობრები — ჰუნები მოიხმო საბრძოლველად და 437 წელს გაერთიანებული ძალებით ვორმსთან ბურგუნდიელთა სამეფო ააოხრეს. ტულუზასთან ვესტგუთების უკუქცევის შემდეგ, 439 წელს, აეციუსი რომში დაბრუნდა. იმპერატორმა თავისი მარჯვენა ხელი თავისივე მარცხენით მოიკვეთა.



კატალანის ბრძოლაში აეციუსმა ჰუნები დაამარცხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თვითმმართველი

445 წელს ატილა ჰუნების ერთპიროვნული მმართველი გახდა, რომთან კავშირი გაწყვიტა და იმპერიის დამორჩილებაც კი განიზრახა. 451 წელს ჩრდილოეთ გალიის საზღვრები გადალახა. სანამ ჯარს მოამზადებდა, აეციუსი ფრანკებსა და ვესტგუთებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა გაერთიანების თაობაზე, რადგან გალიაში მათაც ემუქრებოდათ ჰუნთაგან საფრთხე. გაერთიანებული ძალებითა და აეციუსის მხედართმთავრობით კატალაუნის ველზე, თანამედროვე შალონთან, ჰუნების დამარცხება მოხერხდა.

თუმცა, ატილა იარაღის დაყრას არ აპირებდა. მან იტალია 452 წელს დალაშქრა. რაკი მოკავშირეების მოწვევა არ შეეძლო, აეციუსმა ჩრდილოეთ იტალიის ქალაქები დათმო, ჯარები გაიყვანა, მინდვრები გადაწვა და ატილა თავის ჯართან ერთად შიმშილისა და ავადმყოფობისთვის შეიქნა განწირული. მალე რომაელები მომხდურთ შეუბრუნდნენ და ჩრდილოეთისკენ გადარეკეს, იმპერიის საზღვრებს გარეთ.

მართალია, აეციუსმა იმპერია ცოტა ხნით მაინც იხსნა, მაგრამ ჯილდოდ სიკვდილი მიიღო. ვალენტინიანე თავისი სახელოვანი მხედართმთავრის ჩრდილში ყოფნით დაიღალა. 454 წლის სექტემბერში აეციუსსა და ვალენტინიანეს შორის განხეთქილება ჩამოვარდა. საქმე ეხებოდა მისი ვაჟის ქორწინებას იმპერატორის რომელიმე ქალიშვილთან. ამით ხომ თავის ვაჟს იმპერატორობისკენ ეკაფებოდა გზა. კამათისას გაცეცხლებულმა ვალენტინიანემ სატევარი იშიშვლა და აეციუსს ჩასცა.

თავზარდაცემულმა ჯარისკაცმა, რომელიც ამ ამბავს შეესწრო, თქვა: „იმპერატორმა თავისი მარჯვენა ხელი თავისივე მარცხენით მოიკვეთა". აეციუსის სიკვდილი დასავლეთ იმპერიისთვის ავის მომასწავებელი ნიშანი იყო. ერთი წლის თავზე ორმა ჰუნმა — ოპტილამ და თრაუსტილამ — რომლებიც აეციუსის ახლობლები იყვნენ, იმპერატორი აკუწეს, როდესაც ეს უკანასკნელი მარსის ველზე ისრის სროლაში გასაწაფად მივიდა. როდესაც გაოცებული ვალენტინიანე შემობრუნდა თავდამსხმელთა დასანახად, მათ მყისვე ამოხადეს იმპერატორს სული. მის გარშემო ჯარისკაცები აეციუსის მომხრენი იყვნენ, ამიტომაც იმპერატორის მისახმარებლად ხელი არავინ განძრია. ოცი წლის შემდეგ დასავლეთის იმპერია დაეცა.




## აეციუსი და ბარბაროსები

● 437 წელს აეციუსმა და მისმა ჰუნმა მოკავშირეებმა დედაბუდიანად გაწყვიტეს ბურგუნდიელები გერმანიის საზღვართან. ეს ამბავია აღწერილი გერმანულ თქმულებაში „სიმღერა ნიბელუნგებზე". 1200 წელს თქმულება ეპიკურ პოემად იქცა და რიჩარდ ვაგნერის ოპერა „ნიბელუნგების ბეჭედს" დაედო საფუძვლად.

● აეციუსის მეთაურობით რომაული ჯარი ვესტგუთ და ფრანკ მოკავშირეებთან ერთად კატალაუნის ველზე, შალონთან ახლოს (თანამედროვე საფრანგეთი), 451 წელს ჰუნების ბელად ატილას შეება. სასტიკ ბრძოლაში, მთელ დღეს რომ გასტანა, ვესტგუთების მეფე თეოდორიხი დაიღუპა. აეციუსისთვის კი ერთ-ერთი წარმატებული ბრძოლა აღმოჩნდა, რადგან ჰუნებს პირწმინდად გაავლო მუსრი. ვინც სიკვდილს გადაურჩა, ისიც წყვდიადს უნდა უმადლოდეს, რადგან ღამით მოახერხა გაპარვა. ატილამ ნაალაფარი უნაგირებით უზარმაზარი კოცონი დაანთო, — თუ რომაელები მიუახლოვდებოდნენ, პირდაპირ ცეცხლს მისცემდა თავს, ვიდრე ტყვედ ჩავარდებოდა. თუმცა, ორივე მხრიდან იმხელა დანაკარგი იყო, რომ რომაელებმა მტრის დევნა ვეღარ შეძლეს, ამიტომ ატილამ გადარჩენილ ჯარისკაცებთან ერთად ბრძოლის ველს თავი დააღწია.

● ერთი წლის შემდეგ ატილამ ისევ შეუტია იტალიას გაძლიერებული ჯარით. ბარბაროსი მოკავშირეებისგან მიტოვებულმა აეციუსმა ჭკუა იხმარა და უკან დაიხია, რათა მტრისგან თავის დაღწევაც მოეხერხებინა და დაექანცა კიდეც მომხდური. მოლაპარაკების შემდეგ, ატილამ იტალიიდან ჯარი გაიყვანა, აეციუსმა კი იმპერია გადაარჩინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კამიკაძე „ღვთაებრივი ქარი“



XIII საუკუნეში კამიკაძე — „ღვთაებრივმა ქარმა“ იაპონია მონღოლთა შემოსევისგან ორჯერ იხსნა

კამიკაძე... ძნელად თუ მოიძებნება იაპონურ კულტურაში სხვა ფენომენი, რომელსაც ესოდენ წინააღმდეგობრივი შეფასებები ეძლევა მთელ მსოფლიოში.

ჩვენი თანამედროვეების უმრავლესობა ფიქრობს, რომ კამიკაძე მეორე მსოფლიო ომის დროს იაპონიასა და აშშ-ს შორის გააფთრებული შეტაკებების დროს გამოჩნდა, მაგრამ ეს ასე როდია: სიტყვა „კამიკაძე“ ჯერ კიდევ XIII საუკუნეში გაჩნდა და იაპონურად „ღვთაებრივ ქარს“ ნიშნავს. ამ სიტყვის წარმოშობა ერთ დაუჯერებელ ამბავს უკავშირდება, რომელიც მძვინვარე ჩინგიზ-ყაენის ერთ-ერთ შვილიშვილს — ხუბულაის გადახდა თავს.

1274 წელს მონღოლ ცხენოსანთა ორმოცათასიანი რაზმი 800 ხომალდით შეიჭრა იაპონიაში. მონღოლთა სამხედრო ძლიერება იაპონელებისას აღემატებოდა: ისინი უკეთ იყვნენ შეიარაღებული და ორგანიზებული, საუკეთესოდ ფლობდნენ შეტევის ტაქტიკას, ძალიან სწრაფად გადაადგილდებოდნენ და უდიდესი საბრძოლო გამოცდილებაც ჰქონდათ. გარდა ამისა, მათ განკარგულებაში იყო უახლესი შეიარაღება: მძლავრი ქვემეხები, დენთიანი მსხვრევადი ყუმბარები და ცეცხლსასროლი იარაღის პირველი ნიმუშებიც კი (ევროპაში დენთი და ცეცხლსასროლი იარაღი ბევრად გვიან გამოჩნდა)... და რომ არა განგების ჩარევა, იაპონელები დამარცხდებოდნენ. ბედისწერამ მათ დასახმარებლად მძლავრი ტაიფუნი გამოგზავნა: მოულოდნელად მოვარდნილმა ტროპიკულმა ციკლონმა მონღოლების ფლოტი გაანადგურა. ბუნების დახმარებით გამხნევებული სამურაები გაათკეცებული გულოვნობით ეკვეთნენ დამხმარე ძალების გარეშე დარჩენილ მონღოლთა ლაშქარს და უმოწყალოდ გაჟლიტეს.

ხუბულაი-ყაენი განრისხდა! იგი ვერ შეურიგდებოდა სტიქიის თავნებობის გამო დამარცხებას, უფრო მეტიც — ესოდენ კადნიერ შეურაცხყოფას დაუსჯელს არ დატოვებდა. მართლაც, 7 წლის შემდეგ, ახლა უკვე როგორც ჩინეთის იმპერატორი, ხუბულაი კიდევ უფრო მძლავრ არმიასა და ფლოტს აგროვებს. და ფანტასტიკური რამ ხდება: ტაიფუნმა კვლავ ჩაძირა მისი ფლოტი და 90 ათასზე მეტი მეომარი!.. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ იაპონელებმა ტაიფუნი ერის მხსნელად გამოაცხადეს და მას „ღვთაებრივი ქარი“ შეარქვეს...

შუა საუკუნეებში და მოგვიანებითაც, სამურაებს არაერთხელ ჩაუდენიათ საგმირო საქმენი საკუთარი სიცოცხლის ფასად, მაშინ მათ კამიკაძეს არ უწოდებდნენ. მსგავსი მაგალითები სხვა ქვეყნების ისტორიაშიც არის, მათ შორის — საქართველოს ისტორიაშიც, მაგრამ იაპონია უნიკალური შემთხვევაა. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ამ ქვეყნის კულტურა არც ერთ სხვა ქვეყნისას არ ჰგავს. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა „ბუსიდო“ — საუკუნეების განმავლობაში შემუშავებული სამურაების ღირსების კოდექსი. ბუსიდო „მეომრის გზას“, ანუ „სიკვდილს“ ნიშნავს. ეს კოდექსი არაერთხელ გადაწერილა, მაგრამ მთავარი პრინციპი ყოველთვის უცვლელი რჩებოდა: „თქვენ შეიძლება სიცოცხლე დაკარგოთ, მაგრამ ღირსება — არასოდეს“. მსოფლიოში არ არის სხვა ქვეყანა, სადაც ასე სათუთად ეპყრობოდნენ ღირსებას და ასე არაფრად უღირდეთ საკუთარი სიცოცხლე.

სამურაების პრინციპები, მათი მორალი და სამყაროს ხედვა იაპონელების ხასიათის საფუძველში დევს. თვად სამურაებს კი, თუ რაიმე მიზეზით სიცოცხლე არ სურდათ ან შერცხვენილად მიიჩნევდნენ მას, უფლება ჰქონდათ აერჩიათ სიკვდილი. ქრისტიანული სამყაროსგან განსხვავებით, სადაც თვითმკვლელობა უმძიმეს ცოდვად ითვლება, იაპონიაში ეს ცოდვად არასოდეს მიაჩნდათ.

## „ჰომარე ნო ივ“

ახლა შუა საუკუნეებიდან XX საუკუნეში გადავინაცვლოთ. მეორე მსოფლიო ომის დამდეგსა და შუა წლებში ბრძოლების მიმდინარეობისას კამიკაძის საჭიროება არ არსებობდა: იაპონიას მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტი ჰყავდა, სწორედ ამის წყალობით შეძლო მან ფილიპინის კუნძულებისა და სხვა მრავალი ტერიტორიის დაპყრობა

(შესაძლოა, ამერიკული სამხედრო-საზღვაო ფლოტის სისუსტე 1941 წლის 7 დეკემბერს პერლ-ჰარბორზე იაპონელების გამანადგურებელმა თავდასხმამ განაპირობა).

1944 წლის ზაფხულისათვის ვითარება არსებითად შეიცვალა, როდესაც წყნარ ოკეანეში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში აშშ-ის მძლავრი ავიამზიდი ფლოტი ჩაერთო და არა ერთი გამანადგურებელი მარცხი აგემა იაპონიის ფლოტს. ამერიკული სამხედრო ხომალდები, რომლებიც უზარმაზარ საცეცხლე და რიცხობრივ უპირატესობას ფლობდნენ, ავიაციის მასირებული დახმარებით, ჭურვებს უშენდნენ და ძირავდნენ ოდესღაც მრისხანე კრეისერებსა და სახაზე ხომალდებს – იაპონური სამხედრო-საზღვაო ფლოტის სიამაყეს. ამ უბედურებას კიდევ უფრო ამძაფრებდა ის გარემოება, რომ ამერიკელებს მასშტაბურ ბრძოლებში სულ ახალ-ახალი ესკადრების, ფლოტებისა და დივიზიების ჩართვა შეეძლოთ, იაპონიას კი რეზერვები აღარ ჰქონდა.

სწორედ მაშინ გაიხსენეს „ღვთაებრივი ქარი“, რომელმაც ორჯერ იხსნა იაპონია გარდაუვალი მარცხისგან, და გადაწყვიტეს, სასიკვდილოდ განწირული მფრინავების მომზადება, რომლებიც, ზოგიერთი იაპონელი მხედართმთავრის აზრით, ომის მსვლელობაში კარდინალური ცვლილებების შეტანას შეძლებდნენ. თუმცა ახალი დოქტრინა ბევრისთვის შოკის მომგვრელი იყო და უმაღლეს სამხედრო ხელმძღვანელობაში მას ძლიერი მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა, მაგრამ ამომავალი მზის ქვეყანას სხვა შესაძლებლობა არ ჰქონდა ამერიკული ჯარების სულ უფრო მძლავრი და მასშტაბური იერიშების შესაჩერებლად.

თვითმკვლელური ტარანის იერიშების ქვედანაყოფის შექმნაში საკვანძო როლი ვიცე-ადმირალმა ტაკიჯირო ონისიმ ითამაშა. ეს იყო დიდი საბრძოლო გამოცდილების მქონე ხისტი და ძლიერი ნებისყოფის მხედართმთავარი. სულ რამდენიმე დღეში ფილიპინებზე განლაგებულ ერთ-ერთ იაპონურ ავიაბაზაში მან ავიარაზმი ჩამოაყალიბა, რომელსაც უწოდეს „სიმპუ ტოკუბეცუ კოგეკიტაი“ („სპეციალური იერიშების კორპუსი სიმპუ“; „სიმპუ“ ისევე როგორც „კამიკაძე“, ნიშნავს „ღვთაებრივ ქარს“). არნახული ქვედანაყოფის შექმნაში უდიდესი წვლილისათვის ონისის მეტსახელად „კამიკაძეების მამა“ შეარქვეს. სხვათა შორის, „სიკვდილმისჯილი“ პილოტების ფენომენს ამომავალი მზის ქვეყანაში ერთმნიშვნელოვანი შეფასება ჯერაც არ მიუღია: იაპონელი საზოგადოების ერთი ნაწილი ვიცე-ადმირალის ქმედებებს ამართლებს, მეორე ნაწილი კი დანაშაულად თვლის. კატეგორიულად უარყოფდა რა კაპიტულაციის შესაძლებლობას, ონისი მზად იყო საშინელ მსხვერპლზე წასულიყო.

ახალი „კორპუსი“ ნებაყოფლობით საწყისებზე იქმნებოდა. იაპონიის კეთილდღეობისათვის „წმინდა ვალის“ ღირსეულად აღსრულების შემთხვევაში, სასიკვდილოდ განწირულ პილოტსა და მის ოჯახს, იერიშის შედეგის მიუხედავად, ენიჭებოდა ტიტული „ჰომარე ნო ივ“ – „ზეპატივცემულნი“. რა თქმა უნდა, თავის განცხადებაში სპეციალური იერიშების კორპუსის არც ერთი კანდიდატთაგანი არ წერდა, რომ მას სურდა თავისი გვარისთვის სახელი გაეთქვა. თუმცა ოჯახის, გვარის განდიდების მოტივი, ამ შემთხვევაში არც თუ უკანასკნელ როლს თამაშობდა. სამურაების ძველი ტრადიციის თანახმად, თანამებრძოლთა და მშობლიური კლანის კეთილდღეობისათვის ჩადენილი გმირობა უთუოდ ოჯახურ მონაპოვრად გადაიქცევა და ხსოვნა სათუთად გადაეცემა თაობიდან თაობას. მაშ, იმ საგმირო საქმეზე, რაღა ითქმის, რომელიც მთელი იაპონელი ხალხის საკეთილდღეოდ შესრულდება?.. ამგვარ ლოგიკას ადამიანი ასე ადვილად ვერ ჩასწვდება და როგორც ჩანს, სწორედ ამიტომაც სხვა ერები, რომლებიც არ იცნობენ და ვერ იგებენ ძველ იაპონურ კულტურას, კამიკაძეებს შეშლილებადაც კი თვლიან.

### „ღმერთები მიწიერი სურვილების გარეშე“



კამიკაძე — მფრინავების დავალების შესრულების წინ გადაღებული სამახსოვრო ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა




...სპეციალური იერიშების კორპუსის შემადგენლობაში თავდაპირველად A6M Zero-ს ტიპის სულ 26 მსუბუქი საგემბანო ავიაგამანადგურებელი იყო, რომელთა უმრავლესობის ფიუზელაჟზეც 250-კილოგრამიანი ავიაბომბი იყო ჩამოკიდებული. მათი დიდი ნაწილი ტარანის იერიშებისთვის, ხოლო მცირე – კამიკაძეს თანხლებისა და საბრძოლო შეუვალობისათვის იყო განკუთვნილი. კორპუსი შედგებოდა 4 საბრძოლო რგოლისგან, რომელთაგან თითოეულმა ფრიად კოლორიტული სახელწოდება მიიღო: „სიკისიმა“ (იაპონიის პოეტური სახელწოდება), „ასახი“(ამომავალი მზე), „იამატო“ (იაპონიის ძველთაძველი სახელწოდება), „იამაძაკურა“ (საკურას ყვავილები).

რაც შეეხება კორპუსის პირველი ქვედანაყოფების ფორმირებას, კონკურსი გაჩაღდა: ჭაბუკებს, რომლებმაც ის-ის იყო დაამთავრეს საფრენოსნო სკოლა, გამოცდილ პილოტებს, უფროს ოფიცრებს, თვითონ ინსტრუქტორებს, რომლებიც მფრინავ-კამიკაძეებს ამზადებდნენ – ყველას ჰქონდა პრეტენზია. მიზეზი მარტივი იყო – პირველი კამიკაძე, რომელიც სამიზნეს მოახვედრებდა, იაპონიის ეროვნული გმირი გახდებოდა, და მისი ხსოვნა საუკუნეებს გადაეცემოდა. გარდა ამისა, იყო კიდევ ერთი და, ალბათ, იაპონელებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი: თითოეული კამიკაძის პატივსაცემად, ვინც სიცოცხლეს შესწირავდა სამშობლოს ან იმპერატორის კეთილდღეობას, ცნობილ და სათაყვანებელ სინთოისტურ ტაძარში – იასუკუნში – მოთავსდებოდა პერსონალური სპილენძის ფირფიტა ზედ ამოტვიფრული გმირის სახელით.

...და აი, როგორც იქნა, დადგა კამიკაძეთა პირველი ჯგუფისთვის საზეიმო დღე – 1944 წლის 20 ოქტომბერი. საუზმის შემდეგ, შეტევის რგოლების ყველა მფრინავი ერთიან მწყობრში ვიცე-ადმირალ ონისის უკანასკნელ დარიგებას ისმენდა. ის ფერმკრთალი და დაღლილი ჩანდა, დინჯად ლაპარაკობდა: „იაპონია სასიკვდილო საფრთხის წინაშეა. ახლა ჩვენი ქვეყნის ხსნა მინისტრებს, გენერალურ შტაბსა და ჩემსავით ქვემდგომ მეთაურებს არ ძალუძთ. მხოლოდ თქვენ, ახალგაზრდებსა და სულით ძლიერებს შეგიძლიათ მისი გადარჩენა. ამიტომ მილიონობით ჩვენი თანამემამულის გულისათვის მე გთხოვთ ამ მსხვერპლს და ვლოცულობ თქვენი გამარჯვებისთვის... თქვენ უკვე ხართ ღმერთები მიწიერი სურვილების გარეშე“.

თვითმხილველები იხსენებდნენ, რომ მაშინ ყველას სუნთქვა შეეკრა: ასეთი გულში ჩამწვდომი სიტყვები მათ არასოდეს მოესმინათ. იმპერია თითქმის უიმედო სიტუაციაში იყო და ქვეყნის გადარჩენა ან სასწაულს, ან მფრინავ-კამიკაძეთა მასობრივ გმირობას შეეძლო.

პირველი საბრძოლო გაფრენა, ისევე როგორც რამდენიმე მომდევნო, უშედეგო გამოდგა. თვითმფრინავები ერთმანეთის მიყოლებით ბაზაში ბრუნდებოდნენ, რადგან დაზვერვის მიერ მითითებული სამიზნეების აღმოჩენა ვერ ხერხდებოდა. ამას ახალი განსაცდელი დაემატა: ამერიკულმა თვითმფრინავებმა მათი აეროდრომის მოულოდნელი დაბომბვა დაიწყეს. თავად მფრინავები არ დაშავებულან, რამდენიმე ბრძოლისუნარიანი თვითმფრინავი კი დაკარგეს. ეს ყველაფერი ტრაგიკული ამბით დაბოლოვდა – მოწინააღმდეგის ავიაციამ იაპონური ფლოტის ყველაზე მძლავრი ხომალდების (სახაზო ხომალდი Yamato და სხვ.) ჩაძირვა მოახერხა.



## დამსხვრეული ლარნაკების ბროლის წკრიალი



თვითმფრინავი-ჭურვი Oka

1944 წლის 25 ოქტომბერს კამიკაძეების ხუთი თვითმფრინავი ოთხი გამცილებელი გამანადგურებლის თანხლებით, ამერიკულ საბრძოლო ხომალდების ჯგუფს დაესხა თავს. სპეციალური იერიშების კორპუსის ერთ-ერთი რგოლის მეთაურის, ლეიტენანტ იუკიო სეკის თვითმფრინავმა ავიამზიდ CVE-29 Santee-ს ტარანი მოახდინა და შემზარავი გრუხუნით აფეთქდა. მტვრისა და ცეცხლის სვეტი უშველებელ სიმაღლეზე ავარდა. როგორც ჩანს, ხომალდზე საბრძოლო მასალების საცავის დეტონირება მოხდა ან აფეთქდა საავიაციო ბენზინი, რომელიც გემის ტრიუმებში დიდი ოდენობით ინახებოდა. მეორე თვითმფრინავი იმავე ავიამზიდის გემბანს მოხვდა თითქმის იმავე ადგილას და ბოლო მოუღო: ნახევარი საათის შემდეგ ალმოდებული Santee ფსკერისკენ დაეშვა... იმავე დღეს იაპონელებმა დააზიანეს მოწინააღმდეგის კიდევ რამდენიმე ხომალდი, თუმცა 17 საკუთარი თვითმფრინავიც დაკარგეს.

კამიკაძეების შედეგიანი იერიშებით გაჩნდა იმის მოჩვენებითი იმედი, რომ შეიძლებოდა ომის მოგება თუ არა, დროებითი ზავის მისაღები პირობებით დადება. ამას მოჰყვა პროგრამის გაფართოება. სასწრაფოდ დამუშავდა შეიარაღების ახალი ტიპები, მათ შორის თვითმფრინავი-ჭურვი Yokosuka MXY7 Ohka და პილოტირებადი ტორპედოები Kaiten-ი.

გამოცდილი ინსტრუქტორები აცნობიერებდნენ ფსიქოლოგიურ სიძნელეებს, რომლებიც მფრინავებს იერიშზე გადასვლისას ექმნებოდათ. აი, ინსტრუქციის ტექსტი, რომელიც თითოეულ კამიკაძეს უნდა ხსომებოდა:

„წარმოიდგინეთ, რომ თქვენ მიზანთან ხართ. ის სულ ახლოსაა. მტრის ხომალდის გემბანზე თქვენ თითოეულ მოქლონს ხედავთ. უკანასკნელი წამები... თქვენ გეჩვენებათ, რომ ჰაერში ლივლივებთ. თქვენ წინ დედის სახე ჩნდება. ის არ ტირის, არა – ყველაფერი ისეა, როგორც ყოველთვის. შემდეგ კი გესმით წყნარი ხმა, ისეთი, თითქოს ბროლის ლარნაკი დაიმსხვრაო... თქვენ აღარ ხართ“.

მფრინავი-კამიკაძეების რგოლს ყოველთვის ახლდა თან რამდენიმე გამანადგურებელი, რომლებსაც გამოცდილი მფრინავები მართავდნენ. ისინი იცავდნენ სიკვდილმისჯილებს მოწინააღმდეგის გამანადგურებელთა იერიშისგან. გამცილებელთა შორისაც დანაკარგის მაღალი მაჩვენებელი იყო და თუ მათი ნახევარი მაინც ბრუნდებოდა ბაზაში, ეს მისაღებად ითვლებოდა. სწორედ ისინი ატყობინებდნენ ხელმძღვანელობას „სპეციალური იერიშების“ შედეგებს.

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური კორპუსის ყველა მფრინავი მხად იყო იმპერატორისთვის შეეწირა სიცოცხლე, ბრძოლაში საკმაოდ გულგრილად მოქმედებდნენ. იერიშისთვის შესაფერისი სამიზნე თუ არ მოიძებნებოდა, კამიკაძეს არათუ უფლება ჰქონდა, არამედ ვალდებულიც იყო ბაზაში დაბრუნებულიყო.

ვინ ხდებოდა კამიკაძე? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა შეუძლებელია. უპირველესად ესენი 17-25 წლის ახალგაზრდები იყვნენ. კამიკაძეთა შორის ყველა სოციალური ფენის, განსხვავებული შეხედულებისა და ტემპერამენტის ადამიანები იყვნენ. მათ შემადგენლობას უნივერსიტეტებიდან სამხედრო სამსახურში გაწვეული ახალწვეულებიც ემატებოდნენ. ეს განათლებული და კარგად აღზრდილი ახალგაზრდები ერის საუკეთესო ნაწილს შეადგენდნენ და გულწრფელად ცდილობდნენ ძალისმიერი უპირატესობის მქონე მტრისგან დაეცვათ სამშობლო. ისინი თავიანთი ენერგიით, მაქსიმალიზმით, ზრახვათა სიწრფელით პატივისცემას და იმავდროულად, სიბრალულსაც იმსახურებდნენ, როგორც საომარი პროპაგანდით გაბრიყვებულები.

***არჩილ ბეჟანიშვილი***

***იაპონური გაზეთის „YOMIURI SHIMBUN“)-ის კორესპონდენტი საქართველოში***

**(დასასრული იხ. შემდეგ ნომერში)**



პილოტირებადი ტორპედო Kaitan-ი



# ქუთაისთან და ლაგოდეხთან ჩამოვარდნილი მსოფლიოში უდიდესი შვეულმფრენები

**23 წლის წინ იმერეთში კატასტროფაგანცდილმა მსოფლიოში უდიდესმა შვეულმფრენმა Ми-26-მა 18 კაცი შეიწირა, მათ შორის დაცემის ადგილზე მყოფი ბავშვიც**



ის, რაც დარჩა 1988 წლის 24 ივნისს ქუთაისთან ჩამოვარდნილი და დამწვარი თელავის პოლკის Ми-26-ისგან, საბორტე ნომრით 51.

Ми-26, საბორტე ნომრით 72, რომელსაც 1989 წელს თელავის აეროდრომზე დიდი სიჩქარით დაჯდომისას კუდი მოსტყდა, რაც ეკიპაჟმა მაშინვე ვერ შეამჩნია(!) და აგრძელებდა შვეულმფრენით აეროდრომის ბილიკზე სვლას. შვეულმფრენი მოგვიანებით აღადგინეს.



საბჭოთა პერიოდში ავიაკატასტროფების შესახებ ინფორმაცია გასაიდუმლოებული რჩებოდა, მით უმეტეს, თუ ის სამხედრო ავიაციას შეეხებოდა.

1992 წლამდე საქართველოს ტერიტორიაზე ათიოდე სამხედრო აეროდრომი ფუნქციონირებდა, რომლებზეც რამდენიმე ასეული საბრძოლო და სატრანსპორტო თვითმფრინავი და შვეულმფრენი ბაზირებდა.

სასწავლო ფრენები ინტენსიურად მიმდინარეობდა და საავიაციო ავარიები და თვით ავიაკატასტროფებიც არცთუ იშვიათი გახლდათ.

„არსენალის“ რუბრიკა „სამხედრო ისტორიებში“ ამჯერად მსოფლიოში

# თელავის 793-ე ცალკეული სატრანსპორტო-საბრძოლო საშვეულმფრენო პოლკის ისტორია

1952 წელს თელავის აეროდრომზე კიროვაბადიდან საშვეულმფრენო პოლკი გადავიდა და შეიარაღებაში იმ დროისთვის უახლესი Ми-4-ის ტიპის შვეულმფრენები მიიღო.

იმავე წლებში (1952-53 წწ.) თელავის პოლკის არაერთი პილოტი და მექანიკოსი საიდუმლო მივლინებით მონაწილეობდა კორეის ომში.

1958 წელს პოლკის შვეულმფრენები დაეხმარნენ ომალოელებს, რომლებიც ზვავებმა გარე სამყაროს მოსწყვიტა. 1963 წელს თელავის პოლკის შეიარაღებაში პირველი Ми-6 ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენები გამოჩნდა. 40-ტონიანი Ми-6 იმ დროს ყველაზე დიდ შვეულმფრენად ითვლებოდა. მას 12 ტონა ტვირთის წაღება შეეძლო.

1967-77 წლებში „თელაველი“ მფრინავები და ტექნიკოსები სპეციალური დავალებების შესასრულებლად მივლინებით იგზავნებოდნენ კონგოში, ალჟირში, მაროკოში, სომალიში, რუმინეთში, ინდონეზიასა და ლაოსში.

1973 წელს თელავში პირველი Ми-8Т ტიპის საშუალო სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენები ჩაიყვანეს. ისინი ულან-უდეს საავიაციო ქარხნიდან პირდაპირ თელავის აეროდრომზე გადმოფრინდნენ.

1980-86 წწ.-ში თელავის პოლკის შვეულმფრენები და ეკიპაჟები ავღანეთის ომში მონაწილეობდნენ, ოღონდ ისინი თელავიდან როდი ასრულებდნენ საბრძოლო გაფრენებს (როგორც ეს დღემდე ზოგიერთს ჰგონია), არამედ თითო ესკადრილია როტაციის პრინციპით იგზავნებოდა ავღანეთში, სადაც რამდენიმე თვე დაფრინავდა. „ავღანური ნათლობა“ თელავის პოლკის ოთხივე ესკადრილიამ გაიარა. ავღანეთში „თელაველებს“ 19 პილოტი და საავიაციო სპეციალისტი დაეღუპათ, მათ შორის იყო უფროსი ლეიტენანტი როლანდ დაუდაშვილი, რომელიც ავღანეთში 1986 წლის 19 იანვარს დაიღუპა.

1986 წელს თელავის შვეულმფრენები ჩერნობილის ატომური რეაქტორის ავარიის ლიკვიდაციაში მონაწილეობდნენ, ხოლო 1988 წლის დეკემბრის დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ ჰუმანიტარული ტვირთები ჩაჰქონდათ სომხეთის დაზარალებული მოსახლეობისთვის.



შვეულმფრენების გარეშე დარჩენილი თელავის აეროდრომი დღეს კოსმოსიდან ასე მოჩანს...

1993 წლის 1-ელ იანვარს, მაშინ როდესაც თელაველები ჯერ კიდევ საახალწლო სუფრას უსხდნენ, პოლკის ყველა შვეულმფრენი მოულოდნელად ერთდროულად გაფრინდა საქართველოდან.

დღეს ყოფილი თელავის 793-ე საშვეულმფრენო პოლკი რუსეთში, სამარის ოლქის სოფელ კინელ-ჩერკასში ბაზირებს, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ჩეჩნეთის ორივე ომში.



Ми-6-ები თელავიდან აფრენის დროს



პირველად მსოფლიო ისტორიაში, სწორედ თელავის აეროდრომიდან ასწია Ми-26-მა 20 ტონა ტვირთი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



Ми-26Т ჩამოწერილი Ту-134-ის ტრანსპორტირებისას

**ჩვენი დოსიე:** მსოფლიოში უდიდესი სერიული, მრავალდანიშნულების სატრანსპორტო შვეულმფრენი Ми-26 (**NATO**-ს კლასიფიკაციით **Halo**-არწივი) 56 ტონას იწონის (მაქსიმალური ასაფრენი მასა), ნორმალური ასაფრენი მასა კი 50 ტონამდეა. მან პირველი გაფრენა 1977 წლის 14 დეკემბერს შეასრულა, რის შემდეგ როსტოვის საშვეულმფრენო ქარხანამ 178 ასეთი საფრენი აპარატი დაამზადა. რუსეთის თავდაცვის სამინისტრო აპირებს 2015 წლისთვის გააორმაგოს მოდერნიზებული Ми-26Т-ების რიცხვი სამხედრო-საჰაერო ძალებში. ამ მომენტისთვის რუსეთის სამხედრო ავიაციის შემადგენლობაში 52 ცალი Ми-26Т ირიცხება, თუმცა მათგან მწყობრში მხოლოდ 20-მდეა. ამ შვეულმფრენების ახალი პარტიის შეძენის შემდეგ მათმა რაოდენობამ (გამართულ მდგომარეობაში) 45-ს უნდა მიაღწიოს. 2011 წლის ფასების მიხედვით, ერთი მოდერნიზებული Ми-26-ის გასაყიდი ფასი 20-25 მლნ დოლარს შორის მერყეობს. Ми-26-ის ფიუზელაჟის სიგრძე 36 მ-მდეა, სიგანე 6 მ. მთავარი ხრახნის დიამეტრი 32 მ-ია, საჭის ხრახნისა კი — 7,6 მ. ცარიელი შვეულმფრენი 28 ტონაზე მეტს იწონის და 20 ტონამდე ტვირთის წაღება შეუძლია. სატვირთო კაბინის სიგრძე 12 მ-ია, სიგანე — 3,25 მ, სიმაღლე — 3 მეტრი და მასში 82 სრულად აღჭურვილი მედესანტის გადაყვანა შეიძლება. შვეულმფრენის სანიტარულ ვარიანტში 60 საკაცე თავსდება. Ми-26-ს ორი აირტურბინიანი ძრავა აქვს, თითოეული 10440 ცხ.ძ-ის სიმძლავრის, რომლებიც შვეულმფრენს მაქსიმალური 295 კმ/სთ სიჩქარის განვითარების საშუალებას აძლევენ (კრეისერული სიჩქარე 255 კმ/სთ). შვეულმფრენის მოქმედების რადიუსი 800 კმ-ს აღწევს, გადაფრენის მანძილი კი 1905 კმ-ს შეადგენს. ფრენის ჭერი 6500 მ-ია.

უდიდესი შვეულმფრენის, Ми-26-ის 23 წლის წინანდელ ავიაკატასტროფაზე მოგიყვებით, თუმცა თავიდანვე ალვნიშნავთ, რომ ბევრი დეტალი დასაზუსტებელია და თუკი ამ კატასტროფის თვითმხილველები „არსენალის" რედაქციას დამატებით ინფორმაციას მიაწვდიან, მადლობელი დავრჩებით.

მწირი ინფორმაციის თანახმად, 1988 წლის 24 ივნისს თელავის 793-ე საშვეულმფრენო პოლკის მძიმე სატრანსპორტო შვეულმფრენი Ми-26 საბორტე ნომრით 51, მიფრინავდა მარშრუტით ცხაკაია (სენაკი)-ვაზიანი. შვეულმფრენის ბორტზე იყო ეკიპაჟის 5 წევრი და 13 მგზავრი. მგზავრები ცხაკაიაში დისლოცირებული 283-ე გამანადგურებელი საავიაციო პოლკის სამხედროები იყვნენ, რომლებიც ვაზიანის აეროდრომზე მივლინებაში მიფრინავდნენ.

ცხაკაიიდან აფრენიდან ოციოდე წუთის შემდეგ, როდესაც Ми-26 3300 მ სიმაღლეზე მიფრინავდა, მოულოდნელად დაიწყო ძლიერი ვიბრაცია და შვეულმფრენი უმართავი ფრენის რეჟიმში გადავიდა. ეკიპაჟის სამი წევრი — შტურმანი, ბორტმექანიკოსი და ბორტტექნიკოსი პარაშუტებით გადმოხტნენ. ეკიპაჟის მეთაურმა არ დატოვა განწირული შვეულმფრენი, მიუხედავად იმისა, რომ პარაშუტი

„თელაველების“ ერთი ასეთი
Ми-8Т თურქეთში გაიტაცეს...




მასაც ჰქონდა. 13-ივე მგზავრი კი, რა თქმა უნდა, უპარაშუტოდ იყო და მათი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. როგორც ჩანს, შვეულმფრენი ჰაერშივე გადატრიალდა, რადგან მისმა უზარმაზარმა ხრახნებმა (რვიდან თითოეული ნიჩბის სიგრძე 32 მ-ს აღწევს) ნაკუწებად აქცია პარაშუტით გადმომხტარი შტურმანი და ბორტმექანიკოსი.

თითქმის 50 ტ მასის შვეულმფრენი მიწაზე დაენარცხა და აფეთქდა, რასაც დაცემის ადგილას მყოფი ერთი გოგონა შეეწირა, მეორემ, ბიჭმა კი, ძლიერი დამწვრობა მიიღო.

ავიაკატასტროფის შედეგად სულ 18 კაცი დაიღუპა — ეკიპაჟის 4 წევრი, 13 მგზავრი და ერთი ბავშვი შვეულმფრენის ჩამოვარდნის ადგილას. ტრაგედიას მხოლოდ ერთი, პარაშუტით გადმომხტარი ბორტმექანიკოსი გადაურჩა.

როგორც ავიაკატასტროფის გამომკვლევმა ჯგუფმა მოგვიანებით დაადგინა, ტრაგედიის მიზეზი შვეულმფრენის ტექნიკური გაუმართაობა გამხდარა — ფრენის დროს ჩაიშალა მთავარი რედუქტორისა და კუდის საჭის შემაერთებელი ლილვის საკისარი.

მსოფლიოში უდიდესი შვეულმფრენის კატასტროფა დიდი დარტყმა იყო საბჭოთა საავიაციო მრეწველობის პრესტიჟისთვის, რომელიც Ми-26-ების საზღვარგარეთ გაყიდვას გეგმავდა. ამიტომაც ქართულ ცაში მომხდარი ეს ტრაგიკული შემთხვევა გაასაიდუმლოეს.

თუმც „არსენალმა“ თავისი კვლე-

საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში ახალმიღებული Ми-26-ების სრულმასშტაბიანი საჯარისო გამოცდა 1988-89 წწ-ებში სწორედ თელავის 793-ე საშვეულმფრენო პოლკის ბაზაში ჩატარდა. 13 თვის განმავლობაში თელავის Ми-26-ებმა 1414 სთ იფრინეს. ისინი ხშირად 4500 მ სიმაღლემდე ადიოდნენ, რათა თელავი-მოზდოკის მარშრუტზე კავკასიის მთავარი ქედისთვის გადაეფრინათ.




**ჩვენი დოსიე:** ბევრისთვის ცნობილია (თუნდაც ჩვენი „არსენალის“ ფურცლებიდან), თუ როგორ გაიტაცა 1988 წლის 20 მაისის ღამეს ცხაკაიის (სენაკის) სამხედრო აეროდრომიდან კაპიტანმა ალექსანდრე ზუევმა МиГ-29 ტიპის გამანადგურებელი თურქეთში, თუმცა ნაკლებად ცნობილია, რომ თურმე „თელაველებისთვისაც“ მოუპარავთ საფრენი აპარატი.

1991 წლის 23 აპრილს Ми-8Т ტიპის შვეულმფრენი საბორტე ნომრით 09, თელავიდან ერებუნის აეროდრომზე (ერევნის მახლობლად) გადაფრინდა და იმავე დღეს უნდა დაბრუნებულიყო „მშობლიურ“ თელავში, მაგრამ ამინდის გაუარესების გამო გაფრენა გადაიდო. მეორე დღეს, 24 აპრილს, ამინდი არ გამოსულა და ფრენა არ იგეგმებოდა, მაგრამ შვეულმფრენის ეკიპაჟის წევრმა, უფროსმა ლეიტენანტმა ირეკ გიმატოვმა მალულად აიღო საბორტე გასაღები, თვითნებურად აამუშავა ძრავები და შვეულმფრენი ჰაერში აიყვანა. სანამ აეროდრომზე გონს მოვიდნენ, მფრინავი-გამტაცებელი უკვე თურქეთის საჰაერო სივრცეში იყო (ერებუნის აეროდრომის სომხეთ-თურქეთის საზღვრამდე პირდაპირი ხაზით 15 კმ-იც კი არ არის). მან გატაცებული Ми-8Т თურქეთის ქალაქ ერზურუმის სამხედრო აეროდრომზე დასვა და პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა. ისევე როგორც კაპიტან ზუევის შემთხვევაში (МиГ-29 რამდენიმე დღეში სენაკში დააბრუნეს, ხოლო თავად ზუევი აშშ-ში წავიდა), გატაცებული Ми-8Т მალევე დააბრუნეს თელავში, ხოლო საბჭოთა პილოტ-დეზერტირს კი პოლიტიკური თავშესაფარი მისცეს.

ამ გატაცებასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ კიდევ ერთი „თელავური“ Ми-8Т-ის ბედი. 1992 წელს „მხედრიონმა“ ფული მისცა ერთ-ერთ რუს პილოტს, რომელმაც შვეულმფრენი თელავის აეროდრომის გარეთ დასვა. შვეულმფრენი თივით შენიღბეს. ასეთ მდგომარეობაში იყო, სანამ „მხედრიონმა“ ის შინაგან ჯარებს არ აჩუქა. ამ სტატიის ავტორს ბევრჯერ უფრენია იმ შვეულმფრენით, სანამ 1998 წლის 28 აგვისტოს გორთან სტადიონიდან აფრენისას ავარია არ განიცადა. რამდენიმე მეტრიდან ჩამოვარდნილი შვეულმფრენი დაიწვა, მაგრამ, საბედნიეროდ, მის ბორტზე მყოფნი გადარჩნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხანკალას აეროდრომზე დაჯდომისას რუსული Ми-26-ს „იგლას“ რაკეტა მოხვდა (ზედა სურათი) და მიწაზე დაჯდომისას დაიწვა

**ჩვენი დოსიე:**

**გინესის რეკორდების წიგნში შესული ტრაგედია ერთ შვეულმფრენში დაღუპულთა რაოდენობით: 2002 წლის 19 აგვისტოს ხანკალას (გროზნო) აეროდრომზე დაჯდომისას რუსულ Ми-26-ს მარჯვენა ძრავაში „იგლას“ ტიპის სითბური დამიზნების რაკეტა მოხვდა. ამავე დროს მწყობრიდან გამოვიდა მარცხენა ძრავაც. ჰიდრავლიკური სისტემა და მართვის სისტემაც გაითიშა. ცეცხლწაკიდებული საავიაციო ნავთი კაბინაში ჩაიღვარა და თერმული დამწვრობა მიაყენა იქ მყოფთ. ეკიპაჟმა მაინც მოახერხა ავტოროტაციის რეჟიმში შვეულმფრენის დასმა (ოღონდ დანაღმულ ველზე), მაგრამ მაღალი ტემპერატურისგან დამდნარმა კონსტრუქციამ ველარ გაუძლო და ცეცხლწაკიდებული ძრავა მგზავრებიან კაბინაში ჩავარდა. შვეულმფრენში მყოფი 147 მგზავრიდან (ძირითადად ახალწვეული ჯარისკაცები, რომლებიც ჩეჩნეთის მეორე ომში მიჰყავდათ) 127 დაიღუპა. ეკიპაჟის ხუთი წევრი გადარჩა, რადგან მათი კაბინა ფიუზელაჟის წინა ნაწილში იყო.**

ვებით უფრო საინტერესო ფაქტებს მიაგნო: 1988 წლის 24 ივნისს ავიაკატასტროფა ქართულ ცაში პირველი შემთხვევა სულაც არ ყოფილა. ერთი წლით ადრე იმავე თელავის 793-ე საშვეულმფრენო პოლკის მსოფლიოში უდიდესი შვეულმფრენი Ми-26 თურმე ლაგოდეხთან ჩამოვარდნილა!

1987 წლის 11 დეკემბერს თელავის აეროდრომიდან აფრენილი Ми-26-ის ეკიპაჟი სასწავლო ფრენას ღამით ასრულებდა. შვეულმფრენის ბორტზე მგზავრები არ ყოფილან. სავარაუდოდ, ფრენის დროს ეკიპაჟმა შეცდომა დაუშვა (არ არის გამორიცხული, ჰქონდათ ტექნიკური პრობლემებიც), რის შემდეგაც უზარმაზარი შვეულმფრენი ლაგოდეხთან ახლოს ძველ, გრუნტის აეროდრომზე დაენარცხა მიწას. ეკიპაჟის 6 წევრიდან სამი დაიღუპა. — სასწავლო ფრენის დროს 1989 წელს (ზუსტი თარიღი უცნობია) Ми-26, საბორტე ნომრით 72, თელავის აეროდრომზე გამორთული ძრავებით დიდი სიჩქარით დაჯდა და დაიმტვრა. არავინ დაღუპულა. ბორტმექანიკოსმა შეცდომით ორივე ძრავა გათიშა, მაშინ როდესაც მხოლოდ ერთი გამორთული ძრავით უნდა დამჯდარიყვნენ.



სტატიის ავტორმა Ми-26 პირველად 1988 წელს დაათვალიერა და მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა შვეულმფრენის უზარმაზარმა სატვირთო კაბინამ, რომელშიც Ми-2 ტიპის შვეულმფრენიც კი ეტევა




თელავის Ми-26-ებს გუდაუთის აეროდრომიდან ჩამოწერილი გამანადგურებელ-გზაგადამჭრელები Як-28П-ები პოლიგონზე გადაჰქონდათ. ერთხელ ბაგირი გაწყდა და 12-ტონიანი Як-28П შავ ზღვაში ჩავარდა.

სხვათა შორის, ეს ფაქტი ხსნის ერთ საიდუმლოებით მოცულ ისტორიას: პოლკის გასვლის შემდეგ თელავის აეროდრომზე Як-28П-ის რამდენიმე ფიუზელაჟი დარჩა, რის გამოც ზოგი თვლიდა, რომ თელავიდან ეს საბრძოლო თვითმფრინავებიც ფრენდნენ, რაც შეუძლებელი იყო — თელავის აეროდრომის ბეტონირებული ასაფრენ-დასაფრენი ზოლის სიგრძე მხოლოდ 420 მ იყო, ხოლო Як-28П-ს ასაფრენ-დასაფრენად თითქმის სამჯერ მეტი სჭირდებოდა. თელავში დარჩენილ Як-28П-ის ფიუზელაჟებს პოლკის ეკიპაჟები Ми-26-ების ძირს სპეციალური ბაგირით აბამდნენ და ტვირთის აწევა-დაწევაში ვარჯიშობდნენ.

თელავის საშვეულმფრენო პოლკმა 1986 წელს საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალებს შორის ერთ-ერთმა პირველმა მიიღო მსოფლიოში უდიდესი შვეულმფრენები — Ми-26-ები (მანამდე თელავში Ми-8-ის ტიპის საშუალო და Ми-6-ის ტიპის მძიმე სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენები ბაზირებდნენ). ცნობილია, რომ 1964 წელს თელავის აეროდრომის თავზე 100 მ სიმაღლეზე „ჩამოკიდებული" Ми-6 უმართავ რეჟიმში გადავიდა და მიწას დაენარცხა.

1986 წლის აპრილში უკრაინაში ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი კატასტროფის შემდეგ რამდენიმე Ми-26 ეკიპაჟებითურთ თელავიდან ჩერნობილში გადაფრინდა. იქ ეს უზარმაზარი შვეულმფრენები, რომლებსაც 20 ტ ტვირთის აწევა შეუძლიათ, უნიკალურ და ძალზე საშიშ სამუშაოს ასრულებდნენ, — დაშლილ ატომურ რეაქტორს რადიოაქტიური ნივთიერებების გამოსხივების შემაკავებელ სპეციალურ მასას აყრიდნენ. შვეულმფრენები დაბალ სიმაღლეზე ეკიდებოდნენ საშიში რეაქტორის თავზე და ბუნებრივი საფრენი აპარატებიც და ეკიპაჟის წევრებიც იღებდნენ დიდი დოზის რადიაციულ დასხივებას.

ჩვენთვის უცნობია, დააბრუნეს თუ არა თელავში მაღალი რადიაციული ფონის მქონე Ми-26-ები (ჩერნობილის ახლოს დღესაც შეიძლება ნახვა ტექნიკის იმ უზარმაზარი სასაფლაოსი, სადაც დაყრილია მაღალი რადიაციული ფონის მქონე მანქანები, ჯავშანტრანსპორტიორები და შვეულმფრენები). თუკი მაინც დააბრუნეს, მაშინ რადიაციული ფონი თელავის აეროდრომის მიდამოებში, სავარაუდოდ, მოიმატებდა. თუმცა თელაველებს ნაკლებად უნდა ეშინოდეთ, რადგან Ми-26-ები თელავიდან 1991-92 წლებში მთლიანად გაიყვანეს.

სანამ Ми-26-ები 1992 წელს სრულად დატოვებდნენ „მშობლიურ" თელავს, კიდევ ერთი ტრაგიკული შემთხვევა მოხდა. იმ დროს გაცხარებული ბრძოლა მიმდინარეობდა მთიან ყარაბაღში და თელავის „მფრინავი ძროხები" (ხანდახან ასეც ეძახდნენ უზარმაზარ შვეულმფრენებს) საბრძოლო საჭურვლითა და პროდუქტებით ამარაგებდნენ საბჭოთა სამხედრო ნაწილებს. არ არის გამორიცხული, საქართველოს ტერიტორიიდან იარაღსაც აწვდიდნენ მთიანი ყარაბაღის სომხურ არაფორმალურ სამხედრო დანაყოფებს.

1992 წლის 12 მაისს თელავის Ми-26 ვაზიანიდან ნახჭევანში გაფრინდა საბჭოთა სასაზღვრო რაზმის ოფიცრების ოჯახების საევაკუაციოდ. სოფელ ვაზაშენის თავზე შვეულმფრენს საზენიტო რაკეტა მოხვდა (სავარაუდოდ, გადასატანი სითბური დამიზნების „სტრელა" ან „იგლა) და ჩამოვარდა. დაიღუპა ეკიპაჟის 6 წევრი და 2 მგზავრი. 1992 წლის ბოლოსთვის თელავის პოლკის ათზე მეტი Ми-26 უკვე გაყვანილი იყო რუსეთში, ტორჟოკში, რადგან მოსკოვს არ სურდა მსოფლიოში უდიდესი შვეულმფრენები დამოუკიდებელ საქართველოში დარჩენილიყო.

***ირაკლი ალადაშვილი***

თელავის პოლკის შვეულმფრენების ერთ-ერთი ძირითადი საბრძოლო ამოცანა იყო ლაგოდეხში დისლოცირებული ГРУ-ს მე-12 ცალკეული სპეცდანიშნულების ბრიგადის რაზმების გადასროლა თურქეთისა და ირანის ტერიტორიის სიღრმეში, იქ სადაზვერვო-დივერსიული ოპერაციების ჩასატარებლად. რეალურად კი ეს ლაგოდეხის ბრიგადა თელავის შვეულმფრენებით თბილისში (ვაზიანში) ორჯერ გადმოისროლეს — 1989 წლის 9 აპრილის წინ და 1991 წლის 19 აგვისტოს, მოსკოვის პუტჩის დღეს



b57/40
ეროვნული ბიბლიოთეკა



# პისტოლეტებად გადაკეთებული „დაკოდილი“ ავტომატები

ცეცხლსასროლი იარაღის სრულყოფა მუდმივად მიმდინარეობს. საიარაღო კომპანიები ძალ-ღონესა და დიდძალ თანხებს არ იშურებენ, რომ იარაღი უფრო სრულყოფილი და მოხერხებული გახადონ. თუმცა, როგორც ჩანს, კონსტრუქტორების ნაწილი იარაღის მოდერნიზაციას მისი დამახინჯებითა თუ ლულისა და კონდახის წაჭრით ახერხებს.

ტენდენცია, როდესაც სრულყოფილ ავტომატებს თუ ავტომატურ შაშხანებსა და კარაბინებს ნახევრად ავტომატურ პისტოლეტებად აქცევენ, ნელ-ნელა ფეხს იკიდებს.

„ობრეზები“, ანუ ლულა და კონდახწაჭრილი „მოსინის“ შაშხანები გასული საუკუნის შუახანებში ძალზე პოპულარული იყო დამნაშავეთა სამყაროში, რადგან თითქმის ერთმეტრიანი შაშხანა ამ მანიპულაციების შემდეგ სამჯერ მოკლდებოდა და უფრო ადვილი დასამალი იყო პალტოსა ან სულაც კოსტიუმის ქვეშ.

ვერ გეტყვით, თანამედროვე ტერორისტებისთვის ქმნიან თუ არა „დაკოდილ“ ავტომატებს, მაგრამ ფაქტია — ლულა და კონდახწაჭრილი იარაღი აღარც ავტომატად გამოდგება და არც ნორმალურ პისტოლეტად.

იუჯინ სტანერის ლამაზი ფორმის ავტომატური შაშხანა M16 „დაკოდვის“ შემდეგ მუტანტს დაემსგავსა, რადგან უკან უცნაური ცილინდრი დარჩა გაშვერილი. გასაგებია, რომ მას კონდახთან ერთად ვერ მოჭრიდნენ, რადგან მასში საკეტის უკან დასაბრუნებელი ზამბარაა განთავსებული.

თუმცა იარაღის სხვა „დამკოდავებმა“ გამოსავალი მაინც იპოვეს და ზამბარა ლულის თავზე გადაიტანეს. ახალ იარაღს Olimpic Arms OA-93 შეარქვეს. მის მჭიდში იგივე 5,56X45 მმ კალიბრის ვაზნები ჩადის, როგორიც M16-სა თუ M4-ში, მაგრამ მათგან განსხვავებით კონდახი არა აქვს.

**„დაკოდილი“ ცნობილი ავტომატური იარაღი — საბჭოთა AK-47 და ამერიკული M16**





ეროვნული ბიბლიოთეკა



# PLR-16

**ჩვენი დოსიე:** Kel-Tec PLR-16-ის საერთო სიგრძე 470 მმ-ია, ლულის — 233 მმ. მჭიდში 5,56X45 მმ კალიბრის 10 ვაზნა ჩადის, თუმცა შესაძლებელია M4-ის სტანდარტული 30-ვაზნიანი მჭიდის დაყენებაც. ამ ე.წ. პისტოლეტში ფართოდ არის გამოყენებული კომპოზიციური მასალები, რის გამოც ვაზნების გარეშე ეს იარაღი მხოლოდ 1,4 კგ-ს იწონის

უკონდახოდ ავტომატურ რეჟიმში დამიზნებით სროლა საშუალო სიშორეზე თითქმის შეუძლებელია, რაშიც ის ქართველი „რემბოებიც“ დარწმუნდნენ, რომლებიც აფხაზეთის ომში „კალაშნიკოვებს“ ხის კონდახებს ხსნიდნენ ან უფრო უარესი — აჭრიდნენ.

„დაკოდილი“ M4, სახელად OA-93, ნახევრად ავტომატური პისტოლეტის რანგში გადის და არ შეუძლია ავტომატურ რეჟიმში სროლა.

თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, ახლო მანძილზე, ათიოდე მეტრში თავდასაცავად ჩვეულებრივი პისტოლეტი უფრო მოხერხებულია, გინდ მალულად სატარებლად და გინდაც სწრაფად ამოსაღებად. მებრძოლის ინდივიდუალური თავდაცვისთვის არსებობს PDW (თავდაცვის პერსონალური იარაღი) კლასის მშვენიერი კომპაქტური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები (მაგალითად HK MP7), რომლებიც ავტომატურ რეჟიმშიც ისვრიან.

როგორც ჩანს, ლულისა და კონდახის წაჭრა მოდად იქცა, რადგან ამ მიმდინარეობას ცნობილი ფირმებიც შეუერთდნენ, მათ შორის ამერიკული „კელ-ტეკი“ და შვეიცარიული „ზიგიც“.

SIG 556 Pistol-ი, ცნობილი შვეიცარიული საიერიშო ავტომატური შაშხანა SIG 550-ის დამოკლებულლულიანი და უკონდახო ვარიანტია, რომელსაც ამასთან დაკარგული აქვს ავტომატური ჯერებით სროლის საშუალებაც.

ამერიკული Kel-Tec PLR-16 ამავე ფირმის თვითდამტენი შაშხანის SU-16-ის პისტოლეტად გადაკეთების შედეგია. ისიც 5,56 მმ კალიბრის ავტომატის ვაზნებზეა გათვლილი, ისევე როგორც SIG 556-ი.

PLR-22-ი ვიზუალურად იმეორებს PLR-16-ს, ოღონდ უფრო იაფ .22LR (5,6 მმ) ტიპის ვაზნებზეა გათვლილი. გამჭვირვალე მჭიდი ისეთივეა, როგორიც 5,56 მმ-იანი ვაზნებისა, თუმცა შიგნით გადაკეთებულია ისე, რომ მხოლოდ .22LR ტიპის ვაზნები მოთავსდეს.

„ჰეკლერ-კოჰის“ ისედაც კომპაქტურ და ძალზე პოპულარულ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ MP5-ს რაღა დამოკლება სჭირდებოდა, მაგრამ კონსტრუქტორის ხერხს ვერც მისი ლულა და კონდახი გადაურჩა, — HK SP89-ის სიგრძე 330 მმ-მდე შემცირდა, ხოლო მასა კი 2 კგ-მდე. სამაგიეროდ, დაირღვა MP5-ის დახვეწილი ფორმები და ცოტა საეჭვოა, ის მოხერხებული იყოს მსროლელისთვის.

იარაღის ტუნინგი, ისევე როგორც მანქანების, გამართლებულია, თუკი დიზაინის დახვეწას არ ეწირება თავად იარაღის მოხმარების მოხერხებულობა და მისი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემები.

ლულა და კონდახწაჭრილი, ანუ „დაკოდილი“ ავტომატი, რომელსაც ასევეართმევენ ავტომატურ რეჟიმში სროლის საშუალებას (და ეს გასაგებიცაა, რადგან მხარზე მიდებული კონდახის გარეშე ავტომატურ რეჟიმში სროლას აზრი ეკარგება), აღარც ავტომატად ივარგებს და არც პისტოლეტად გამოდგება.

***ირაკლი ალადაშვილი***

მანქანის ფანჯრიდან ჩვეულებრივი პისტოლეტიდან სროლა უფრო მოხერხებულია, რადგან მეორე ხელით საჭეს გააკონტროლებ...



არსენალი



# KEL-TEC PLR-16

ISSN 1987 - 5061